


პირველი წყალქვეშა არქეოლოგიური გათხრები
A3



ფინანსთა მინისტრმა გადამზიდავებს ახალი საბაჟო კოდექსი გააცნო
A5



ნოდარ ახალკაცი: "ფარერებზე მხოლოდ 3 ქულა დაგვაკმაყოფილებს"
A6


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ხუთშაბათი, 10 აგვისტო, 2006 წელი. №179 (1331)

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი


24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


## ამბები

### სიცხისგან თავდაცვის რეკომენდაციები

დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა მოსახლეობისთვის მაღალ ატმოსფერულ ტემპერატურასთან დაკავშირებით რეკომენდაციები გამოაქვეყნა.

A2

## პოლიტიკა

### ცხინვალი პროვოკაციულად საუბრობს პროვოკაციაზე

"თბილისის რეჟიმი აგრძელებს პროვოკაციის ტაქტიკას არა მხოლოდ სამხედრო, არამედ დიპლომატიურ და პოლიტიკურ დონეზეც", - ასეთი შინაარსის განცხადება სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა რუსეთში, დიმიტრი მედოევმა გააკეთა.

A3

## სამართალი

### ლაშა ჩხარტიშვილის მეორე პატიმრობა

"თანასწორობის ინსტიტუტის" ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი ადმინისტრაციული წესით უკვე მეორედ დააპატიმრეს.

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 10/08 | 11/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 40 | 41 |
| ბათუმი | 36 | 44 |
| სოხუმი | 36 | 41 |
| ქუთაისი | 40 | 46 |
| გორი | 36 | 39 |
| ონი | 31 | 35 |
| ზუგდიდი | 39 | 46 |
| ახმეტა | 40 | 40 |
| სამტრედია | 39 | 45 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7600 |
| ევრო | 2.2602 |
| ბრიტანული სტერლ. | 3.3565 |
| რუბლი | 0.0658 |


ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
ბიზნესი A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
სხვადასხვა A 8


# ქართულ "მინისტერიალზე" კონფლიქტების შესახებ მსჯელობენ

*გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საგარეო-პოლიტიკური, სამართალდამცავი და ძალოვანი უწყებების პირველი პირების საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა. საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში მერაბ ანთაძემ კონფლიქტის ზონებში არსებულ ვითარება განიხილეს და კორდინირებულ მოქმედებათა სქემა შეიმუშავეს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*შეხვედრის დასრულების შემდეგ, ოთხივე მინისტრმა თავისი მოსაზრებები საჯაროდ გამოთქვა.*

# პრეზიდენტის პროგრამა, რომელიც "არ იშოვება"

### ექსპერტების შეფასება და ბიზნესსექტორის მოლოდინი

მარიამ ჯაჭვაძე

*პრეზიდენტის დაპირებით, სექტემბრიდან ის ახალი ეკონომიკური პროგრამა უნდა ამოქმედდეს, რომელმაც დაახლოებით 50 ათასი მოქალაქის სტაჟირება უნდა უზრუნველყოს ბიზნესსექტორში. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ პროგრამის არც კონცეფცია და არც მისი ეკონომიკური გათვლები დღემდე არ არსებობს, არადა, საჭირო 24 მილიონი ლარი ბიუჯეტიდან უკვე გამოყოფილია. ამიტომაც ეკონომიკურ ექსპერტებს ამ პროგრამის წარმატებასა და მის ეფექტურობაში ეჭვი ეპარებათ. რაც შეეხება ბიზნესსექტორს, მათი ერთი ნაწილი კვალიფიციური კადრის მოლოდინშია, მეორეს კი არ აინტერესებს.*

ახალი ეკონომიკური პროგრამა, რომლის მხოლოდ ზეპირი პრეზენტაცია პრეზიდენტმა ამ ორიოდე დღის წინ ბათუმში, მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან ერთად მოაწყო, მისივე თქმით, ძირითადად, სამუშაო ადგილების შექმნას ისახავს მიზნად. ამის მისაღწევად მთავრობა შემდეგ ნაბიჯებს გადადგამს: საქართველოს დაახლოებით 50 ათასამდე მოქალაქე სხვადასხვა კერძო კომპანიაში სექტემბრიდან, მომდევნო სამი თვის განმავლობაში, სტაჟირებას გაივლის. თითოეული მათგანი ბიუჯეტიდან სტიპენდიის სახით თვეში 150 ლარს მიიღებს.

ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ამ გზით მოხდება სტაჟიორთა კვალიფიკაციის ამაღლება, ხოლო შემდეგ ეტაპზე - მათი დიდი ნაწილის დასაქმება ამავე კომპანიაში.

"24 საათი" დაინტერესდა, უფრო კონკრეტულად რას ითვალისწინებდა პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ახალი ეკონომიკური პროგრამა და გასული ორი დღის განმავლობაში ამ პროგრამის ერთი ეგზემპლარის მიღებას ცდილობდა, თუმცა - ამაოდ. რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა პრეზიდენტის ადმინისტრაციისკენ გადაგვამისამართა, მათ კი - ეკონომიკური განვითარების სამინისტროსკენ. აღმოჩნდა, რომ არც ერთ შესაბამის სახელმწიფო სამსახურს ხსენებული პროგრამა არ გააჩნდა და მათ ამის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მედიის სხვადასხვა საშუალებებიდან შეიტყვეს.

**"ხელისუფლების ეს ინიციატივა, ზოგადად, ძალიან კარგი და მისასალმებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში პროგრამის ეფექტურობა მაეჭვებს. ეს პროგრამა დაიბეჭდა სადმე? ნახა ვინმემ? იმსჯელა ამ თემაზე ხელისუფლებამ სპეციალისტებთან? როგორც ვიცი, არა. პრობლემაც სწორედ ეს არის. საერთოდ, ჩვენს ხელისუფლებას ერთი ასეთი რამ ახასიათებს: ყოველთვის სურს, ხალხს აჩვენოს, რომ მას რაღაც ქმედების ჩადენა შეუძლია. ამიტომაც ხშირად, ამ ნაბიჯების გადადგმის დროს ის ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს. ამ შემთხვევაშიც ასე ხდება. არ არსებობს ამ პროგრამის ეკონომიკური ანალიზი, არც ერთი ბიზნესმენისთვის არ უკითხავთ, რა დარგის რამდენი სპეციალისტი სჭირდებათ. და თან, ამ ყველაფრის დაწყებას სექტემბერში აპირებენ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს პროფესორმა კახა ჯაყელმა, ჯანდაცვის ეკონომიკისა და დაზღვევის საქართველოს ღია ჰუმანიტარული ინსტიტუტის ხელმძღვანელმა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# ერმიტაჟის გაძარცვაში გარდაცვლილი მცველის ოჯახის წევრებს ადანაშაულებენ




# დეზინფორმაცია ძველი და ახალი ხერხები

### ცივი ომისდროინდელი პროპაგანდისტული დაპირისპირება ბრუნდება

საბჭოთა პროპაგანდისტები ექსპერტები იყვნენ დეზინფორმაციის ხელოვნებაში: მედიის ბუნდოვან კუთხეებში გალამაზებული ისტორიების ჩაგდება და იმის მტკიცება, მაგალითად, რომ შიდს-ი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ იყო გამოგონებული. ამჟამად რუსეთის ინტერესები კიდევ ერთხელ წინ წამოსწია, მაგრამ უკვე ისეთი საინფორმაციო წყაროების მეშვეობით, რომლებიც უფრო დამაჯერებლად მოჩანს, ყოველ შემთხვევაში სანამ ახლოს არ გაეცნობით მათ წარსულს.

აიღეთ, მაგალითად, "სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დემოკრატიული ინსტიტუტების საერთაშორისო საბჭო", მაღალფარდოვანი ორგანიზაცია, რომელიც ამბობს, რომ იგი მუშაობს "შედეგზე ორიენტირებულ სახელმწიფოს მშენებლობაზე ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებში". ივლისში მან წარმოადგინა მოხსენება, რომელიც მოუწოდებს აღიარებულ იქნას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოლდოვის თვითგამოცხადებული რეგიონი დნესტრისპირეთი, რომელსაც იქ 1992 წელს წარმოებული მოკლე სამოქალაქო ომის შემდეგ რუსეთი მხარდაჭერას უცხადებს, ხოლო დასავლეთი არა.

აფერისტულად შედგენილი და მდიდრულად აღჭურვილი, მოხსენება გამოიცა რუსეთსა და დნესტრისპირეთში, როგორც მტკიცება იმისა, რომ გავლენიანი "საერთაშორისო" აზრი იხრება დამოუკიდებლობის აღიარებისაკენ. ეს ყოველივე კი სრულიად ეწინააღმდეგება დასავლური მთავრობების პოზიციას დღემდე, რომელიც საკმაოდ არაეფექტურად, მაგრამ მაინც ცდილობს გააერთიანოს დნესტრისპირეთი მოლდოვასთან.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მომავლის განათლების მარშრუტი - ნიუ იორკი-თბილისი

*ნიუ-იორკის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის თანამშრომლობის გრანდიოზული გეგმებით თბილისში 7 ივლისს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, პროფესორი ქენდი ვენკო ჩამოვიდა.*
*ერთობლივის სასწავლო პროგრამების, უმაღლესი სკოლებისა და ფაკულტეტების შექმნა, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლითი პროგრამები და უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე ულტრათანამედროვე, მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტუდქალაქის მშენებლობა - ეს ის გეგმებია, რომელთა შესახებაც ამერიკელი პროფესორი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, განათლების მინისტრ კახა ლომაიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გია ხუბუას ესაუბრა.*

ეკა ჯანაშია

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პრეზიდენტისთვის საქართველო კარგა ხანია ცნობილია - მას ქართველი რძალი ჰყავს. საუნივერსიტეტო თანამშრომლობის ინიციატივაც ქართველ რძალსა და მის ძმას გიორგი სვანიძეს ეკუთვნით.

თბილისში ჩამოსული სტუმარი 8 ივლისს მიხეილ სააკაშვილს ლიკანში შეხვდა, გუშინ კი კახა ლომაის ესაუბრა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ქართველი ვარ და კარგი უნდა ვიყო"

*გაზეთ "24 საათის" რედაქციაში საბერძნეთში მცხოვრები 13 წლის სანდრო იაშვილის წერილი მოვიდა. პატარა ქართველი, რომელიც ბედის უკულმართობით უცხო ქვეყანაში გაიზარდა, საქართველოს პრეზიდენტს სამშობლოში დასაბრუნებლად დახმარებას სთხოვს. 13 წლის სანდროს მიერ საქართველოს პრეზიდენტისთვის წერილის გამოგზავნის მიზეზი ის ბიუროკრატიული აპარატი გახდა, რომელმაც საქართველოს მოქალაქეების შვილს, საქართველოში დაბადებულ სანდრო იაშვილს სამშობლოში დაბრუნების საშუალება არ მისცა.*

**"ბატონო პრეზიდენტო, გწერთ საბერძნეთში მცხოვრები ქართველი, უკვე ემიგრანტი, 13 წლის სანდრო იაშვილი. ეს იმიტომ გადავწყვიტე, რომ მინდა ჩემი დიდი გულისტკივილი და იმედგაცრუება დაგანახოთ. ჩვენი ოჯახი საბერძნეთში რომ გადავიდა საცხოვრებლად, მაშინ 3 წლისაც არ ვიყავი. ამის შემდეგ საქართველოში აღარ ჩამოვსულვარ. არც ბებია ჩამოსულა, იმიტომ რომ მე ვერ მიმატოვა. მე ობოლი ვარ, აღარც დედა მყავს და არც მამა, არც სახლი მაქვს თბილისში, მაგრამ გვიზარდე და მინდა ჩემს სამშობლოში, საქართველოში დაბრუნება",** - წერს სანდრო იაშვილი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს.

როგორც სანდრო წერს, თბილისში არსებული განუკითხაობის პერიოდში, ქუჩაში მიმავალ სანდრო იაშვილის მამას, სროლის დროს, შემთხვევით მოხვდა ტყვია და ადგილზე გარდაიცვალა. მაშინ სანდროს დედა ჯერ კიდევ ფეხმძიმედ იყო და ბავშვმა, კანონის თანახმად, მამის გვარი სასამართლოს მეშვეობით მიიღო. მოგვიანებით, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, სანდრო იაშვილის დედამ, ირინა ზერეკიძემ თბილისში ბინა გაყიდა და დედასთან, შვილთან და ძმის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად საბერძნეთში წავიდა. რამდენიმე წლის შემდეგ, მოულოდნელად გარდაიცვალა ირინა ზერეკიძის 31 წლის ძმა, თავად კი სიმსივნით დაავადდა. გამოჯანმრთელების იმედის გადაწურვის შემდეგ სანდროს დედა თბილისში დაბრუნდა, სადაც გარდაიცვალა. **"ბატონო პრეზიდენტო, ჩემი თავგადასავალი მოგიყევით, ალბათ, არ არის გასაკვირი, რომ შინ, საქართველოში მინდა დაბრუნება, მით უმეტეს, რომ ბიცოლაჩემისა და ჩემი ბიძაშვილის კარი ყოველთვის ღიაა ჩემთვის. მათ შეუძლიათ ჩემი მიღება და არც ლუკმაპურს დამამადლიან. ძალიან მინდოდა მენახა ჩემი ქვეყანა, დედ-მამისა და ბიძის საფლავები, მინდოდა ქართულ სკოლაში მესწავლა, მაგრამ ბატონო პრეზიდენტო, მე უკვე ემიგრანტი ვარ, რადგან სამშობლოში დაბრუნების ნებართვა არ მომცეს",** - ნათქვამია 13 წლის სანდროს წერილში, რომელშიც იგი პრეზიდენტს საკუთარი წარმატებების შესახებაც წერს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# მომავლის განათლების მარშრუტი - ნიუ იორკი-თბილისი

პირველი გვერდიდან

**"ბევრ სიახლესთან ერთად, დაგეგმილია უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან ამერიკული ტიპის ულტრათანამედროვე "კამპუსის"** (საუნივერსიტეტო დასახლება - რედ.) **მოწყობა. ეს ამბიციური პროექტი დაახლოებით ას ჰექტარს მოიცავს, რომელზეც თანამედროვე მაღალგანვითარებული ტექნოილოგიებით აღჭურვიული ულტრათანამედროვე კომპლექსი განთავსდება. ამავე დროს სტუდენტებს საქართველოშივე შეეძლებათ ამერიკული სტანდარტების დონის განათლების მიღება"** - განაცხადა გია ხუბუამ ერთობლივ ბრიფინგზე, რომელიც ქენდი ვენკომ და თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა უნივერსიტეტში გამართეს. ამავე ბრიფინგზე გია ხუბუამ მედიას ქართულ-ამერიკული საუნივერსიტეტო პროექტის მონახაზი წარუდგინა. მისივე განცხადებით, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტების თანამშრომლობის პროექტი ყველა მასშტაბით გრანდიოზულია. იგი მოიცავს ერთობლივი სამაგისტრო სკოლისა და ერთობლივი ფაკულტეტების დაფუძნებას. მასში გათვალისწინებულია რამდენიმე ფუნდამენტური მიმართულება: თანამედროვე საამშენებლო ტექნოლოგიები, სამედიცინო და ტურიზმის სფეროები. ამ თანამშრომლობის შედეგად კი სტუდენტებს საქართველოშიც შეეძლებათ მიიღონ დიპლომი, რომელიც ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მიერ იქნება აღიარებული. ხუბუას თქმით, ეს თანამშრომლობა ამერიკული კულტურის იმპორტის თვალსაზრისითაც ძალზე მნიშვნელოვანია.

ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად 500 ათასი სტუდენტი სწავლობს და იგი ერთ-ერთ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლად ითვლება ამერიკაში.

**"გუშინ, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას, მივხვდი, რომ უმნიშვნელოვანესია საქართველოში უნივერსიტეტის განვითარება. ჩვენ შევიმუშავეთ ის პრიორიტეტები, რომელიც ამ პროექტის განხორციელებისას ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება. ესენია ტურიზმის, მშენებლობის არქიტექტურისა და მედიცინის სფეროში უმაღლესი სკოლების განვითარება. ასევე დავიწყებთ მუშაობას კამპუსზე, რაც ქართველ სტუდენტებს საშუალებას მისცემს, რომ სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრებით იცხოვრონ,"** - განაცხადა ქენედი ვენკომ ბრიფინგზე.

როგორც გაირკვა, ჯერჯერობით უცნობია, რა დაჯდება მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე ულტრათანამედროვე კომპლექსის აშენება, ცნობილი ამ ეტაპზე მხოლოდ ისაა, რომ თანხების მოზიდვა, კერძო ინვესტიციებით, სხვადასხვა ბანკებისგან, მათ შორის მსოფლიო ბანკისგან არის დაგეგმილი. ამის შესახებ ჟურნალისტებს გიორგი სვანიძემ განუცხადა. ასევე ცნობილია, რომ საუნივერსიტეტო კომპლექსს ერთ-ერთი უდიდესი სამშენებლო კომპანია ააშენებს. ესკიზურ მოდელს საზოგადოება უკვე სექტემბრისთვის გაეცნობა. ვენკომ აღნიშნა, რომ ორმხრივი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მთავრობა გამონახავს სახსრებს, რათა ეს პროექტი განახორციელოს.

პრეზიდენტ სააკაშვითან შეხვედრისას გადაწყდა, რომ თანამშრომლობის პირველ ეტაპზე ამერიკული კოლეჯი დაარსდება. როგორც ცნობილია, თანამშრომლობა სამი მიმართულებით არის დაგეგმილი - ტურიზმისა და მშენებლობის მენეჯმენტის განვითარება და ერთობლივი სკოლის დაარსება. როგორც ქენდი ვენკომ განაცხადა პრეზიდენტი სააკაშვილი დაინტერესდა, მომავალი სტუდენტური ქალაქის მოწყობის ყველა დეტალით, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით - მოედნებით, "ფიტნეს ცენტრებით", რაც ამჟამინდელ უნივერსიტერტს არ გააჩნია და იგი მოუთმენელად ელის პროექტის განხორციელების დაწყებას.

ერთობლივი სტუდენტური ქალაქი უცხოელი სტუდენტების - ჩინელების აზერბაიჯანელების, თურქების და სხვათა მოიზიდვას, ცხოვრებასა და სწავლებასაც ითავლისწინებს. გრანდიოზული მშენებლობის გეგმის შესახებ გუშინ ქენედი ვენკო თბილისის მერს გიგი უგულავასაც ესაუბრა.

# მიმართვა

## საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, მღელვარებით ვადევნებდით თვალს, თუ როგორ მიმდინარეობდა კოდორის ხეობაში საპოლიციო ოპერაცია ხეობის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების მიზნით, როცა ემზარ კვიციანმა და მისმა უკანონო შეიარაღებულმა დაჯგუფებამ ულალატა არა მარტო საქართველოს პრეზიდენტს, არამედ თვით ქართველ ერს, საქართველოს სახელმწიფოს.

ბატონო პრეზიდენტო, მინდა იცოდეთ, რომ თქვენ მარტო არ ყოფილხართ ამ გაჭირვების და უმწვავესი კრიზისის დროს, როდესაც საქმე ეხებოდა აფხაზეთის დაბრუნებისათვის პოლიტიკური და ფსიქოლოგიური გამარჯვებისათვის გადამწყვეტ ბრძოლას. ამ კრიზისულ მომენტში, თქვენს გვერდით იმყოფებოდა უფალი იესო ქრისტე, დედა ღვთისმშობელი და განსაკუთრებით უხილავად თქვენს გვერდით იდგა, განუგეშებდათ, გამხნევებდათ და წინ მიგიძღოდათ ილორის წმ. გიორგი.

ასევე თქვენს გვერდით იყო და არის ეკლესიასთან არსებული სრულიად საქართველოს საზოგადოება "ენა, მამული, სარწმუნოება-"ს და "სულიერი ლაშქარის" ათასობით წევრი და ჩემი სულიერი შვილები. მართალია, ჩვენ პოლიტიკაში არა ვართ ჩართულები, მაგრამ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ყველა იმ სახელმწიფო გადაწყვეტილებაზე, რომელსაც თქვენ იღებთ.

ბატონო პრეზიდენტო, გული ნუ დაგწყდებათ, თუ ვინმე შეეცდება ქართული ჯარის გალანძღვას. სამაგიეროდ ჩვენ ვუხდით მადლობას ყველა ჯარისკაცს და, განსაკუთრებით, იმ ვაჟკაცებს, რომლებიც სპეცოპერაციის დროს კრიმინალების მიერ გასროლილი ტყვიებით დაიჭრნენ.

ასევე დიდ მადლობას ვუხდით კოდორის ხეობაში, სამშობლოს დაცვის მიზნით ჩატარებულ ბრწყინვალე სამხედრო ოპერაციისათვის შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ვანო მერაბიშვილს და საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ირაკლი ოქრუაშვილს.

ასევე მადლობას გიხდით პირადად თქვენ, ვაჟკაცური, სწორი და დროული გადაწყვეტილებების მიღების, აფხაზეთის ნაწილის, კოდორის ხეობის კრიმინალებისაგან განთავისუფლებისათვის, რაც საწინდარია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენისა.

ასევე მინდა გჯეროდეთ ჩვენი საზოგადოების და ქართველი ერის შეგნებული ნაწილის თქვენდამი ჩვენი ღრმა პაატივისცემისა და მხარდაჭერისა. ნუ მიაქცევთ ყურადღებას, რას იტყვიან რუსეთში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მოკალათებული სეპარატისტები.

ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს გამთლიანების მანდატს თქვენ ქართველი ერი გაძლევთ. ამიტომ იმოქმედეთ უშიშრად და გაბედულად.

ღმერთმა დაგლოცოთ და ილორის წმ. გიორგი იყოს თქვენი მფარველი და წინამძღოლი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. ამინ!

*ეკლესიასთან არსებული სრულიად საქართველოს საზოგადოება "ენა, მამული, სარწმუნოება"-ს თავმჯდომარე, ეკლესიასთან არსებული სრულიად საქართველოს ახალგაზრდული საზოგადოების, "სულიერი ლაშქრის" ხელმძღვანელი, გლდანის ლომისის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მიქაელი (ასათიანი)*

*2 აგვისტო 2006 წელი.*

# დეზინფორმაცია - ძველი და ახალი ხერხები

პირველი გვერდიდან

ანგარიშის თანახმად, იგი ეფუძნება კარგად ცნობილი საერთაშორისო კლასის იურისტების, მათ შორის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური პირის და სტენფორდის, ოქსფორდისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების მეცნიერების მუშაობას. იგულისხმება, რომ ისინი ესწრებოდნენ 2006 წლის აპრილის თვეში ვაშინგტონის "ბიკონ ჰოტელში" ჩატარებულ კონფერენციას.

მაგრამ სიმართლე საკმაოდ განსხვავებულია. დასაწყისისათვის გეტყვით, რომ ასეთი კონფერენციის არანაირი კვალი არ არსებობს "ბიკონ ჰოტელში". არც ერთი გარე ექსპერტი არ ესწრებოდა ამ კონფერენციას. იმათ, ვისაც დავუკავშირდით, კატეგორიულად უარყოფენ მონაწილეობას, თუმცა ერთმა, დოქტორანტმა სტუდენტმა, თქვა, რომ მან გარკვეული რჩევები მიაწოდა. "სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დემოკრატიული ინსტიტუტების საერთაშორისო საბჭომ" ამჟამად ეს სახელები მოხსენებას მოაცილა.

ეს ყოველივე საკმაოდ საკვირველია. მაგრამ თვით "სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დემოკრატიული ინსტიტუტების საერთაშორისო საბჭო" კიდევ უფრო უცნაური რამ არის. მას არ გააჩნია მისამართი და ტელეფონის ნომერი. თუმცა მისი ვებგვერდი და ინტერნეტ-ენციკლოპედია, "ვიკიპედიას" მონაცემი მის შესახებ, ამტკიცებენ, რომ იგი დაარსდა 1999 წელს, არ არსებობს მისი საქმიანობის, ან თანამშრომელთა არანაირი კვალი მონაცემთა ბაზაში მიმდინარე წლის იანვრის თვემდე. ამის შემდეგ იგი მთლიანად ეწევა დნესტრისპირეთის წარმოჩენას. იგი ამტკიცებს, რომ არსებობს ამერიკაში, მაგრამ არ არის იქ რეგისტრირებული როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია.

მისი ვებგვერდი რეგისტრირებულია მექსიკის სასტუმრო მისამართზე და მისი ტელეფონი არ პასუხობს, ხოლო ოპერირება ხდება სერვერიდან ლატვიაში. და ეს ბევრად უფრო დადებითად მოჩანს იმის შუქზე, რომ მოხსენებაში მეორე თითქოს და გამომცემელი, "ევრო-ატლანტიკური ფორუმის საკონტაქტო ჯგუფი", როგორც ჩანს არ არსებობს, გარდა ლოგოსი.

თვით მოხსენება დაწერილია პროფესიული იურიდიული ენით, სადაც მრავალი ლათინური ფრაზა და პრეცედენტებზე მრავალი წონადი მითითებაა მოცემული. მაგრამ ზოგიერთი ნაწილი უხერხულად იკითხება და შეიცავს ისეთ შეცდომებს (მაგალითად, სატელეფონო "ცენტრალი" და არა "კომუტატორი"), რომლებსაც ინგლისურ ენაზე წერისას უშვებენ რუსები.

როდესაც ელექტრონული ფოსტა გავაგზავნეთ "სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დემოკრატიული ინსტიტუტების საერთაშორისო საბჭოში", პროგრამების დირექტორმა მეგან სტეფენსონმა თავი აარიდა ტელეფონით ლაპარაკს ან ორგანიზაციის დაფინანსებაზე, აპარატზე, შტაბბინაზე და სხვა საქმიანობაზე ინფორმაციის მიცემას. მან განმარტა, რომ ჯგუფს სურს პასიურად გამოიყურებოდეს ადრე ვენესუელაში საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობის გამო, რამაც მისი აქტივისტების დაპატიმრება გამოიწვია. ვენესუელის მიძინებული ოპოზიციის ვებგვერდზე ნამდვილად აღიარებულია ამ ორგანიზაციის დახმარება, თუმცა როგორ, როდის და სად, გაუგებარია. "თუ თქვენ გსურთ მიხვიდეთ ერთობ საეჭვო დასკვნამდე, რომ მოხალისეთა ჩვენი პატარა ჯგუფი წარმოადგენს კრემლის ფარულ ორგანიზაციას, ასე იყოს, მაგრამ მე კიდევ ერთხელ გეუბნებით და ვამტკიცებ, რომ ეს ასე არ არის", ამტკიცებს ქ-ნი სტეფენსონი.

მოხსენება დნესტრისპირეთის თაობაზე უცნაურად ჰგავს ამას წინათ ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის "ფსიქიატრიულ შეფასებას". ეს შეფასება თითქოს და დამტკიცებულია დასავლეთის საავადმყოფოებისა და კვლევითი ინსტიტუტების მიერ, რაც არასწორია. იგი ხატავს საქართველოს ლიდერს (რუსეთის საფრთხობელას) როგორც თავქარიან პარანოიკს.

ერთი აშკარა დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ კრემლი დნესტრისპირეთისა და სამი სხვა პაწაწინა სახელმწიფოს დახმარებაში ახალ სტადიაზე გადავიდა როგორც ამ წლის ბოლოსათვის სერბეთის ალბანელებით დასახლებული კოსოვოს პროვინციის დამოუკიდებლობის აღიარების შესაძლებლობის საპირისპიროდ. პრაღელი ანალიტიკოსის ვიქტორ იასმანის აზრით, რუსეთი მოიწვევს ამ ოთხეულს გაწევრიანდეს დსთ-ში, რუსეთის მიერ მართულ ქაქან-ტრესტში. ეს იქნებოდა ნახევარი საქმე მათი დამოუკიდებლობის გზაზე, რაც კრემლის მოგებასა და დასავლეთის წაგებას შეადგენდა.

რა თქმა უნდა, მოლდოვა ღარიბი, სუსტი, გაყოფილი და მიტოვებული, როგორც სხვა ექსკომუნისტური ქვეყნები, ამასთან დაკავშირებით ხურდება. დნესტრისპირელი პოლიტიკოსები ბრალს სდებენ მოლდოვის პროვოკატორებს ბომბის აფეთქებისათვის ავტობუსში დედაქალაქ ტირასპოლში, რომლის შედეგად 6 ივლისს 8 ადამიანი დაიღუპა. 17 სექტემბერს დნესტრისპირეთი ჩაატარებს კიდევ ერთ რეფერენდუმს დამოუკიდებლობაზე. დასავლეთის ქვეყნები მას არ აღიარებენ, მაგრამ რუსეთმა შესაძლოა, აღიაროს.

თვით მოლდოვაში გაგაუზი უმცირესობა (რწმენით მართლმადიდებელი, ხოლო ეთნიკურად თურქი), რომელიც ძლიერ პრორუსულია, ნერვიულობს. შეიძლება მათ ასევე მოითხოვონ დამოუკიდებლობა. ეკონომიკა განსაცდელშია რუსეთის მთავარ საექსპორტო საქონელზე - ღვინოზე ემბარგოს გამო, როგორც ეს საქართველოს მიმართ გაკეთდა. დნესტრისპირეთის ეკონომიკა კი, რომელიც დაფუძნებულია შეიარაღებაზე, ფოლადზე და ვაჭრობაზე (კრიტიკოსები ამბობენ კონტრაბანდაზე) ყვავის.

ყოველივე ამის შუქზე ზოგიერთი მოლდოვაში განსაცდელშია მის დამოუკიდებელ მომავალზე. იქნებ ჯობდეს დაგვეთმო ცივსისხლიან ევროპაში შესვლის სიზმრები და დავთანხმდებოდით რუსეთის სურვილებს: ნეიტრალური და ფედერალური მოლდოვა რუსული ენის სპეციალური სტატუსით. სხვები ფიქრობენ დნესტრისპირეთის დათმობაზე და ნათესავ რუმინეთთან შეერთებაზე, რომლისგანაც ისინი გამოეყვნენ სტალინის მიერ 1940 წელს. ეს იდეა უცხოდ ჟღერდა, სანამ გასულ თვეში სერიოზული ტონით იგი გააჟღერა რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბასესკუმ.

ასეთი აზრები ყურადღებას ფანტავს, ამბობს მოლდოვაში მოქმედი კვლევითი ცენტრის თანამშრომელი ანდრეი პოპოვი. რეალური ამოცანა უნდა იყოს ქვეყნის უსუსური სასამართლო სისტემის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საინვესტიციო კლიმატის რეფორმა. შური სტაბილურობის საუკეთესო საშუალებაა, და არა გაღიზიანება წარუმატებლობის თაობაზე.

*"ეკონომისტი" (დიდი ბრიტანეთი), 3 აგვისტო, 2006წ.*

# სიცხისგან თავდაცვის რეკომენდაციები

დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა მოსახლეობისთვის მაღალ ატმოსფერულ ტემპერატურასთან დაკავშირებით რეკომენდაციები გამოაქვეყნა.

ცენტრის სპეციალისტები მოსახლეობას დიდი რაოდენობით სითხის მიღებას, ღია ფერის ბუნებრივი ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმლისა და ფართო კიდეებიანი ჰაერგამტარი მასალის ქუდის ტარებას ურჩევენ. ამასთან მათ თავი უნდა შეიკავონ სპირტიანი და კოფეინის შემცველი სასმელების დიდი ოდენობით მიღებისგან. მათი განმარტებით, ალკოჰოლი ორგანიზმის გარემო პირობებთან შეგუების უნარს ზღუდავს.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების თანახმად, აუცილებელია მზეზე გარუჯვისაგან თავის შეკავება, მზისგან დამცავი საშუალებების ხმარება და სხეულის წყლით ხშირად გადავლება.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ შოთა ცანავამ "მედიანიუსთან" საუბარში აღნიშნა, გარემოს მაღალ ტემპერატურასთან დაკავშირებულ დაავადებათა რისკ-ჯგუფებს მიეკუთვნებიან ახალშობილები და ბავშვები 4 წლის ასაკამდე, 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები, ჭარბწონიანი და გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიებით დაავადებული პირები და პაციენტები, რომლებიც ნეიროლეპტიკურ, ანტიქოლინერგიულ პრეპარატებსა და ტრანკვილიზატორებს მოიხმარენ.

ძლიერი სიცხით გამოწვეული სითბური დაუძლურებისას ადამიანი ლურჯდება, ოფლიანდება, აწუხებს სისუსტე, თავბრუსხვევა, თავის ტკივილი და გულისრევა. სპეციალისტთა რეკომენდაციების თანახმად, ექიმის მისვლამდე აუცილებელია ავადმყოფისთვის ცივი სითხის მიცემა, ცივი ტილოს შემოხვევა და მსუბუქი ტანსაცმლის ჩაცმა. ამგვარი დახმარების გარეშე, შესაძლოა, ადამიანს სითბური დაკვრა განუვითარდეს.

სითბური დაკვრისათვის დამახასიათებელი სიმპტომებია სხეულის მაღალი ტემპერატურა, წითელი, გახურებული და გამომშრალი სხეულის ზედაპირი, გაძლიერებული და გახშირებული პულსი და გონების დაკარგვა. ავადმყოფი ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ გრილ ადგილას უნდა გადავიყვანოთ, შევასხათ წყალი ან გავუნიავოთ. კანზე მზით დამწვრობის ადგილზე საჭიროა ცივი კომპრესის დაფენა. სპეციალისტთა რჩევით, დროულად გაწეული პირველადი დახმარების მიუხედავად, დახმარებისთვის ექიმს მაინც უნდა მივმართოთ. **მედიანიუსი**




## მოკლედ

### ბორჯომის რაიონში ტყე დაიწვა

8 აგვისტოს ბორჯომის რაიონში, სოფელ ახალდაბასთან ტყის მასივებს ცეცხლი წაეკიდა. დაიწვა 1 ჰექტრამდე ტყის ფართობი.

ხანძრის ლოკალიზება გუშინ დაღამებამდე მოხდა, - განუცხადა "მედიანიუსს" ბორჯომის რაიონის გამგებლის მოადგილემ მურად ნოზაძემ, რომელიც ცეცხლის ლიკვიდაციას თავად კურირებდა.

ადგილზე მუშაობდა სახანძრო და სამაშველო რაზმის ბრიგადები. ცეცხლის ჩაქრობაში ასევე მონაწილეობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. მურად ნოზაძის განმარტებით, რელიეფის სირთულის გამო, სახანძრო მანქანები ხანძრის ეპიცენტრს ვერ მიუდგნენ, ხანძრის ლოკალიზება ნიჩბების მეშვეობით მოხდა. ხანძრის გამომწვევი მიზეზები უცნობია. ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს. **მედიანიუსი**

### ირაკლი ბათიაშვილი შიმშილობის დაწყებით იმუქრება

თუ გამომძიება მოძრაობა "წინ, საქართველოს" ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის დაცვის მხარეს საქმის მასალებს 14 აგვისტომდე არ გადასცემს, შესაძლოა, თავად პატიმარმა, ირაკლი ბათიაშვილმა პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას მიმართოს, - უთხრა "მედიანიუსს" პოლიტიკური მოძრაობა "წინ, საქართველოს" წევრმა გიორგი კობახიძემ.

ირაკლი ბათიაშვილი რამდენიმე დღის წინათ დააპატიმრეს. მას კოდორის ხეობაში ამბოხებულებისთვის ინტელექტუალურ მხარდაჭერაში ადანაშაულებენ. **მედიანიუსი**

### კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებს სარწყავი წყლის მიწოდება აღუდგა

ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებთა მოლაპარაკებების შედეგად, კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებს სარწყავი წყლის მიწოდება აღუდგა. ამჟამად ტირიფონის სარწყავი სისტემა მთელი დატვირთვით მუშაობს. ამჟამად ცხინვალის ცენტრალურ მაგისტრალზე ავარიული ბრიგადები აღდგენით სამუშაოებს აწარმოებენ, რაც ქართულმა მხარემ უზრუნველყო.

როგორც ცნობილია, ოსურმა მხარემ ქართულ სოფლებს სარწყავი წყალი ცხინვალისკენ მიმავალი გზის გადაკეტვის გამო შეუწყვიტა. **მედიანიუსი**

### ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებელთათვის კონკურსი გამოცხადდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებელთა კონკურსის შესახებ, განცხადებას აქვეყნებს. უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ცნობით, საქართველოს მისიის პროგრამა "junior faculty Development" ამერიკის განვითარების სააგენტოს "იუესაიდის" მიერ დაფინანსდება.

როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, პროგრამა ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებელთათვის, აშშ-ის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში, 5-თვიან სტაჟირებას ითვალისწინებს. სტაჟირება 2007 წლის იანვარში დაიწყება და მაისში დამთავრდება. კონკურსში მონაწილეობის მსურველთ პედაგოგიური საქმიანობის სულ ცოტა ორწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მთაწმინდა-კრწანისის გამგეობა უსინათლოებს ჰოთ-დოგებით გაუმასპინძლდება

დღეს, 10 აგვისტოს, ქვემო ფონიჭალაში არსებულ უსინათლოთა დასახლებაში მთაწმინდა-კრწანისის გამგეობის ინიციატივით საქველმოქმედო აქცია მოეწყობა.

როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" მთაწმინდა-კრწანისის გამგეობიდან აცნობეს, აღნიშნული აქცია გამგეობის ახალი პროგრამის "თქვენს გვერდით" ფარგლებში დაგეგმილი პირველი ღონისძიება, რომელიც შ.პ.ს. "შინჰოდის" მხარდაჭერით ტარდება. მასში ქართული შოუ-ბიზნესის ცნობილი სახეები არიან ჩართული.

როგორც გამგეობაში აცხადებენ, მთაწმინდა-კრწანისის გამგებელი დავით მესხიშვილი შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად უსინათლოთა დასახლებაში ღია ცის ქვეშ ჰოთ-დოგებს და ჰამბურგერებს დაამზადებს.

თავიანთი ხელით დამზადებულ საკვებით აქციის მონაწილენი უსინათლოებს გაუმასპინძლდებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ინდოეთში მომხდარი წყალდიდობის შედეგად 200-მდე ადამიანი დაიღუპა

ინდოეთში მომხდარი წყალდიდობის შედეგად 200-მდე ადამიანი დაიღუპა, 860 ათასი კი ევაკუირებულია. ქვეყნის სამხრეთ რაიონებში სტიქიამ 71 ათასი სახლი დაანგრია და დააზიანა. მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები.

აღმოსავლეთ ეთიოპიაში კი წყალდიდობას 210 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათგან 40 ბავშვია. 300-მდე ადამიანი დაკარგულად ითვლება. ეთიოპიაში წყალდიდობის მიზეზი მდინარე დეჩატუს კალაპოტიდან გადმოსვლა გახდა. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფარულავა. პაატა ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (Weekend), ნიკა თარამელი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რეგიონები), კახა ფარულავა (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, ოთარ ქარია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ქართულ "მინისტერიალზე" კონფლიქტების შესახებ მსჯელობენ

პირველი გვერდიდან

ქართულ "მინისტერიალზე" რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. კერძოდ, გამოითქვა მზადყოფნა, რომ 20 აგვისტოდან გაერო-ს მონიტორინგის ჯგუფმა კოდორის ხეობის ინსპექტირება დაიწყოს. გარდა ამისა, როგორც გელა ბეჟუაშვილი აცხადებს, ოფიციალური თბილისის კატეგორიული მოთხოვნაა, რომ გაერო-ს მონიტორინგი კოდორის ქვედა ზონაშიც - გულრიფშისა და ტყვარჩელის რაიონებშიც ჩატარდეს. საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, საქართველოს ხელისუფლება ამ წინადადებით იმიტომ გამოდის, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებები იმყოფებიან. როგორც ირკვევა, თავდაპირველად, მინისტრები აპირებდნენ, გუდაუთის სამხედრო ბაზის მონიტორინგის საკითხიც დაეყენებინათ, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრეს - გუდაუთის სამხედრო ბაზის მონიტორინგს სხვა, კერძოდ კი, სტამბოლის შეთანხმება ითვალისწინებს და, ამდენად, მისი მიბმა გაერო-ს ეგიდით გაფორმებულ მოსკოვის ხელშეკრულებაზე არასწორი იქნებოდა.

**"მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო უარს ამბობს გუდაუთის ბაზის საერთაშორისო ინსპექტირებაზე,"** - აზუსტებს საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი.

პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება მუშაობას აგრძელებს კონფლიქტის ზონებში განთავსებული რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლებაზე, თუმცა, გელა ბეჟუაშვილი აღიარებს, რომ ამ საკითხზე რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება, ჯერჯერობით, მიღებული არ არის.



*საქართველოს ხელისუფლება მუშაობას აგრძელებს კონფლიქტის ზონებში განთავსებული რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლებაზე.*

გუშინდელი საკოორდინაციო შეხვედრის დასრულების შემდეგ, ოთხივე მინისტრმა თავისი მოსაზრებები საჯაროდ გამოთქვა.

**"სამშვიდობო მისია, რომელსაც რუსი სამშვიდობოები ასრულებენ, მეტად არაეფექტურია. კონფლიქტის ზონებში ისინი სიტუაციას ვერ აკონტროლებენ, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსი სამშვიდობოების ყოფნის მიზანშეწონილებაში ეჭვი შევიტანოთ,"** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

მისი კოლეგა ირაკლი ოქრუაშვილი კი **"ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხეებზე"** აკეთებს აქცენტს და მათ გასანეიტრალებლად, მზად არის, რუსი სამშვიდობოების საერთაშორისო პოლიციური ძალებით ჩანაცვლების ნებისმიერ სცენარზე დათანხმდეს.

რუსული სამშვიდობო ძალების კრიტიკის გარდა, გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მინისტრებმა კიდევ ერთხელ გამოთქვეს მზადყოფნა და სურვილი, რომ ორმხრივი ქართულ-აფხაზური დიალოგი განახლდეს. სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში მერაბ ანთაძე იმედოვნებს, რომ ქართულ-აფხაზური საკორდინაციო საბჭოს შეხვედრა უახლოეს მომავალში გაიმართება.

**"მოვუწოდებთ აფხაზურ მხარეს, რომ მოლაპარაკებების მაგიდასთან დაბრუნდეს. მით უმეტეს, რომ მათი პრეტენზიები აბსოლუტურად უსაფუძვლოა,"** - აღნიშნავს მერაბ ანთაძე.

რამდენიმე დღეში საგარეო საქმეთა სამინისტროში უცხოელ დიპლომატებს მიიწვევენ და მათ კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ ვითარებას გააცნობენ. მანამდე კი უცხოელ დიპლომატებს თავდაცვის სამინისტრომ "უმასპინძლა". გუშინ თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ მამუკა კუდავამ საქართველოში აკრედიტებული ელჩები და სამხედრო ატაშეები მიიღო და მათ, ძირითადად, კოდორის თემაზე ესაუბრა.

სტუმრებს მიაწოდეს ამომწურავი ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროს როლზე კოდორის ხეობაში განხორციელებული ანტიკრიმინალური ოპერაციის დროს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ თავდაცვის სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ ლოჯისტიკური უზრუნველყოფით დაეხმარა. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს და სამხედრო ატაშეებს განემარტათ, რომ კოდორის ხეობაში ამჟამად აბსოლუტური სიმშვიდეა, თუმცა ზოგჯერ რუსი სამშვიდობოების მხრიდან პატარა პროვოკაციები მაინც ხდება.

ვიდრე თბილისში პოლიტიკოსები და დიპლომატები კონფლიქტების მოგვარების გზებს ეძებენ, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან სისხლიანი ინციდენტები გრძელდება. გუშინ, სოფელ ნაბაკევთან, აფხაზეთის სამართალდამცავებმა, სამშაბათს მომხდარი შეტაკებისას დაღუპული მანუჩარ ფანცულაიას ცხედრის გამოყვანისას, ქართველების მისამართით ცეცხლი გახსნეს. 10-წუთიანი სროლის შედეგად, აფხაზებმა დაჭრეს 3 და მძევლად აიყვანეს 6 ქართველი.

მძევლები გალის პოლიციაში არიან გადაყვანილნი. მათ შორისაა მანუჩარ ფანცულაიას მამაც, რომელიც შვილის ცხედრის გადმოყვანას რამდენიმე ახლობელთან ერთად ცდილობდა.

*24 საათი*

# ცხინვალი პროვოკაციულად საუბრობს პროვოკაციაზე

*"თბილისის რეჟიმი აგრძელებს პროვოკაციის ტაქტიკას არა მხოლოდ სამხედრო, არამედ დიპლომატიურ და პოლიტიკურ დონეზეც", - ასეთი შინაარსის განცხადება სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა რუსეთში, დიმიტრი მედოევმა სააგენტო "რეგნუმთან" საუბრისას გააკეთა. მედოევი ამ განცხადებით, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მერაბ ანთაძის განცხადებას გამოეხმაურა.*

ნათია მსხილაძე

დიმიტრი მედოევის გაღიზიანება, სახელმწიფო მინისტრის მერაბ ანთაძის იმ განცხადებამ გამოიწვია, რომლის თანახმადაც, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე საქართველო დაგომისის შეთანხმების დენონსაციის შესახებ საკითხის დაყენებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ საუბარია 1992 წელს ხელმოწერილ შეთანხმებაზე, რომლის საფუძველზეც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოები იმყოფებიან.

**"შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ რუსი სამშვიდობოები მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტია რეგიონში. მათი გაყვანა და შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობის შეწყვეტა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის მხოლოდ დაძაბვამდე მიგვიყვანს"** , - აცხადებს მედოევი.

დიმიტრი მედოევმა ასევე, პროვოკაცია უწოდა სოფელ ავნევში ქართველ პოლიციელთა მანქანის დაცხრილვის ფაქტს. მისი მტკიცებით, **"ეს საქართველოს მიერ კარგად დაგეგმილი პროვოკაცია იყო"**, რომელიც ქართველი პოლიციელების წინააღმდეგ ისევ ქართველებმა ჩაიდინეს, რათა **"გამოეყენებინათ ეს ფაქტი ოსური მხარის დასადანაშაულებლად და დამატებითი საპოლიციო კონტინგენტის შესაყვანად"**.

მედოევი მიიჩნევს, რომ პოლიციელთა კონცენტრაცია კონფლიქტის ზონაში **"საშიში სიმპტომია"**, რაც იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ **" სამხრეთ ოსეთში ვითარება კოდორის სცენარით იწყებს განვითარებას"**.

დეფაქტო სამხრეთ ოსეთის საგაერო საქმეთა მინისტრის მურატ ჯიოევის მტკიცებით კი, საქართველოში ტრადიციად იქცა ყველაფერში, **" მიზეზით თუ უმიზეზოდ რუსეთისა და რუსი სამშვიდობოების დადანაშაულება"**.

სოფელ ავნევის რაიონში ქართული პოლიციის დამატებითი კონტინგენტის შეყვანას ოსური მხარე უკანონოდ აფასებს. დეფაქტო სამხრეთ ოსეთის პირველი ვიცე-პრემიერი ბორის ჩოჩიევის თქმით, პოლიციელთა დაჭრის ინციდენტის საბაბით ავნევში დამატებითი კონტინგენტის შეყვანა არ არის კანონიერი. მისივე განცხადებით, ამ საკითხს ოსური მხარე მოსკოვში დაგეგმილ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე აუცილებლად დააყენებს. როგორც ჩოჩიევი აღნიშნავს, ნებისმიერი ქვედანაყოფის კონფლიქტის ზონაში შეყვანა შეთანხმებული უნდა იყოს შერეულ საკონტროლო კომისიასთან, თუმცა **"საქართველომ უკვე მერამდენედ მოახდინა ამ პროცედურის იგნორირება"**, - აღნიშნა ჩოჩიევმა.

# იუშენკოს გენეტიკური ექსპერტიზის გავლას ურჩევენ

ადამიანმა, რომელიც თავის თავს ვიქტორ იუშენკოს უწოდებს, გენეტიკური ექსპერტიზა უნდა გაიაროს", - ამ მოთხოვნით უკრაინის პრეზიდენტს, ამავე რესპუბლიკის 16-მა მოქალაქემ ექიმ-პედიატრ ვიქტორია ომელჩენკოს მეთაურობით მიმართა.

აღნიშნული მოთხოვნა - სახელმწიფოს მეთაურმა გენეტიკური ექსპერტიზა 9 სამედიცინო დაწესებულებაში გაიაროს და შედეგები საზოგადოებას აცნობოს, - მისთვის უკვე გაგზავნილია.

"წინააღმდეგ შემთხვევაში", - ნათქვამია მოთხოვნაში - "უკრაინელი ხალხი დამშვიდდება და თავს მოტყუებულად არ ჩათვლის და იფიქრებს რომ იანუკოვიჩის პრემიერად დანიშვნის ბრძანებაზე გაყალბებული ხელმოწერა დგას".

"ის იუშენკო, რომელიც მაიდანზე იდგა და ამტკიცებდა, რომ ბანდიტების ადგილი ციხეშია - მხოლოდ ორი წლის გასვლის შემდეგ ვერ უღალატებდა თავის ერს. ჩვენ მაიდანზე ამ პრეზიდენტის გულისთვის არ ვიყინებოდით!", - ნათქვამია განცხადებაში. იქვე მოყვანილია ნამდვილი ვიქტორ იუშენკოს ადგილმდებარეობის მათეული ვერსიაც: "იგი ან მოწამლის შედეგადაა გარდაცვლილი ან ციხეში იმყოფება სადმე", - ამბობენ განმცხადებლები. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ისრაელმა ლიბანი დაბომბა

ისრაელმა ლიბანში პალესტინელ დევნილთა უმსხვილესი ბანაკი დაბომბა. შემთხვევა საიდთან ახლოს მოხდა, სადაც 50 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს. დაბომბვის შედეგად სულ მცირე ორი ადამიანი დაიღუპა, რვა კი დაიჭრა, მათ შორის ხუთი ბავშვია.

ამასთან ვრცელდება ინფორმაცია, რომ ისრალიეს ავიაციის დაბომბვის შედეგად "ჰესბოლას" ერთ-ერთი პოლიტიკური ხელმძღვანელი ჰასან სადერი დაიღუპა.

ლიბანური პოლიციის მტკიცებით, დაიბომბა სადერის სახლი და მასთან ერთად მისი მეუღლე და ხუთი შვილი დაიღუპა.

ისრაელის სარდლობის ინფორმაციით, წუხელ ისრაელის ავიაციამ იერიში 120 ობიექტზე მიიტანა.

ლიბანური დაჯგუფება "ჰესბოლა" კი განაგრძობს წინააღმდეგობის გაწევას. "ბოევიკები" ამტკიცებენ, რომ მათ ალ-აჯაბალის მახლობლად ებრაული სპეცდანიშნულების რაზმის შეტევა მოიგერიეს. თელ-ავივი ამ ფაქტზე კომენტარს ჯერ არ აკეთებს. **ინტერპრესნიუსი**

# პირველი წყალქვეშა არქეოლოგიური გათხრები

## უძველესი ყორღანები ფარავნის ტბის ფსკერზე

დიანა ჩაჩუა

*ფარავნის ტბა ორი დღის წინ საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ შვეიცარიულ-ქართული კომპანია "ვისოლის" მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით, სამეცნიერო ექსპედიცია ქვეყნის უდიდესი ტბის ფარავნის ფსკერს იკვლევს, სადაც წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით ადრებრინჯაოს ხანის ყორღანებია აღმოჩენილი. ასე რომ, შესაძლოა, სულ მალე ამ აღმოჩენამ რეგიონის პალეოგეოგრაფიული სურათი სრულებით შეცვალოს და ქართველ გეოლოგებს, ჰიდროლოგებს, სეისმოლოგებს და არქეოლოგებს ერთი ფრიად სერიოზული საფიქრალი გაუჩინოს: თუ ორი ათასი წლის წინ ფარავნის ტბის ტერიტორიაზე ტბა არ არსებობდა, მაშინ რა იყო აქ?*

ფარავნის ტბის ფსკერიდან ძალიან მნიშვნელოვანი ნიმუშებია ამოღებული. მათ შორის, ჩვენს წელთაღიცხვამდე და ჩვენი წელთაღრიცხვის პერიოდის ნიმუშებიც. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დღემდე საქართველოში წყლის ქვეშ მსგავსი არქეოლოგიური სამუშაოები არ ჩატარებულა.

**"ფარავნის ტბის ფსკერზე, ფაქტობრივად, ადამიანის ხელით შექმნილი კონსტრუქციის არსებობა დასტურდება. უკვე მესამე წელია ამ ადგილს ვიკვლევთ და ვრწმუნდებით, რომ ეს ასეა. ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანია, არა მარტო არქეოლოგიის თვალსაზრისით, არამედ სეისმოლოგიისათვის, გეოლოგიისა და ჩვენი გარემოს ისტორიისათვისაც,"** - გვიყვება ფარავნის ექსპედიციის ხელმძღვანელი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი პარმენ მარგველაშვილი. მისი თქმით, ფარავნის ტბა ისტორიულად ყველა ეპოქაში მოიხსენიება. ეს ტბა თავიდანვე საქართველოში ქრისტიანობის შემოსავლის გასაყართან აღმოჩნდა. წმინდა ნინომ ფარავნიდან სამცხემდე მიდამოები ფეხით გადასერა, შემდეგ კი, მირიან მეფის თხოვნით, რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის მოციქულებმა გადმოიარეს ეს ადგილი. აი, რას ვკითხულობთ წმინდა ნინოს მონათხრობში ფარავნის ტბაზე: "დავიძინე გარდასადინელსა მის ტბისასა".

ტბის ზედაპირის სარკე ზღვის დონიდან 2 073 მეტრზე მდებარეობს. ფართობი 37,6 კვადრატული მეტრი. სხვათა შორის, ტბის გარშემო, მთელ პერიმეტრზე და მიმდებარე ბორცვებზე მრავლადაა ისტორიულ ეპოქათა ნაშთები.

**"ცნობილია, რომ ეს გეოლოგიური ტბაა. ამიტომაცაა ეს მოულოდნელი აღმოჩენა. გეოლოგიურ წარმონაქმნში ისტორიული ნაშთები არ უნდა გვხვდებოდეს. გამოდის, რომ ისტორიულ ეპოქაში მოხდა გეოლოგიური ძვრები, რომლებმაც გარკვეული ცვლილებები გამოიწვია. ფარავნის ტბის ტერიტორიაზე როდის, რა მოხდა, რთული სათქმელია,** - დასძენს ექსპედიციის ხელმძღვანელი, რომელიც უკვე მეორე კვირაა 20-კაციან ჯგუფთან ერთად ტბის მიმდებარე სოფელ როდიონოვკაში იმყოფება და ტბის ფსკერზე დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებს, - **თუ მოვასწარით უახლოეს დღეებში კამერამდე (აკლდამამდე) ჩასვლაა დაგეგმილი. ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესია. მიწის ზევითაც კი რთულია ერთ სეზონში გათხრა. ამ სეზონზე ჩვენ საკმარისი სამუშაოები ჩავატარეთ, იმისთვის, რომ ამ სამუშაოებს შედეგიანი ვუწოდოთ."**

ფარავნის ექსპედიციის დაწყებაში ყველაზე დიდი წვლილი თსუ-ს მაგისტრანტს ირმა მაკალათიას მიუძღვის, რომელიც ახლა საუნივერსიტეტო ჯგუფის ხელმძღვანელია. **"ეს ძალიან გამოუკვლევი მხარეა. 2000 წელს აქ პატრიარქის დახმარებით ჩამოვედით. შემდეგ უკვე ცალკე ჯგუფი გამოვყავი და ამ ადგილების შესწავლა დავიწყეთ,"** - იხსენებს მაკალათია. 2001 წელს ეს ჯგუფი როდიონოვკაში ძველ ჰიდრომეტეოროლოგიურ ბაზაზე დამკვიდრდა. დროთა განმავლობაში, შეძლებისდაგვარად, კოტეჯებიც აღადგინეს. 2003 წლიდან კი ექსპედიციაში აკვალანგისტებიც ჩაერთვნენ.

ორი დღის წინ თბილისიდან სამცხე-ჯავახეთში ჟურნალისტთა პირველი ჯგუფის ჩასვლა სწორედ ამ დაზვერვით სამუშაოებს დაემთხვა. ექსპედიციის წევრებისთვის საბედნიეროდ ამ პერიოდში წყალქვეშა სამუშაოებისთვის იდეალური ამინდები იყო.



"Inteligence group"-ის ფოტო

წყალქვეშა არქეოლოგიური გათხრები საკმაოდ ძვირად ღირებული სამუშაოა. ამიტომაც ექსპედიციის წევრების თქმით, შვეიცარიულ-ქართული კომპანია "ვისოლის" მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სხვათა შორის, "ვისოლი" ახორციელებს გრძელვადიან კამპანიას - "მწვანე მსოფლიო", რომელიც საქართველოში გარემოს დაცვითი ღონისძიებებზე და საზოგადოებრივ აქტიურობაზეა ფოკუსირებული.

როგორც ჩანს, შვეიცარიულ-ქართული კომპანია (მან 50-ზე მეტი ავტო-გასამართი სადგური გახსნა საქართველოში, მათ შორის 21 - თბილისში, ხოლო დანარჩენი ქვეყნის სხვა კუთხეებში), წარმატებულ ბიზნესს საქველმოქმედო საქმიანობასაც წარმატებით უთავსებს.

რამდენიმე დღის წინ ფარავნის ექსპედიციას შვედეთის წყალქვეშა არქეოლოგიის ცენტრიდან ერთი ქალბატონი ეწვია და აღმოჩენით და ქართველების მუშაობის პირობებით ძლიერ გაოცდა. **"არსებობს შანსი, რომ შვედეთიდან დახმარება მივიღოთ,"** - ჰყვებიან ექსპედიციის წევრები. ყველაფერთან ერთად სირთულე ისიც ყოფილა, რომ ტბაში მხედველობა საერთოდ არ არის და აკვალანგისტებს მუშაობა ხელის ცეცებით უწევთ.

მალე სამცხე-ჯავახეთში სიცივეები დაიწყება და ფარავნის ტბის ზედაპირი ყინულით დაიფარება. იქამდე კი, ფარავნის ექსპედიციის წევრები ერთი მეტრის გათხრას შეეცდებიან და იმედი აქვთ, რომ ტბაში სამარხს მიაგნებენ. ტბის ფსკერზე დამალული იდუმალი ნაშთების კვლევა-ძიებას კი თემურ მსხვილიძე, ამირან ჯამრიშვილი, ნოდარ თხელიძე, ეკა ალექსანდრია და ექსპედიციის სხვა წევრები მომავალ ზაფხულს შეუდგებიან. იქამდე კი საფიქრალიც ექნებათ: ტბაში აღმოჩენილი კერამიკის ნანგრევები და სხვა ნიმუშები ჯერ კიდევ კარგადაა შესასწავლი.

# უსაფრთხოების ქამარი სუვერენული დემოკრატიისთვის

რუსული გაზეთი "ნეზავისიმაია გაზეტა" აქვეყნებს სტატიას სათაურით "უსაფრთხოების ქამარი სუვერენული დემოკრატიისთვის". მასში საუბარია გერმანიის მზადებაზე 2007 წლიდან ევროკავშირის თავმჯდომარეობისთვის. გერმანიის ფედერალური ხელისუფლების გეგმებს შორის ერთ-ერთი გეგმა პოსტსაბჭოთა სივრცეში ევროპული პოლიტიკის უპრეცედენტო აქტივიზაციას ითვალისწინებს.

გეგმის თანახმად, გერმანია მოითხოვს, რომ ერთიანმა ევროპამ აქტიურად იბრძოლოს პოსტსაბჭოთა რეგიონში გავლენისთვის, სადაც "ახლა ერთმანეთს აქტიურ კონკურენციას აშშ და რუსეთი უწევენ".

ბერლინის მიერ შემუშავებული გეგმა უკრაინაში, მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დემოკრატიისა და სტაბილურობის ექსპორტს ითვალისწინებს.

როგორც გამოცემა იუწყება, ბერლინმა არც ბელორუსი დაივიწყა, თუმცა მინსკით ევროპა მას შემდეგ დაკავდება, "რაც იქ ყველა შესაბამისი წინაპირობა შესრულდება, ანუ ხელისუფლება შეიცვლება".

როგორც "ნეზავისიმაია გაზეტა" იუწყება, ჯერ კიდევ აპრილში გაჩნდა გერმანულ პრესაში მინიშნება "ევროკავშირის ახალი აღმოსავლეთ პოლიტიკის" გეგმის შემუშავების შესახებ, სადაც ცენტრალური საკითხი სწორედ კავკასია უნდა ყოფილიყო. ახლა, გამოცემის თანახმად, ამ სამეზობლო პოლიტიკის იდეას ხორცი შეესხა დოკუმენტის სახით, რომელსაც "სამეზობლო პოლიტიკას პლუს" ჰქვია და რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაგეგმარების შტაბმა შეიმუშავა. **ინტერპრესნიუსი**

# რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზეთიდან 43 აბიტურიენტი ჩაირიცხა

დღეს აფხაზეთის სეპარატისტული აფხაზეთის ვიცე-პრემიერი ლეონიდ ლაკერბაია რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზეთისათვის გამოყოფილი ლიმიტებით სწავლის კანდიდატებს შეხვდა.

სულ წელს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზეთიდან 43 აბიტურიენტი ჩაირიცხა.

აფხაზეთს წელს რუსეთის სასწავლებლებში გამოყოფილი ჰქონდა ლიმიტები შემდეგ ფაკულტეტებზე: "მიწის კადასტრი", "არქიტექტურა", "საქალაქო მშენებლობა", "სამრეწველი და სამოქალაქო მშენებლობა", "საავტომობილო გზები და მშენებლობა", "ექსპერტიზა და უძრავი ქონების მართვა", "ანტიკრიზისული მართვა", "ქსელები და სისტემათა კომუნუკაციები", "მრავალარხიანი ტელეკომუნიკაციური სისტემები", "რადიო და ტელევიზია", "მიწისზედა სატრანსპორტო სისტემები" და "გაზმომარაგება და ვენტილაცია".

პრემიერმა ლაკერბაიამ შეხვედრის მსვლელობისას დამსწრეებს ერთი სიახლეც აუწყა. წელს აფხაზეთი სურვილისამებრ ისეთ ფაკულტეტებზე აიღებს ლიმიტებს, რომლებიც სახელმწიფოსთვის იქნება აუცილებელი.

"გამოყოფილი ლიმიტები ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, ვინაიდან ტექნიკური სპეციალისტების მწვავე დეფიციტს განვიცდით", - აღნიშნა ე.წ. ვიცე-პრემიერმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მოკლედ

## სანდრო ჭეიშვილი იპოვეს

საქართველოს რაგბის ნაკრების მწვრთნელის, მალხაზ ჭეიშვილის ვაჟი, 17 წლის სანდრო ჭეიშვილი ცოცხალი იპოვეს.

სანდრო ჭეიშვილი გუშინწინ გამთენიისას, კიკეთში დაიკარგა. იგი მეგობრებთან ერთად კიკეთში ისვენებდა, გამთენიისას კი კოტეჯიდან ნასვამი მარტო გავიდა და გაუჩინარდა. კვალი, რომელსაც კინოლოგიურმა სამსახურმა მიაგნო, ერთ-ერთ ხევთან შეწყდა და ძაღლებმა ძებნის გაგრძელება ველარ შეძლეს. ხევში ძებნა შეწყვიტეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, რადგან ამ დროისთვის სანდრო ჭეიშვილის დაკარგვასთან დაკავშირებული დანაშაულის ნიშნები არ არსებობს.

ჭეიშვილს სამართალდამცველები, სამაშველო ჯგუფის წევრები, სამხედროები, კინოლოგები, სპორტსმენები და ნათესავები ეძებდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სამი პატიმარი გარდაიცვალა

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი, 71 წლის ილიკო იანიკოვი გარდაიცვალა. პატიმარი ქსნის N7 საპყრობილედან სამკურნალო დაწესებულებაში 2006 წლის 9 მაისს მწვავე ნაწლავური ინფექციისა და ათეროსკლეროზური ენცეფალოპათის დიაგნოზით გადაიყვანეს. მას თავის ტვინში მრავლობითი დარბილების კერები აღენიშნებოდა. წინასწარი მონაცემებით, ავადმყოფის გარდაცვალების მიზეზი გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა.

ილიკო იანიკოვი 2003 წლის 5 დეკემბერში განზრახ მკვლელობის ბრალდებით იყო დაკავებული და 15 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის მე-5 საპყრობილეში პატიმარი, 54 წლის თემურ ჩიჩუა შინაგანი სისხლდენის გამო კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდა. იგი სასწრაფო დახმარების ავტომანქანით მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანისას გარდაიცვალა. ჩიჩუა ნარკოტიკული დანაშაულისათვის 2006 წლის 4 აგვისტოს იყო დაკავებული.

ციხის საავადმყოფოში პატიმარი, 41 წლის კახაბერ შავშიშვილი გარდაიცვალა. კახაბერ შავშიშვილი თბილისის №5 საპყრობილედან მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 8 აგვისტოს სასწრაფო წესით გადაიყვანეს.

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, ავადმყოფს უცნობი ეტიოლოგიის კომატოზური მდგომარეობა და ტვინის შეშუპების დიაგნოზი დაუდგინდა. სიკვდილის სავარაუდო მიზეზი დაავადების ფონზე განვითარებული გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა.

კახაბერ შავშიშვილი შსს-ს ოპერატიულმა დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 13 ივნისს ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დააკავეს. **ინტერპრესნიუსი**

## შეიარაღებული ფორმირების წევრი დააკავეს

ინგუშეთში, ჯეიფახის რაიონში, საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას, უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრი დააკავეს.

ინგუშეთის სამართალდამცველ ორგანოთა განცხადებით, უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრი, სმოლენსკის ოლქის მკვიდრია.

მათივე მტკიცებით, დაკავებული 1997 წლის დეკემბრიდან 1998 წლის მაისამდე ბანდ-დაჯგუფების წევრი იყო და წვრთნას გადიოდა დივერსიულ ტერორისტულ ცენტრ "კავკასიაში". **ჯი-ეიჩ-ენი**

## ცნობილი ბიზნესმენი მოკლეს

სომხეთში მოკლეს ცნობილი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე, ბავშვათა უფლებების დამცველი ალექსანდრ გივოევი. მკვლელობა აშტარაკ-გიუმრის ავტომაგისტრალზე მოხდა.

როგორც სომხეთის გენერალურ პროკურატურაში, აცხადებენ მოკლულს მიყენებული აქვს მრავალრიცხოვანი ჭრილობა.

საკუთარი ავტომანქანა "გრანდ ჩეროკით" მიმავალი გივოევი გზად მაღაზიასთან შეჩერდა. ამ დროს მას მიუახლოვდა წითელი ფერის ვაზ-2109, საიდანაც უცნობმა პირმა ცეცხლი გახსნა. სროლისას დაიღუპა მაღაზიის გამყიდველიც. მომხდარ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სემინარი ნოტარიუსებისთვის

იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, ნოტარიუსების, საჯარო რეესტრისა და საგადასახადო სამსახურების მუშაობის კოორდინაციას მიეძღვნება სემინარი, რომელიც საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ორგანიზებით, 12 აგვისტოს ზუგდიდში გაიხსნება.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს სამეგრელოსა და გურიის რეგიონების 30-მდე ნოტარიუსი, იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის დეპარტამენტისა და ნოტარიუსთა პალატის, ასევე იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრისა და ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლები.

სემინარზე განიხილება ქონებაზე უფლების რეგისტრაციისას ნოტარიუსების, საჯარო რეესტრისა და საგადასახადო სამსახურების კომპეტენციის საკითხები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. **ინტერპრესნიუსი**

## პასპორტის რეკორდული რაოდენობა გაიცა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებიდან 2006 წლის ივლისის თვეში 62 237 მოქალაქის პირადობის მოწმობა და 30 160 მოქალაქის პასპორტი გაიცა.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით, ივლისის თვეში გაცემული პასპორტების რაოდენობა რეკორდული იყო. დღემდე ეს მონაცემი ყოველთვიურად 8 ათასიდან 26 ათასამდე მერყეობდა.

მოქალაქის პირადობის მოწმობა და პასპორტი განცხადების შეტანიდან მე-10 დღეს გაიცემა. 2006 წლის თებერვლიდან შესაბამისი გადასახადია დაწესებული დაჩქარებული მომსახურებისათვის, რომლითაც ბევრი მოქალაქე სარგებლობს.

ივლისში მოქალაქის პირადობის მოწმობა, დაჩქარებული წესით, განცხადების შეტანის დღესვე 3560-მა მოქალაქემ აიღო, 24 საათის გასვლის შემდეგ - 1897-მა, მე-3 დღეს - 7419-მა, მე-5 დღეს - 4666-მა, ხოლო მოქალაქის პასპორტი განცხადების შეტანის დღესვე აიღო 687-მა მოქალაქემ, 24 საათის გასვლის შემდეგ - 337-მა, მე-3 დღეს - 1593-მა, მე-5 დღეს კი - 5129-მა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სასაზღვრო პოლიცია ახალი კადრებით დაკომპლექტდება

სასაზღვრო პოლიციამ ახალი კადრების შერჩევის მიზნით კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში გამარჯვებულები შესაბამის თანამდებობებს დაიკავებენ სასაზღვრო პოლიციის რეგიონალურ განყოფილებებში.

ახალი კადრებით დაკომპლექტდება, ასევე, სანაპირო დაცვისა და სწრაფი რეაგირების სამსახურები. მნიშვნელოვანი საკადრო გადახალისება მოხდება საზღვრის დაცვის პოლიციის ცენტრალურ აპარატში.

როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტში აცხადებენ, კონკურსში მიღების სურვილი 1000 ადამიანმა გამოთქვა. განყოფილებებისა და ცენტრალური აპარატის დაკომპლექტება კი უახლოეს პერიოდში დაიწყება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჯარიმა მცირე რაოდენობით ნარკოტიკების მომხმარებლისთვის

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, მცირე რაოდენობის ნარკოტიკების შეძენა, გასაღების მიზნის გარეშე, 500 ლარით ჯარიმდება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები 15 აგვისტოდან ამოქმედდება.

გამონაკლის შემთხვევებში სასჯელი, შესაძლოა, არასაკმარისად ჩაითვალოს და მას 30-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა დაემატოს.

კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, პირი, რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას და ასევე ნებაყოფლობით მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას სამედიცინო დახმარების მისაღებად, აღნიშნული პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ცვლილება სამართალდარღვევათა კოდექსში

ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებების მართვა 3-წლიანი მართვის უფლების ჩამორთმევით დაისჯება. იგივე სასჯელი ელის პირს, თუ სატრანსპორტო საშუალებას ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფ პიროვნებას ათხოვებს.

აღნიშნული წესები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე განხორციელდება და ძალაში 15 აგვისტოდან შევა.

განსხვავებული ვითარებაა უცხოელი მოქალაქეების მიმართ. ისინი ზემოაღნიშნული დანაშაულებისთვის 300 ლარის ოდენობის ჯარიმას გადაიხდიან.

პირს, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად იმუნიტეტით სარგებლობს, არც ერთი ადმინისტრაციული სასჯელი არ შეეფარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზეთში შეიარაღებული პირები დააკავეს

გალის რაიონში 4 შეიარაღებული დივერსანტი დააკავეს. ამის შესახებ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებულმა გალის რაიონში რუსლან ქიშმარიამ განაცხადა.

ქიშმარიას თქმით, შეირაღებული პირები იმ დროს დააკავეს, როცა ისინი გალის რაიონიდან უკან, ზუგდიდში აპირებდნენ დაბრუნებას. დაკავებისას ლიკვიდირებულ იქნა ერთი დივერსანტი. მისივე ინფორმაციით, დაკავებულებს ოჩამჩირის მაცხოვრებლის ვინმე ხაშბას გატაცებაც ედებათ ბრალად. აღნიშნულ პირებთან ერთად დაკავებული არიან სოფელ ქვემო ბარგების მცხოვრებნი, რომლებიც "დივერსანტებს დახმარებას უწევდნენ".

როგორც აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის შს სამინისტროში აცხადებენ, ამ დროისთვის დაკავებულები ჩვენებას იძლევიან. მათ უკვე აღიარეს, რომ 1998 წლიდან გალის რაიონში ძარცვასა და ადამიანთა გატაცებას ეწევიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ლაშა ჩხარტიშვილის მეორე პატიმრობა

"თანასწორობის ინსტიტუტის" ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი ადმინისტრაციული წესით უკვე მეორედ დააპატიმრეს. დაპატიმრების მიზეზი ამირან რობაქიძის საქმის სასამართლო განხილვის დროს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრებსა და სასამართლოს მანდატურებს შორის მომხდარი ინციდენტი გახდა.

ლაშა ჩხარტიშვილი, 8 აგვისტოს, ტელეკომპანია "კავკასიის" გადაცემა "სპექტრში" მონაწილეობის შემდეგ, ღამის ცხრა საათზე, საპატრულო პოლიციამ დააკავა და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ლაშა ჩხარტიშვილს ადმინისტრაციული სასჯელის სახით ორდღიანი პატიმრობა შეუფარდა - საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს მანდატურის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის. პროცესი ღამის 3 საათზე დაიწყო და გამთენიისას, 6 საათზე დასრულდა. ლაშა ჩხარტიშვილი წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება, სადაც ორი დღე მოუწევს ყოფნა.



ლაშა ჩხარტიშვილი მანდატურებთან ინციდენტის გამო დააპატიმრეს.

არასამთავრობო ორგანიზაციები ლაშა ჩხარტიშვილის დაკავებას აპროტესტებენ და დაპატიმრების დროს დაშვებულ კანონდარღვევებზე საუბრობენ.

ლაშა ჩხარტიშვილის ადვოკატის გელა ნიკოლეიშვილის განცხადებით, სასამართლო პროცესზე მთელი რიგი საპროცესო კანონდარღვევები დაფიქსირდა.

**"სასამართლოზე გამოცხადნენ სასამართლო მანდატურები, რომლებმაც ვერ დაადასტურეს ჩხარტიშვილის მიერ მათი გინების ფაქტი. გარდა ამისა, პროცესზე არ მოუყვანიათ მოქალაქეები, რომელთა სიმშვიდის დარღვევასაც ჩხარტიშვილს ედავებიან",** - განაცხადა გელა ნიკოლეიშვილმა.

"თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლის გოგა ხაინდრავას განცხადებით, მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლება ქურდულად ცდილობს საზოგადოებას სიმართლე დაუმალოს.

**"გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, ირაკლი ოქრუაშვილი და სხვა ხელისუფლებაში მოკალათებული ადამიანები ჭეშმარიტად საბჭოთა აზროვნების ხალხია და ამას საზოგადოება მათ არჩევნების გზით დაუმტკიცებს,"** - განაცხადა ხაინდრავამ.

"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი კი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სასამართლოში მიმდინარე საპროცესო დარღვევებზე დაუყოვნებლივ რეაგირებას სთხოვს.

თინა ხიდაშელის განცხადებით, მანდატურების უფლებამოსილებაში არ შედის სასამართლოს შენობის გარეთ მოქმედება.

**"მანდატურებმა უხეშად დაარღვიეს კანონი და მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება არ მისცეს,"** - აცხადებს თინა ხიდაშელი, რომლის თქმითაც, იგი თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე გრიგოლ ბაშალეიშვილს პროცესს ესწრებოდა, რა დროსაც არაერთი კანონდარღვევა დააფიქსირა. მისი თქმით, პოლიცია ფაქტობრივად უარს აცხადებს სასამართლოს მოთხოვნის შესრულებაზე და არ ასახელებს იმ მოწმეების ვინაობას, რომელიც 2004 წლის 23 მაისს, 18 წლის ამირან რობაქიძის მკვლელობის ღამეს, შემთხვევის ადგილს მთელი ღამის განმავლობაში იღებდნენ.

**"როდესაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები არ აყოვნებენ არასამთავრობოების მშვიდობიან აქციებზე რეაგირებას, ამ შემთხვევაშიც დაუყოვნებლივ უნდა მისცენ პასუხისგებაში ის პირები, რომლებიც მართლმსაჯულების მიმართ უპატივცემულობას იჩენენ,"** - აცხადებს თინა ხიდაშელი, რომელმაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილს საკუთარი მოთხოვნები გუშინვე წერილობით გაუგზავნა.

*24 საათი*

ფოსტა

# "ქართველი ვარ და კარგი უნდა ვიყო"

პირველი გვერდიდან

**"სკოლაში ყველა საგანს ძალიან კარგად ვსწავლობ და ყველას ვუყვარვარ. ბერძნული და ინგლისური ძალიან კარგად ვიცი. ბიბლიოთეკაში ხშირად დავდივარ და ბევრს ვკითხულობ. კარგად ვთამაშობ ჩოგბურთს და ჩემპიონატშიც გავიმარჯვე. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ქართველი ვარ და კარგი უნდა ვიყო; იმიტომ, რომ მჯერა, თუ კარგი ვიქნები, ჩემს სამშობლოშიც ისევე შემიყვარებენ, როგორც ათენში",** - პრეზიდენტ სააკაშვილს წერს სანდრო იაშვილი, რომელსაც სამშობლოში დაბრუნების იმედი გადაწურული აქვს.

საქმე ისაა, რომ 13 წლის ბიჭი უცხო ქვეყანაში 70 წლის ბებიის იმედად არის დარჩენილი და მის მოქალაქედ აღიარებაზე უარს ამბობს, როგორც საქართველო, ქვეყანა, სადაც ის დაიბადა და რომლის მოქალაქეებიც მისი მშობლები იყვნენ, ასევე უცხო ქვეყანა - საბერძნეთი. მიზეზი ორივე შემთხვევაში კანონია, რომელიც მორალს არ ითვალისწინებს.

როგორც სანდრო იაშვილის ბიცოლამ მანანა ჯეჯელავამ გვითხრა, მას შემდეგ, რაც ბებიაშვილიშვილის სამშობლოში ჩამოყვანა გადაწყვიტეს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართეს, მაგრამ ისეთ ბიუროკრატიულ ბარიერს შეხვდნენ, რომ გამოსავალს ვეღარ პოულობენ.

**"სანდროს მშობლები რომ ნამდვილად საქართველოს მოქალაქეები იყვნენ, ფაქტია. იუსტიციის სამინისტროში სანდროს დედის პასპორტის ასლიც მივიტანე. სამინისტროში, სადაც მხოლოდ ტელეფონით მესაუბრებოდნენ და შეხვედრის საშუალებასაც არ მაძლევდნენ, მთხოვდნენ, დედის პასპორტის ორიგინალს, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ოფიციალურად ჩაგვაბარებინეს. ასლს კი ოფიციალურ დოკუმენტად არ სცნობენ, იმ მიზეზით, რომ წლების წინ ყალბი პირადობის დოკუმენტები გაიცემოდაო. მე ავუხსენი, რომ სანდროს საქართველოს მოქალაქეობის დასამტკიცებლად უამრავი საშუალება არსებობდა. თუნდაც სასამართლო, სადაც მას გვარი მისცეს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემი, რითაც დასტურდება, რომ ირინა ზერეკიძემ საზღვარი გადმოკვეთა და თბილისში გარდაიცვალა, მაგრამ სამწუხაროდ, ყველგან პრობლემებს გვიქმნიან. არადა, სახელმწიფო ხომ იმისთვის არსებობს, რომ საკუთარი მოქალაქეები დაიცვას და არა დაკარგოს",** - ამბობს მანანა ჯეჯელავა და დახმარებას ისიც პრეზიდენტს სთხოვს.

სანდრო იაშვილის პრობლემა ნაცნობია იუსტიციის სამინისტროსთვისაც, თუმცა შესაბამის სამსახურში ლოგიკურად მიიჩნევენ იმას, რომ უცხო ქვეყანაში გაზრდილი 13 წლის ბიჭი, რომელიც საქართველოში დაიბადა და რომლის მშობლებიც საქართველოს მოქალაქეები იყვნენ, საქართველოს მოქალაქე ვერ გახდება. მართალია, კანონით, საქართველოს მოქალაქის შვილი ავტომატურად სარგებლობს საქართველოს მოქალაქის სტატუსით, მაგრამ ეს სამართლებრივი ნორმა სანდროზე არ ვრცელდება. რადგანაც, საქართველოს მოქალაქედ არ ითვლება პირი, რომელსაც 1994 წელს არ გაუვლია მოქალაქეობის რეგისტრაცია. კანონში შეტანილი ამ ცვლილების დროს სანდროს მშობლები გარდაცვლილები იყვნენ და, შესაბამისად, ვერც რეგისტრაციას გაივლიდნენ.

ანუ, სანდრო იაშვილი, რომლის მშობლებმაც გარდაცვალების გამო, რეგისტრაცია ვერ გაიარეს, საქართველოს მოქალაქეების შვილად არ ითვლება და ამიტომაც, საქართველოს მოქალაქის სტატუსით ვერ ისარგებლებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს ბერკეტი, რომელიც ამ სამართლებრივ კაზუსს გადაჭრიდა.

**"ბატონო პრეზიდენტო, ძალიან მეტკინა გული, იმის გამო, რომ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მომცეს. საბერძნეთში, იმ ქუჩაზე, სადაც ვცხოვრობ და იმ სკოლაში, სადაც ვსწავლობ, ყველას ძალიან ვუყვარვარ. პირობას გაძლევთ, კიდევ უფრო კარგად ვისწავლი და როცა გავიზრდები, შევეცდები შორიდან გამოვადგე ჩემს ქვეყანას,"** - ასე ამთავრებს პრეზიდენტისადმი გამოგზავნილ წერილს საბერძნეთში მცხოვრები 13 წლის სანდრო იაშვილი.

უცხოეთი

## სამეფო ოჯახი რეაბილიტაციას ითხოვს

მოსკოვის საქალაქო სასამართლომ გააუქმა ტვერსკის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, რომანოვების სამეფო გვარის შთამომავლებს უარი ეთქვათ ნიკოლოზ მეორისა და მისი ოჯახის რეაბილიტაციაზე.

მოსკოვის სასამართლომ დააკმაყოფილა რომანოვების შთამომავლის წარმომადგენლის გერმანა ლუკიანოვას 144-გვერდიანი საკასაციო სარჩელი. რომანოვის ადვოკატი ოთხი საათის განმავლობაში აცნობდა სასამართლოს თავის პოზიციას და შედეგსაც მიაღწია - საქმე ხელახალი განხილვისთვის კვლავ ტვერსკის სასამართლოს დაუბრუნდა.

ტვერსკის სასამართლომ რომანოვების სამეფო ოჯახის შთამომავალს, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი 26 ივლისს განუცხადა.

რუსეთის ბოლო მეფისა და მისი ოჯახის წევრების რეაბილიტაციის საკითხი, რამდენიმე წელია, განიხილება. გასული წლის ბოლოს რომანოვების შთამომავალმა მარია რომანოვამ, რომელიც ესპანეთში ცხოვრობს, რუსეთის გენერალურ პროკურატურას მიმართა განცხადებით და მოითხოვა, სამეფო ოჯახის დახვრეტა ეცნოთ პოლიტიკურ დანაშაულად და გაეცათ ცნობა მეფისა და მისი ოჯახის რეაბილიტაციის თაობაზე. საქმის გაცნობის შემდეგ პროკურატურამ განაცხადა, რომ რეაბილიტაციის საფუძველი არ არსებობდა. პროკურატურის დასკვნით, სამეფო ოჯახი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი არ გამხდარა. სწორედ ამის შემდეგ მიმართა რომანოვების შთამომავალმა ტვერსკის სასამართლოს, რომელსაც საქმის განხილვა ახლა მეორედ მოუწევს.

## რუსეთის შსს-დან საიდუმლო დოკუმენტები დაიკარგა

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან დაიკარგა ორი სეიფი, რომელშიც სისხლის სამძებრო დეპარტამენტის საიდუმლო, ოპერატიული მასალა ინახებოდა. სამსახურებრივი გამოძიების შედეგად თანამდებობიდან გადააყენეს დეპარტამენტის ხელმძღვანელი გენერალ-მაიორი ალექსეი პავლოვი და შსს-ს სხვა თანამდებობის პირები.

საიდუმლო დოკუმენტებით სავსე სეიფის დაკარგვის ფაქტი რამდენიმე დღის წინათ გახდა ცნობილი. გავრცელებული ინფორმაციით, შსს-ს შენობაში, რამდენიმე ოთახში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, მათ შორის იმ ოთახშიც, სადაც სეიფი იდგა. მუშებმა სეიფები დერეფანში გამოიტანეს, სადაც რამდენიმე კვირა ეწყო.

"სეიფები გაიხსენეს მაშინ, როცა დეპარტამენტის თანამშრომლებს დასჭირდათ დოკუმენტები. როცა აღმოჩნდა, რომ სეიფები ოთახში არ იყო, განგაში მაინც არავის აუტეხავს, რადგან ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ისინი შენობიდან გაიტანეს", - აცხადებენ შსს-ს წარმომადგენლები.

კონკრეტულად რა დოკუმენტები ინახებოდა სეიფში, ამის შესახებ შსს-ში არავინ საუბრობს. რუსულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, "დაკარგულია ოპერატიული ხასიათის საიდუმლო გრიფიანი დოკუმენტები". სეიფების დაკარგვის თაობაზე დაუყოვნებლივ ინფორმაცია მიაწოდეს რუსეთის შს მინისტრს რაშიდ ნურგალიევს, რომელმაც სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების ბრძანება გასცა.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სეიფები არავის მოუპარავს. მუშებმა, რომლებსაც დოკუმენტებით სავსე უზარმაზარი სეიფები ხელს უშლიდა, ისინი შსს-ს ეზოში ჩაიტანეს, საიდანაც მოგვიანებით ჯართის დამჭრელ პუნქტში გადაიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ სეიფების ადგილსამყოფელი დადგინდა, საიდუმლო დოკუმენტების პოვნა მაინც ვერ მოხერხდა. ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა ჯართის დამჭრელი პუნქტი დეტალურად შეამოწმეს, მაგრამ სეიფებს ვერსად მიაგნეს. სავარაუდოდ, სეიფები დოკუმენტებთან ერთად დაჭრეს. "ამაზე ფიქრიც კი არ გვინდა", - აცხადებენ შსს-ს მაღალჩინოსნები.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "[illegible]";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "[illegible]";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "[illegible]";
7. მეტროს სადგური "[illegible] II", ([illegible] მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "[illegible] I";
9. მეტროს სადგური "[illegible]";
10. [illegible] 45 [illegible] სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, [illegible] გამოგზავნის [illegible] შემდეგ მისამართზე: 0[illegible] თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# ფინანსთა მინისტრმა გადამზიდავებს ახალი საბაჟო კოდექსი გააცნო

"ახალი საბაჟო კოდექსის მიღების პროცესში იმპორტიორები და გადამზიდავები აქტიურად იყვნენ ჩართულები. შესაბამისად, ეს არის პრეცედენტი იმისა, თუ როგორ უნდა თანამშრომლობდეს სახელმწიფო ბიზნესსექტორთან," - ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა ჟურნალისტებს ოთხშაბათს მსხვილ გადამხდელებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

როგორც ალექსიშვილი განმარტავს, საბაჟო კოდექსი პარლამენტში დიდი განხილვებისა და ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ შევიდა დასამტკიცებლად, შესაბამისად, ეს არ იყო უცბად ან ნაადრევად მიღებული დოკუმენტი. ჩვენ საგანგებოდ დავიტოვეთ საკმარისი დრო კოდექსის ამოქმედებამდე, რათა ახალ რეჟიმზე გადასასვლელად შესაბამისად მომზადებულიყო საბაჟო სამსახურის თანამშრომლებიც და იმპორტიორ-გადამზიდავებიც," - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.


ალექსი ალექსიშვილი.

ალექსიშვილი იმედოვნებს, რომ მსხვილი გადამზიდავებისგან შესაბამის შენიშვნებს და რეკომენდაციებს მიიღებს ახალ საბაჟო კოდექსთან დაკავშირებით. "გვინდა, რომ ეს პროცესი აქტიური თანამშრომლობით და ეფექტური შედეგით დასრულდეს, შესაბამისად, ერთად გავაკეთებთ ტრენინგებს. კოდექსის მიღება იდეა-ფიქსი არ არის. მთავარია, ეს დოკუმენტი კარგად მუშაობდეს. აქედან გამომდინარე, გვინდა ერთად განვახორციელოთ სწავლება როგორც საბაჟო მოხელეების, ასევე საბაჟო სამსახურების თანამშრომლებისა. ამ საკითხებზე შევთანხმდით."

ამასთან დაკავშირებით კიდევ გაიმართება შეხვედრა სექტემბერში. ახალი საბაჟო კოდექსის შესაბამისად, კოდექსი არ ითვალისწინებს გადამზიდავის ლიცენზირებას; ტრანზიტის განხორციელების უფლება ენიჭება რეზიდენტ და არარეზიდენტ გადამზიდველ კომპანიებს; განისაზღვრა ტრანზიტის განსახორციელებლად საბაჟო ორგანოში წარსადგენი გარანტიის სახეები (საბანკო გარანტია, ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი და დეპოზიტი სახელმწიფო ხაზინაში); გადამზიდავს რამდენიმე სატრანზიტო გადაზიდვისთვის საერთო გარანტიის წარდგენის საშუალება ეძლევა.

იმ შემთხვევაში, თუ გადაზიდვა რკინიგზით ხდება, გადამზიდველს ეხსნება საბაჟო ორგანოში გარანტიის წარდგენის ვალდებულება; თუ გადაზიდვა TIR-ის დოკუმენტის საფუძველზე ხდება, არ არსებობს საბაჟო გარანტიის წარდგენის ვალდებულება; ტრანზიტის შემთხვევაში, გადამზიდავი თავისუფლდება დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისგან;

საქონლის ტრანზიტის შემთხვევაში, თუ საქონლის გადაზიდვა ხორციელდება TIR-ის დოკუმენტის საფუძველზე, აგრეთვე, სატრანსპორტო ზედდებულის ან სხვა დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც შეიცავს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემებს, გადამზიდავი თავისუფლდება საბაჟო ორგანოში ტრანზიტის რეჟიმში საქონლის გადაზიდვისთვის საჭირო სხვა დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისგან.

*ჯი ბი სი*

# პრეზიდენტის პროგრამა, რომელიც "არ იშოვება"

პირველი გვერდიდან

ახალი ეკონომიკური პროგრამის შესახებ, მით უმეტეს, ბევრი არაფერი იციან თავად იმ ბიზნესმენებმა, რომელთა როლი ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებაში, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტია.

კერძო კომპანიების მოლოდინი და განწყობა ამ პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია. ნაწილს იმედი აქვს, რომ ცოტას, მაგრამ მისთვის საჭირო კადრს ამ გზით იოლად იპოვის. **"ვერ ვიტყვით, რომ GWS-ი კადრების დეფიციტს განიცდის, თუმცა სტაჟიორებს ჩვენ აუცილებლად ავიყვანთ. ოღონდ, არა ისეთებს, რომლებმაც არაფერი იციან და ჩვენთან რაღაცის სწავლის იმედით მოდიან. ჩვენ ასეთი კონტინგენტი არ გვაინტერესებს. მთავარია, სტაჟიორთა მომზადების დონე კომპანიისთვის დამაკმაყოფილებელი იყოს. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის რამდენიმე ძალიან კარგი კადრი აღმოჩნდეს, რომლებსაც შემდეგ ჩვენთან დავასაქმებთ,"** - უთხრა "24 საათს" GWS-ის გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორმა ლევან კობერიძემ.

არიან ისეთებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათთვის საჭირო კადრის მოძებნას ამ პროგრამის დახმარების გარეშე, საკუთარი რესურსების ხარჯზეც იოლად შეძლებენ. **"ჩვენს კომპანიას კვალიფიციური პერსონალის გარკვეული საინფორმაციო ბანკი გააჩნია. თუკი "ყაზბეგს" ახალი კადრი სჭირდება, ჩვენ უკვე ვიცით, რა რესურსიდან უნდა შევარჩიოთ და ამაზე ხელი იოლად მიგვიწვდება. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ გზით ვიპოვოთ ის კადრები, რომელიც ჩვენ გვჭირდება. გარდა ამისა, "ყაზბეგს" დღეს არ სჭირდება დამატებითი მუშახელი და ის არც მაღალკვალიფიციური კადრების სიმწირეს განიცდის. ასე რომ, არა მგონია, ხელისუფლების ხმამაღალი განცხადება, რომ მათი ეს ნაბიჯი იქნება ბიზნესის დახმარება, ჩვენს კომპანიაზე იყოს ნათქვამი,"** - ამბობს თეა სხიერელი, "ყაზბეგის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

**"ჯერჯერობით, ეს საკითხი ჩვენს კომპანიაში არ განიხილება, იმიტომ, რომ ამის საჭიროება არ დგას. თუკი "ბრიტანეთის ავიახაზები" ამის აუცილებლობას იგრძნობს, ბუნებრივია, კადრებს თავად მოვძებნით,"** - ამბობს "ბრიტანეთის ავიახაზების" გაყიდვების მენეჯერი ნინო ანდრიაძე.

კომერციული სტრუქტურების ერთ ნაწილს სტაჟიორები თითქმის ყოველ წელიწადს, განსაკუთრებით კი, ზაფხულობით აჰყავდა, თუმცა მხოლოდ შერჩევის პრინციპით. ერთ-ერთი ასეთი არქიტექტურულ-სამშენებლო კომპანია "არსია", რომელიც სტაჟიორებს წელსაც ელოდება. **"ეს ჩვენთვის ახალი ნამდვილად არ არის, 3-4 სტაჟიორი წელიწადში 3-6 თვის ვადით ყოველთვის გვყავს და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ "არსში" თანამშრომელთა დიდი ნაწილი სწორედ ამ გზით არის მოსული. წელსაც ავიყვანთ, ალბათ 4, მაქსიმუმ 5 სტაჟიორს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს გია აბულაძემ, "არსის" დირექტორმა.

ცნობისათვის: უმუშევრობის პრობლემა რამდენიმე სახელმწიფომ დაახლოებით ამ გზით დაძლია. მათ შორის ერთ-ერთი ბოლო - პოლონეთი და ჩილე იყო, სადაც მოსახლეობის მასობრივი გადამზადება მოხდა და, თანაც, დიდი წარმატებით. თუმცა ამ პროცესს წინ უძღოდა რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი სამუშაოები, რაშიც სახელმწიფოსთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ბიზნესსექტორი.

თუ რა შედეგს მოიტანს საქართველოში ახალი ეკონომიკური პროგრამა და იქნება თუ არა ის ისეთივე წარმატებული, ამას უახლოესი თვეები გვიჩვენებს.

ერთი დეტალი: თუკი აღნიშნული პროგრამა პრეზიდენტის მიერ დათქმულ დროს დაიწყო, ის დეკემბერში დასრულდება, ანუ იმ დროს, როცა ქვეყანაში თვითმმართველობის არჩევნები იქნება მოახლოებული. ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლების მიერ სახელდახელოდ "მომზადებული" ეს ეკონომიკური პროგრამა სწორედ მომავალ არჩევნებზეა გათვლილი და ამ გზით მმართველი პარტია არჩევნებში დამატებით 50 ათას (სტაჟიორთა რაოდენობა) მის სასარგებლოდ შემოხაზულ ბიულეტენს ელოდება.

# "ფორდის" ზარალი იზრდება

მერაბ ლორთქიფანიძე

ამერიკულმა კომპანია "ფორდ მოტორმა" წლის პირველი ნახევარი 1,31 მილიარდდოლარიანი ზარალით დაასრულა. შარშანდელი წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელი 2,16 მილიარდი დოლარი მოგება იყო. შესაბამისად, შარშანდელი 89,68 მილიარდი დოლარიდან 83,02 მილიარდ დოლარამდე შემცირდა ავტომობილების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, რაც დაახლოებით 8-პროცენტიანი კლებაა.

კომპანიამ ასევე გამოაცხადა, რომ მეორე კვარტლის ზარალმა 123 მილიონი დოლარი შეადგინა, თუმცა მალე ეს მონაცემები შეიცვალა, რის შედეგადაც ზარალმა 254 მილიონ დოლარს მიაღწია. არადა, შარშან მეორე კვარტლის მოგება 946 მილიონი დოლარი იყო. მეორე კვარტალში გაყიდვებიდან მიღებულმა თანხამ 41.97 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში მიღებულ შემოსავალთან შედარებით (44,55 მილიარდი), 6 პროცენტით ნაკლებია.

დირბორნელები ფინანსური მაჩვენებლების გაუარესების მთავარ მიზეზად იმ ფაქტს ასახელებენ, რომ საწვავის გაძვირებამ "ფორდის" უგზოობის ავტომობილებისა და პიკაპების გაყიდვების შემცირება გამოიწვია. არადა, კომპანია ჩრდილოეთ ამერიკის (მისთვის ძირითად) ბაზარზე ყველაზე მეტ მოგებას სწორედ ამ ორი კლასის ავტომობილების რეალიზაციით ნახულობს.

გარდა ამისა, "ცისფერმა ოვალმა" უკვე დაიწყო რესტრუქტურიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვება 14 ქარხნის დახურვა და 30 ათასი სამუშაო ადგილის შემცირება. თანამშრომლების კონტრაქტის დასრულებამდე დათხოვნას მოჰყვება მათთვის ერთჯერადი კომპენსაციების გადახდა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის გასავალს, თუმცა აღნიშნული ღონისძიების წყალობით, მომავალში დიდძალი თანხა დაიზოგება.

რესტრუქტურიზაციას შესაძლოა მოჰყვეს "ფორდის" პრემიუმ ჯგუფში შემავალი დივიზიონების გადაჯგუფება. გამორიცხული არაა, რომ დირბორნელებმა თავიდან მოიშორონ წამგებიანი კომპანია "იაგუარი", რომელიც 1989 წელს, 1,6 მილიარდ დოლარად შეიძინეს. პარალელურად, "ფორდის" ევროპული შტოს შეფი ჯონ ფლემინგი არ გამორიცხავს, რომ მისმა კომპანიამ შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს რუმინეთის მთავრობის მიერ ორგანიზებულ აუქციონში, რომელიც მიზნად ისახავს "დეუ აუტომობილ რომანიას" საკონტროლო პაკეტის გაყიდვას.


ბილ ფორდი.

"ჩვენ ჯერ არ ვიცით, შევიძენთ თუ არა ამ ქარხანას, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ მისი შეძენით მნიშვნელოვნად გავზრდით გაყიდვებს ევროპულ კონტინენტზე," - განაცხადა ლონდონის საერთაშორისო მოტორშოუზე ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ფლემინგმა.

აღნიშნული ქარხნის საწარმოო სიმძლავრე წლიურად 100 000 ავტომობილია, თუმცა წელს მის კონვეიერს მხოლოდ 24 000 ავტომობილი დატოვებს. სხვათა შორის, "ფორდის" გარდა, რუმინული საწარმოს შეძენის სურვილი უკვე გამოთქვეს "რენომ", "ნისანმა" და "ჯენერალ მოტორსმა", რომელმაც თავის დროზე, როცა "დეუს" აქტივებს ყიდულობდა, უარი თქვა კორეული კომპანიის რუმინული ქარხნის შეძენაზე.

## თანაშემწე მთავარი აღმასრულებლისთვის

კრიზისის გაჭიანურების გამო, "ფორდის" დირექტორთა საბჭომ კომპანიის გარეთ დაიქირავა გამოცდილი ექსპერტი, რომელმაც რესტრუქტურიზაციის პროცესში, თანაშემწეობა უნდა გაუწიოს დირბორნული ავტოგიგანტის მთავარ აღმასრულებელ ბილ ფორდ უმცროსს. ამ ექსპერტის სახელია კენეტ ლიტი, ვისაც საქმიან სამყაროში სახელი აქვს განთქმული, როგორც დიდი კომპანიების გაერთიანებებისა და შესყიდვების სპეციალისტს.

ლიტი თავის დროზე "გოლდმენ საქსსა" და "ბენკ ოფ ამერიკაში" შესყიდვების სპეციალისტად მუშაობდა. ბილ ფორდი მისგან რჩევებს ელის და იმედოვნებს, რომ მათი წყალობით რადიკალური რესტრუქტურიზაციის ჩატარებას შეძლებს. ოღონდ, რჩევების გაცემამდე, ლიტი დაწვრილებით შეისწავლის "ფორდის" საქმიანობას, რათა ზუსტად გაერკვეს კრიზისის არსში და მისგან თავის დაღწევის გზები დასახოს.

ლონდონის მოტორშოუზე გამოსვლისას, ბილ ფორდმა განაცხადა, რომ სასიკეთო პროგნოზების მიუხედავად, მიმდინარე საფინანსო წელს წაგებით დაასრულებს "ფორდის" ევროპული პრემიერ-ჯგუფი, რომელში შემავალი კომპანიებიდანაც (ვოლვო, ლენდ როვერი, იაგუარი და ასტონ მარტინი) ყველაზე წამგებიანი "იაგუარია", მომგებიანი კი - "ვოლვო".

## რა ბედი ელის იაგუარს?

როიტერთან საუბრისას, ბილ ფორდმა განაცხადა, რომ "იაგუარის" მომგებიან საქმიანობაზე გადაყვანას გარკვეული დრო დასჭირდება, თუმცა სანამ ეს მოხდებოდეს, "ფორდი" არც ინგლისური მარკის გაყიდვას გამორიცხავს. უფრო მეტიც, ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში "იაგუარის" ყველაზე სასურველი მყიდველი შეიძლება იყოს რომელიმე რუსი ოლიგარქი, კონკრეტულად კი, ნიკოლაი სმოლენსკი, ვისაც უკვე ნაყიდი აქვს სპორტული ავტომობილების მწარმოებელი ბრიტანული ფირმა TVR-ი.

"ძალიან კარგი იქნება, თუ ერთ მშვენიერ დღეს სმოლენსკი იტყვის, რომ მას "იაგუარის" შეძენაც სურს. ის უკვე აწარმოებს სპორტულ ავტომობილებს. ჰოდა, შესანიშნავი იქნებოდა, თუ ლუქსის კლასის ავტომობილების მწარმოებელი ქარხანაც ექნება. ასე შეიძლება აღდგეს სრულფასოვანი სამოდელო გამის მქონე ბრიტანული ავტოკომპანია," - ამბობს კომპანია "გლოუბლ ინსაითის" ანალიტიკოსი კრისტოფ სტიუერმერი.

არსებობს მოსაზრება, რომ "იაგუარის" შეძენა შეიძლება ისურვოს გერმანულმა კომპანია "ბეემვემ", რომელიც უკვე ფლობს ორ ინგლისურ მარკას - "როლს როისს" და "მინი კუპერს". თუმცა, ბავარიელები ყოველთვის ხაზს უსვამენ ხოლმე, რომ მათი სამარკეტინგო პოლიტიკა ვერასოდეს ეგუება სამოდელო რიგში შემავალ ავტომობილებს შორის შიდა კონკურენციას. მიუნხენურმა ავტოგიგანტმა "იაგუარი" რომ შეიძინოს, მაშინ შიდა კონკურენცია გარდაუვალი იქნება - ინგლისური მარკის სამოდელო რიგში ზუსტად იმ კლასის ავტომობილები შედის, როგორებიც ბავარიელთა გაყიდვების მოცულობის დიდ ნაწილს უზრუნველყოფს.

ამასთან, "ბეემვეს" მთავარი აღმასრულებელი ჰელმუტ პანკე (ასაკის გამო მას მალე გადადგომა უწევს) ამბობს, რომ მის კომპანიას ჯერაც ბოლომდე არ ამოუწურავს როგორც საკუთრივ "ბეემვეს", ასევე "მინისა" და "როლს როისის" შესაძლებლობები.

უნდა ითქვას, რომ "ფორდმა" "იაგუარი" ვერ შეინარჩუნა, როგორც ლუქსის კლასის ექსკლუზიური ავტომობილების მწარმოებელი მარკა. დირბორნელებმა ასეთად "ასტონ მარტინი" დატოვეს, "იაგუარის" სამოდელო გამა კი გააფართოეს, რათა ეს კომპანია, ადრე თუ გვიან, მომგებიანი გამხდარიყო. თუმცა, არც ეს მოხერხდა, რადგან ვერ ხერხდება შესაბამისი რაოდენობით ავტომობილების რეალიზება. უფრო მეტიც, ამ ეტაპზე გაყიდვების კლების ტენდენცია შეინიშნება. მაგალითად, თუ შარშან "იაგუარმა" 89 802 ავტომობილის გაყიდვა შეძლო, წელს ანალოგიური მაჩვენებელი 85 000-მდე შემცირდება.

უნდა ითქვას, რომ დაახლოებით ამდენივე ავტომობილს ჰყიდის "პორშეც", თუმცა მისი კაპიტალიზაცია 8.6 მილიარდ დოლარს შეადგენს, როცა "იაგუარისა" ორ მილიარდსაც ვერ აღწევს.

და მაინც, თუ "ფორდი" გადაწყვეტს "იაგუარის" გაყიდვას, არაა გამორიცხული, რომ მისი შეძენის სურვილი გამოთქვან ფრანგულმა კომპანიებმა - "რენომ" და "PSA პეჟო/სიტროენმა". ორივეს სამოდელო რიგში ჯერჯერობით არ ფიგურირებს უმაღლესი კლასის მოდელები. სხვათა შორის, "რენოს" შეფი კარლოს გოსნი არ მალავს, რომ სურს თავისი კომპანიის მაღალ კლასში შეყვანა, თუმცა გამორიცხავს ამისათვის ახალი მარკის შეძენას.

**P.S.** "სანდი ტაიმსის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, "ფორდი", "იაგუარის" გარდა, "ლენდ როვერის" გაყიდვაზეც ფიქრობს. ამასთან, თითქმის გადაწყვეტილია, რომ თუ ორივე კომპანიის გაყიდვა მაინც გადაწყდება, ისინი ერთ ჯგუფში გაერთიანდება და მოხდება მათი აქციების საკონტროლო პაკეტის რეალიზება. ამასთან, აქციების გარკვეულ რაოდენობას "ფორდი" მაინც დაიტოვებს.

მაგრამ თუ "ცისფერი ოვალი" მაინც დაიტოვებს "იაგუარს", მაშინ მოხდება ინგლისური კომპანიის ძირეული რესტრუქტურიზაცია, რის შემდეგაც მისი საწარმო მხოლოდ ექსკლუზიური და, შესაბამისად, ძალიან ძვირი ავტომობილების წარმოებაზე გადავა.

# ახალი საგადასახადო ადმინისტრაცია მომავალი წლიდან ამოქმედდება

*ფინანსთა სამინისტროში ახალი, ეფექტური საგადასახადო ადმინისტრაციის შექმნაზე მუშაობა უკვე დაიწყო. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების გაერთიანება რამდენიმე თვეში უნდა დასრულდეს. რეფორმამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოსა და ბიზნესსექტორს შორის თანამშრომლობასა და ფინანსური ურთიერთობების დეკრიმინალიზაციას.*

გუშინ ფინანსთა სამინისტროში მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა სამივე უწყების ხელმძღვანელთან ერთად პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა, სადაც სისტემის რეფორმირების კონკრეტული ვადები და დეტალები შეთანხმდა.

ამ შეხვედრაზე, ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ მინისტრის მოადგილეები: ლაშა გოცირიძე და მალხაზ ბეგიაშვილი; სამივე უწყების ხელმძღვანელი: დავით კეზერაშვილი, კახა ბაინდურაშვილი და ზურაბ ანთელიძე, ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიც.

პირველ სამუშაო თათბირზე უკვე გაიწერა ჯგუფის კონკრეტული სამუშაო გრაფიკი, რომლის საფუძველზეც:

- 25 აგვისტომდე მომზადდება სამივე უწყების მონაცემთა ბაზის გაერთიანების პროექტი, რომელიც საფუძვლად დაედება ახალი საგადასახადო ადმინისტრაციის ერთიან საინფორმაციო მონაცემთა ბაზას;
- 10 სექტემბრამდე შეიქმნება დროში გაწერილი სამოქმედო სტრატეგია, რომელზე დაყრდნობითაც მოხდება სამივე სტრუქტურის ერთ ინსტიტუციურ ფორმატში გაერთიანება;
- სტრატეგიის დოკუმენტი შეთანხმდება საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან;

ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, ამ მნიშვნელოვანი რეფორმის შემდეგ სახელმწიფო მიიღებს კოორდინირებულ, ეფექტურ და გამჭვირვალე საგადასახადო სისტემას, სადაც ერთის მხრივ, მეწარმეს გაუმარტივდება ურთიერთობა ქვეყნის ფისკალურ სამსახურებთან, გაიზრდება გადასახადის გადახდის კულტურა, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფოს გაუადვილდება ადმინისტრირება.

**"ახალ საგადასახადო ადმინისტრაციაში გაუმჯობესდება გადამხდელთა მომსახურება და სერვისი, გაიზრდება მისი ეფექტურობა. გადამხდელი იგრძნობს, რომ მას ურთიერთობა აქვს სახელმწიფო ორგანოსთან, სადაც შემცირებულია ბიუროკრატია, მინიმუმამდეა დაყვანილი ბიზნესსა და საგადასახადო სტრუქტურას შორის კორუფციული გარიგებების თეორიული შესაძლებლობა და, ამავე დროს, გამკაცრებულია მონოტორინგი და პასუხისმგებლობა ამგვარი კორუფციული გარიგებების შემთხვევებისას,"** - აცხადებს ალექსი ალექსიშვილი.

მისი თქმით, უწყებების სამართლებრივი და ინსტიტუციური გაერთიანება არ გულისხმობს კადრების ოპტიმიზაციას და მისი მთავარი მიზანი გადამხდელთათვის ერთიანი საინფორმაციო ბაზის, სერვისისა და კონტროლის შეთავაზებაა.

ფინანსთა მინისტრმა სამივე უწყების ხელმძღვანელს დაავალა დაჩქარებული წესით წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები და მოსაზრებები, ახალი სტრუქტურის მოდელთან დაკავშირებით.

საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელის კახა ბაინდურაშვილის განცხადებით, ახალ საგადასახადო ადმინისტრაციაში ყველა უწყება შეინარჩუნებს თავის ფუნქციას. გაიზრდება კოორდინაციის ხარისხი, რაც ხელს შეუწყობს საგადასახადო შემოსავლების კიდევ უფრო გაზრდას.

ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელის დავით კეზერაშვილის თქმით, უწყების ფუნქციებში კვლავ დარჩება არაკეთილსინდისიერი გადამხდელების წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება, სხვა დანარჩენ შემთხვევაში, ბიზნესსუბიექტებს ურთიერთობა ექნებათ ეფექტურ ფისკალურ სამსახურთან, სადაც მათ მაღალი დონის სერვისს შესთავაზებენ.

საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ზურაბ ანთელიძის განცხადებით, სამოქმედო სტრატეგიაზე მუშაობისას ფინანსთა სამინისტროში შექმნილი ჯგუფი გაიზიარებს იმ ქვეყნების გამოცდილებას, სადაც ფისკალური სამსახურების მსგავსი გაერთიანება მოხდა. მისი თქმით, ამგვარმა რეფორმამ წარმატებით იმუშავა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ბულგარეთში, სლოვაკეთსა და ჰოლანდიაში.

სექტემბერში შემუშავებული სტრატეგია განსახილველად პრეზიდენტსა და მთავრობას წარედგინება. ახალი საგადასახადო ადმინისტრაცია ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში დარჩება.

ახალი სამსახურის ხელმძღვანელად ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი მოიაზრება. თუმცა, ამ ვერსიას ჟურნალისტებთან საუბრისას არც ფინანსთა მინისტრი, არც თავად კეზერაშვილი ადასტურებდნენ. მათი მტკიცებით, აღნიშნული საკითხი ამ ეტაპზე არ განიხილება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კეზერაშვილის გარდა, ამ თანამდებობაზე უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძეც მოიაზრება.

*24 საათი*

## მოკლედ

### რუსეთში ქართული და მოლდოვური ალკოჰოლური პროდუქციის განადგურება გრძელდება

რუსეთში უხარისხო ალკოჰოლური სასმელების უტილიზაცია გრძელდება, - განუცხადა რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ სააგენტო "ინტერფაქსს". მისი განცხადებით, 8 აგვისტოს მონაცემებით, ფალსიფიცირებული ღვინოების გამოვლენისა და განადგურების დაწყებიდან, ანუ მარტის თვიდან განადგურებულია საქართველოსა და მოლდოვაში წარმოებული 1 მილიონ 213 ათასი ლიტრი კონტრაფაქტული ალკოჰოლური პროდუქცია. "მარტო მოსკოვში განადგურებული პროდუქციის ოდენობამ 252 ათას 613 ლიტრი შეადგინა," - აზუსტებს ონიშჩენკო. "როსპოტრებნოდზორის" გადაწყვეტილებით, რუსეთში საქართველოსა და მოლდოვაში წარმოებული ღვინის შეტანა-რეალიზაცია მარტიდან აკრძალულია. **ინტერპრესნიუსი**

### საბაჟოებზე პროგრამა "ასიკუდა World" დაინერგება

ფინანსთა სამინისტრო საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე წლის ბოლომდე ახალ კომპიუტერულ პროგრამას "ასიკუდა World"-ს დანერგავს. როგორც გუშინ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განუცხადა, დონორების ფინანსური თანადაფინანსების შედეგად, პროგრამის დასანერგად ნახევარი მილიონი ლარი დაიხარჯება. "ასიკუდა World"-ის ფარგლებში მოხდება საბაჟო გამშვები პუნქტების მოდერნიზაცია, დასავლეთ და აღმოსავლეთ საბაჟოებზე კომპიუტერული ქსელების და ცენტრალური სერვერების უზრუნველყოფა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს თითოეულ საბაჟო გამშვებ პუნქტზე ვიდეო-თვალის დაყენებას. "ამ პროგრამის უზრუნველყოფის შემდეგ ყველა გადამხდელს და იმპორტიორს შესაძლებლობა ექნება, ონლიან რეჟიმში, ინტერნეტით მოახდინოს ტვირთების ოპერირება, დეკლარაციის წარდგენა და სხვ. გამარტივდება ყველა ის პროცედურა, რომელსაც მეწარმე საბაჟოზე გადის," - განაცხადა ალექსიშვილმა. ამ დროისთვის საბაჟოებზე მოქმედებს პროგრამა "ასიკუდა-II". **ინტერპრესნიუსი**

### თბილისის გასასვლელთან მოძრაობა იკეტება

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 16-20 კმ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით 10 აგვისტოს 8:00 საათიდან 20 აგვისტოს 8:00 საათამდე აიკრძალება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა ქ. თბილისის გასასვლელიდან თბილისის შემოსავლელი გზის დასაწყისამდე. სატვირთო ავტოტრანსპორტის მოძრაობა გადართული იქნება დავით აღმაშენებლის ხეივნიდან მარჯვნივ, გლდანის მიმართულებით ხიდზე გავლით, დავით გურამიშვილის გამზირზე მარცხნივ მოხვევით, შემდგომ ავჭალის გზატკეცილით თბილისის შემოსავლელ გზაზე ულიანოვის ქუჩის გავლით. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მე-16 კმ-დან ავჭალა-ზაჰესის ხიდის გავლით თბილისის შემოსავლელ გზაზე ულიანოვის ქუჩის მიმართულებით. კომპანია "ბლექ სი გრუპი" უზრუნველყოფს საგზაო ნიშნების დაყენებას დამტკიცებული სქემის მიხედვით. აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება შსს საპატრულო პოლიციის უშუალო კოორდინაციითა და ზედამხედველობით. **24 საათი**

### "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო" მოსახლეობასთან შეხვედრებს იწყებს

"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო" და მისი კონტრაქტორი კომპანია "CNFA-საქართველო" საკონსულტაციო შეხვედრებს იწყებენ. პირველი შეხვედრა 10 აგვისტოს, 14.00 საათზე, თელავის რაიონის გამგეობის შენობაში მოეწყობა. 11 აგვისტოს დაგეგმილია შეხვედრის ჩატარება ყვარლის გამგეობის სააქტო დარბაზში, 12 აგვისტოს კი - სიღნაღის გამგეობის სააქტო დარბაზში. კონსულტაციების მიზანია ადგილობრივი მოსახლეობისა და საზოგადოების ინფორმირება პროექტის თითოეული მიმართულების შესახებ, ასევე, მიმდინარე და სამომავლო გეგმების გაცნობა. შეხვედრებისას დაინტერესებული პირები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას აგრობიზნესის განვითარების პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით. "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის" ფარგლებში აგრარული ბიზნესის განვითარებისთვის საქართველო პირველ ტრანშს - 15 მილიონ დოლარს მიიღებს. 4-წლიანი პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გზით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემოსავლების ზრდისკენ მიმართული პროექტების განხორციელებას. პროექტის ძირითადი კომპონენტებია საწარმოთა განვითარება და საწარმოო ჯაჭვის შექმნა. პროგრამის ფარგლებში გრანტს, სავარაუდოდ, 250-300 ფერმერი მიიღებს. ტენდერის გამოცხადება უახლოეს დღეებში იგეგმება, ხოლო გრანტების გაცემა სექტემბერ-ოქტომბერში მოხდება. მთავრობა იმედოვნებს, რომ "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამით" მიღებული დახმარება დიდ წვლილს შეიტანს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ქვეყანაში შემოვა ახალი ტექნოლოგიები, რაც გლეხს საშუალებას მისცემს, კონკურენტუნარიანი გახდეს. **ინტერპრესნიუსი**



დავით კოზირიძის სვეტი

## საქართველოს რკინიგზა ტაძრამდე ვერ მიდის

რამდენიმე დღის წინ გონიოდან დავბრუნდი. იქ მივახურდავე ჩემი შვებულება და მშვენივრადაც დავისვენე, მშვიდად, მაგრამ ამ მოგზაურობის დასაწყისი და ფინალი მთლად კომფორტული ვერ გამოვიდა, რაშიც ერთადერთი ორგანიზაციაა დამნაშავე - საქართველოს რკინიგზა. აქვე მინდა მოგიბოდიშოთ არასპორტული თემის არჩევისთვის და საფეხბურთო ფორმატში შემოგთავაზოთ ჩემი თავგადასავალი.

### ტაიმი პირველი

თბილისიდან ვიმგზავრე მატარებლით, რომელზეც ვრცელი სიუჟეტი გაკეთდა ტელევიზიაში: "ჩქარი, კომფორტული, კონდიცირებით, თანამედროვე სტანდარტების დამაკმაყოფილებელი, სამარხიანი ტელევიზორით" და ასე შემდეგ. ამიტომაც, ბილეთის ფასი 20 ლარი.

პირველი დარტყმა მაშინ მივიღე, როცა კუპე, რომლის ფართობიც უდრის ნამდვილი კუპეს ნახევარს, ექვსადგილიანი აღმოჩნდა! როგორ გამორჩათ, კაცო, რეკლამისას ეს "უმნიშვნელო" დეტალი. დავსხედით, მუხლები ერთმანეთში "შახმატნად" ჩავაწყვეთ, როგორც ავტომატის მჭიდში ტყვიები და დაძაბულები დავიძარით.

ამ დროს ტელევიზორში, რომელიც ფანჯრის ზევით, თითქმის ჭერში ეკიდა და ფანჯარასთან მსხდომი ორი ადამიანის თვალისთვის მიუწვდომელი იყო, დაიწყო ეროტიკული დეტექტივი "ძირითადი ინსტინქტი". პარალელურად დაიწყო გარდატეხის ასაკში მყოფ მშობელთა ისტერიული საპროტესტო აქცია და ზუსტად იმ მომენტში, როცა დაკითხვაზე მყოფ შერონ სტოუნს ფეხი ფეხზე უნდა გადაედო, შუიდან დაიწყო სხვა, სრულიად უცნობი ფილმი ძალიან დაბალ ხმაზე.

მალე გაირკვა, რომ კონდიცირებასთან დაკავშირებით პრობლემებია (ქართულ ტრანსპორტში გაგრილების ამ მეთოდმა ვერაფრით ვერ მოიკიდა ფეხი ჩემთვის ამოუხსნელი მიზეზით) და მახინჯაურამდე მხოლოდ სამჯერ, ხუთ-ხუთი წუთით მოხერხდა მისი ამუშავება. თუმცა ყველაზე საინტერესო ისაა, თუ როდის ჩავიდა დანიშნულების ადგილას დილის ათ საათზე ზედმეტად მზიური დედაქალაქიდან გასული ეს "ჩქარი" მატარებელი. შვიდის თხუთმეტ წუთზე! რვა საათი და თხუთმეტი წუთი ვიარეთ!

**ანუ საქართველოს რკინიგზამ ყველაფერში მოგვატყუა. ჩვენ ვიმგზავრეთ უკონდიციონერო, ძალიან მოუხერხებელი და საოცრად ნელი მატარებლით**, რომელმაც საათნახევრით დააგვიანა და როცა გამცილებელს ვკითხე, თუ რა იყო დაგვიანების მიზეზი, ასეთი პასუხი მივიღე - "საქართველოში ცხოვრობ, გენაცვალე, რა გიკვირს."

### ტაიმი მეორე

წამოსვლამდე ხუთი დღით ადრე, სამ აგვისტოს ავიღე "ესვეს" ორი ბილეთი და გადავიხადე 70 ლარი. 6 აგვისტოს გაირკვა, რომ ჩემი მეგობარი თბილისში ცარიელი მანქანით ბრუნდება და ბათუმში წავედი ბილეთების დასაბრუნებლად. იქ კი თანამედროვე ცივილიზაციისთვის გაუგონარი ამბავი მამცნეს - ბილეთებს უკან აღარ ვიბრუნებთ, უფროსმა დარეკაო. ცოტა ხანს იქ ვიჩხუბე და წავედი უფროსთან, მახინჯაურში. რა თქმა უნდა, ის ხუთი წუთის გასული იყო და ხელში შემრჩნენ მოადგილე და მთავარი დისპეტჩერი. გთავაზობთ დიალოგის შემოკლებულ ვარიანტს:

- ბილეთის დაბრუნება მინდა, თუ შეიძლება.
- არ შეიძლება.
- რატომ?
- ბრძანებაა თბილისიდან!
- სადაა ეს ბრძანება, მაჩვენეთ.
- ტელეფონით გვიბრძანეს ორი დღის წინ.

საუბარში არაბუნებრივი აქტიურობით ერთვება კაპასი დისპეტჩერი ჩალისფერი თმით, ალისფერი პომადით და ალბათ, უსიყვარულო წარსულით - მოიცადე ათი წუთი და ბრძანება ფაქსით ჩამოვა მატარებლით (ფაქსით მატარებლით - ეს წინადადება დღემდე ვერ გავშიფრე).

- კი მაგრამ, ბილეთს აწერია, რომ დაბრუნება შეიძლება.
- მაი სისულელეა.
- სისულელე როგორაა, თქვენს მიერ გაცემულ დოკუმენტზე წერია, რომ შეიძლება. ტყუილი წერია?
- მე არაფერი გამიცია და მანდ რა წერია, არ ვიცი. უფროსობამ გვიბრძანა გუშინწინ, არც დააბრუნოთ და არც გაცვალოთო.

ეს ჭიდაობა ნახევარ საათს გაგრძელდა, ყველა დავითანხმე, რომ მართალი ვარ, მაგრამ იმ დამპალმა თბილისელმა უფროსმა (მათივე რეპლიკაა) თავგზა აგვიბნია. ამ დროს კი მოვიდა "ფაქსი მატარებლით", ანუ გამცილებელმა ქობულეთიდან ჩამოიტანა კონვერტი, რომელშიც, წესით, ბრძანება უნდა ყოფილიყო. კლიმაქსისგან საბოლოოდ განადგურებულმა დისპეტჩერმა ირონიული ხარხარით გახსნა კონვერტი, სადაც იდო პრიალა ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზეც მიკროსკოპულზე გაცილებით პატარა ასოებით რაღაც ეწერა. რა - არავინ იცის. არც თარიღი, არც ხელმოწერა.

დეტალების მოყოლას აღარ გავაგრძელებ. უბრალოდ გეტყვით, რომ ნერვებმა მიმტყუნა და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ არც ერთი ეროვნების ადამიანებს ისე არ ჰკიდიათ ფეხებზე ერთმანეთი, როგორც ქართველებს. დედამიწის ზურგზე არ არსებობს ქვეყანა, სადაც გაყიდული ბილეთები არ ბრუნდება ან არ იცვლება მაინც.

აქ ბილეთები არ დაიბრუნეს. იმიტომ რომ ვიღაცამ დარეკა და საკუთარი ორგანიზაციის, საქართველოს რკინიგზის წესდება და ჩემი, საქართველოს მოქალაქის უფლებები დაარღვია. **საქართველოს რკინიგზა საქართველოს მოქალაქეებს და სტუმრებს კი არ ემსახურება, ატყუებს და ჩაგრავს.**

მდგომარეობა იმანაც გაამძაფრა, რომ ცოტა ხნით ადრე გერმანიაში გახლდით მსოფლიო ჩემპიონატზე და ძირითადად მატარებლით ვმგზავრობდი. როგორი მატარებლით, ამის მოყოლას აზრი არა აქვს, უნდა ნახო და გაოცდე. სხვათა შორის, იქ თითოეულ მგზავრს სკამზე ხვდება ჟურნალი **Mobil**, სადაც უზარმაზარი სტატია აღმოვაჩინე ქართული ტაძრების შესახებ. ხოლო აქ რა გხვდება, უკვე გიამბეთ.

*მომავალ შეხვედრამდე*

## ნოდარ ახალკაცი: "ფარერებზე მხოლოდ 3 ქულა დაგვაკმაყოფილებს"

მიხეილ აბაიშვილი

ზუსტად ერთ კვირაში, კერძოდ, 16 აგვისტოს, ქართულ ფეხბურთში ახალი ეტაპი იწყება: საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმება. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: სტარტის წინ როგორც ოპტიმიზმის, ისე პესიმიზმის საკმაოზე მეტი საფუძველი არსებობს. ოპტიმისტურად განგვაწყობს ის გარემოება, რომ პირველად საქართველოს ეროვნული ნაკრების არსებობის 16-წლიან ისტორიაში გუნდს სათავეში უდგას უმაღლესი კლასის სპეციალისტი, რომლის პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციას ყველაზე პრეტენზიული და მომთხოვნი ქომაგიც კი ვერ დააყენებს ეჭვქვეშ. მაინცდამაინც არც მაღალი კლასის ფეხბურთელების დიდ დეფიციტს განვიცდით და მწვრთნელ-ფეხბურთელების ეს სინთეზი იმედს გვისახავს. მეორე მხრივ, პესიმისტურად განგვაწყობს ჩვენი შესარჩევი ქვეჯგუფის შემადგენლობა. საქართველოს ნაკრებს ჭიდილი მოუწევს ისეთ გუნდებთან, როგორებიცაა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი უკრაინა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი საფრანგეთი და პლანეტის საუკეთესო გუნდი - იტალია. აღარაფერს ვამბობ შოტლანდიასა და ლიტვაზე. იმის თქმა, რომ ასეთ კონკურენციაში საქართველოს ნაკრების მიზანი ორიდან ერთ-ერთი გამსვლელი ადგილის დაკავება და ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოხვედრაა, უბრალოდ, ღიმილისმომგვრელია. თუმცა, არც უიმედოდ ყოფნა ღირს, მიაჩნია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს. ის დღეს "24 საათის" სტუმარია.

**- შეიძლება ითქვას, რომ ფედერაციის სათავეში მოსული თქვენი გუნდისთვის ამ დღეებში იწყება ათვლა. მართალია, საპრეზიდენტო არჩევნებში ერთი წლის წინ გაიმარჯვეთ, მაგრამ მაშინ ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის თეორიული შანსიც არ ჰქონდა. ერთ კვირაში კი არა მხოლოდ ეროვნული, არამედ 21 წლამდელთა ნაკრებისთვისაც შესარჩევი ტურნირი იწყება. უახლოეს ორ თვეში ანალოგიური გამოცდის ჩაბარება მოუწევთ 17 და 19 წლამდე ასაკის ნაკრებებსაც. როგორ მოემზადეთ ამ ტურნირებისთვის?**

- მართალი ბრძანდებით - როდესაც ფედერაციას სათავეში ჩავუდექით, ეროვნულ ნაკრებს ციკლში ხუთი მატჩი ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ნულის ტოლი იყო. შესაბამისად, დარჩენილ თამაშებში მომავლის გუნდის შენებაზე ავიღეთ კურსი და გაბედული ნაბიჯებიც გადავდგით - ეროვნულ ნაკრებში ახალგაზრდა ფეხბურთელების ინტეგრაციის პროცესი დაიწყო. დასამალი არ არის - იმ კონკრეტულ მატჩებში უარყოფითი შედეგი მივიღეთ, რაც მოსალოდნელიც იყო. სამაგიეროდ გაზაფხულზე, როცა ნაკრებს სათავეში ჩაუდგა კლაუს ტოპმიოლერი, მას კარგი საფუძველი დახვდა იმ საქმის დასაწყებად, რასაც ეროვნული გუნდის მშენებლობა ჰქვია. საერთო ჯამში მივიღეთ 30-35 ფეხბურთელი, რომელთაგან ეროვნული ნაკრების დაკომპლექტებაა შესაძლებელი. რეალობას ვერ გავექცევით, რასაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეც აქვს: გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც შეუცვლელები არიან და მათი არყოფნა დიდი დანაკლისია. ამის სამწუხარო მაგალითი საკვალიფიკაციო ტურნირის პირველივე მატჩში არაერთი გვქვს: კახა კალაძე და ოთარ მარცვალაძე ფარერებთან ვერ ითამაშებენ. კითხვის ნიშნის ქვეშ არის შოთა არველაძის მონაწილეობაც. ამიტომ ყველა ფეხბურთელის ფიზიკური მზადყოფნის თაობაზე მუდმივად ვიღებთ ინფორმაციას - თითოეულის ჯანმრთელობა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია, ისევე როგორც უმნიშვნელოვანესია თითოეული ასაკობრივი ნაკრები გუნდი. 17 წლამდელთა ნაკრები აგვისტოს შუა რიცხვებში მონაწილეობას მიიღებს ლატვიის ქალაქ პალანგის საერთაშორისო ტურნირში. ამ ნაკრებისთვის სელექცია იანვარ-თებერვალში დაიწყო. მთელი საქართველოს მასშტაბით ათასამდე მოზარდი გაისინჯა, რომელთაგან ჯერ 70, შემდეგ კი 25 ფეხბურთელი შეირჩა. ეს გუნდი ახლა ზღვისპირეთში გადის შეკრებას. მათ ორი დღის წინ სომეხი თანატოლები დაამარცხეს. ხვალ მეორე მატჩი აქვთ. ეს გუნდი შესარჩევისწინა დასკვნით შეკრებას საბერძნეთში გაივლის, სადაც ამ ასაკის ნაკრები გუნდების მონაწილეობით ოთხთა ტურნირი გაიმართება. ტურნირის შედეგების მიხედვით გამოიკვეთება თვრამეტკაციანი შემადგენლობა, რომელიც ოქტომბერში ოფიციალურ შესარჩევ ტურნირში იასპარეზებს.

19 და 21 წლამდელთა ნაკრები გუნდებიც შესაბამისად ემზადებიან. ეს არის თაობები, რომლებსაც კარგი პერსპექტივა აქვთ. მალე გამოცხადდება 21 წლამდელთა შემადგენლობა. დარწმუნებული ვარ, მასში არაერთი ისეთი ფეხბურთელი მოხვდება, რომლებიც ასაკით 19 წელს არ აღემატებიან. იგივე შეიძლება ითქვას ეროვნულ ნაკრებზეც, სადაც რამდენიმე ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომლებსაც ჯერ კიდევ 21 წლამდელებში შეუძლიათ თამაში. ჯაბა კანკავა, ნუკრი რევიშვილი, მათე ღვინიანიძე, სხვებიც...

ცალკე საუბრის თემაა კლაუს ტოპმიოლერი. მისი ხელმძღვანელობით ეროვნულმა ნაკრებმა უმნიშვნელოვანესი საწვრთნელი შეკრება და ამხანაგური მატჩები გამართა ავსტრია-გერმანიაში. ერთეულებს თუ არ ჩავთვლით, ამ შეკრებაზე ტოპმიოლერმა პირველად გაიცნო ყველა ის საუკეთესო ფეხბურთელი, რომლებსაც შესარჩევ ციკლში დაეყრდნობა.

**- რას იტყვით ფარერის კუნძულების ნაკრებთან მომავალ მატჩზე?**

- ამ შეხვედრისთვის ძალზე დიდი მოსამზადებელი სამუშაო ჩატარდა. ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი და მისი თანაშემწე რალფ მინგე უკვე იყვნენ ფარერებზე, გაეცნენ სიტუაციას. ფარერების ნაკრები გასვლით მატჩებს სუსტად ატარებს, თუმცა, შინ ამ გუნდის დამარცხება ყველას უჭირს. საკუთარ მოედანზე ფარერებს დამარცხებული ჰყავთ ავსტრიის ნაკრები, გერმანიის ნაკრებმა ამ კუნძულზე 2:0 კი მოიგო, მაგრამ გოლები 89-ე და 90-ე წუთებზე გაუტანა და ასეთი არაერთი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება. თუმცა, ყველაფერ ამას იმისთვის არ ვამბობ, რომ თავი დავიზღვიო. ფარერებთან მატჩში ჩვენთვის მხოლოდ გამარჯვება იქნება დადებითი შედეგი და მხოლოდ 3 ქულა დაგვაკმაყოფილებს.

**- კლაუს ტოპმილერი კმაყოფილი დარჩა თქვენს მიერ ნახსენები გერმანია-ავსტრიის შეკრებით. მან კომპლიმენტები არ დაიშურა ქართველი ფეხბურთელების მისამართით და მომავალი შესარჩევი ციკლის თაობაზე ოპტიმისტური განცხადებები გააკეთა. იზიარებთ თუ არა ამ ოპტიმიზმს?**

- ასე რომ არ ყოფილიყო, ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არც მივიღებდი. ვერაფრით ვერ შევეგუები ფაქტს, რომ ჩვენი ნაკრები მეექვსე კალათაშია და ბოლო ადგილებს იკავებს შესარჩევ ტურნირებში. რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც კლაუს ტოპმიოლერი დავითანხმეთ, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გამხდარიყო და ის თავისი გუნდით ჩამოვიყვანეთ, ეს ოპტიმიზმი ერთიორად გაიზარდა. სანაკრებო ფეხბურთს სათავეში ჩაუდგა უმაღლესი დონისა და კვალიფიკაციის სპეციალისტთა ჯგუფი. ჯერჯერობით შედეგი შეიძლება ოპტიმიზმის უფლებას ნაკლებად გვაძლევს, მაგრამ თუ მთლიანი სანაკრებო ფეხბურთის განვითარებას ყურადღებით დავაკვირდებით, სერიოზულ პროგრესს დავინახავთ. ჩემს მიერ დასახელებული ყველა ასაკობრივი ნაკრები თამაშიდან თამაშამდე სულ უფრო უკეთ გამოიყურება და აკეთებს იმას, რასაც სამწვრთნელო შტაბი ითხოვს - ტაქტიკური დავალების ზედმიწევნით შესრულება და ფიზიკური მზადყოფნა 90 წუთის განმავლობაში ბრძოლისთვის. სულ ბოლო მაგალითს მოვიტან - 21 წლამდელთა ნაკრებმა ფრედ ითამაშა ესპანეთის პრიმერადივიზიონის წარმომადგენელ იმ "ხეტაფესთან", რომელიც რამდენიმე დღის წინ ლევერკუზენის "ბაიერს" დაუზავდა. შედეგს რომ თავი დავანებოთ, შინაარსობლივადაც ამ მატჩში ჩვენმა ახალგაზრდებმა გააზრებულად და კარგად ითამაშეს. უდიდესი სამუშაო ჩატარდა 19 წლამდელთა ნაკრებშიც. ამ გუნდს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრა შეუძლია და სწორედ ამ მიზანს ვუსახავთ.

**- ფარერებთან მატჩის შემდეგ, კერძოდ, 2 სექტემბერს, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს საფრანგეთს ვმასპინძლობთ. დამთავრდება თუ არა ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია და მზად არის თუ არა ბასა ლოლობერიძის სახელობის ეროვნული ნაკრები გუნდების ტექნიკური ცენტრი?**

- სამუშაოები სტადიონზე დროში გაწერილი გრაფიკის შესაბამისად მიმდინარეობს. დიდი იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთის ნაკრებს სწორედ ეროვნულ სტადიონზე ვუმასპინძლებთ.

ეროვნული ნაკრები გუნდების ბაზაზეც კოლოსალური სამუშაო ჩატარდა. მხოლოდ ერთი პრობლემა დაგვრჩა - სავარჯიშო მოედნის მინდვრის საფარის გამოცვლა ვერ მოვასწარით. თუმცა, ეს ნაკრებს არ შეაფერხებს. ეროვნული გუნდი ბაზაზე დაბინავდება, ვარჯიშებს კი ეროვნული სტადიონის მინდორზე ჩაატარებს. ასე ეროვნული სტადიონის ახალი საფარის აპრობაციაც მოხდება და თუ მისმა ხარისხმა დაგვაკმაყოფილა, საწვრთნელი ბაზის მოედანზეც იგივე საფარს დავაგებთ. ბევრი ხარვეზი იყო აღმოსაფხვრელი, რაც პრაქტიკულად მოვასწარით: გამოიცვალა ასფალტისა და ფილების საფარი, გაკეთდა შენობის ჰიდროიზოლაცია, დამონტაჟდა ღამის განათების ლამპიონები, მოწესრიგდა სავარჯიშო მოედნის ტრიბუნა, დამონტაჟდა საუნა და საცურაო აუზის გამწმენდი ფილტრი. მთელ საცხოვრებელ კორპუსში თავიდან დაგვჭირდა ჰაერის გამწმენდი ვენტილაცია-კონდიცირების სისტემის ჩამონტაჟება. ეს არის სამუშაოთა არასრული ჩამონათვალი, რაც უკვე ჩატარდა. მივაღწიეთ მთავარ მიზანს - როდესაც ფეხბურთელი ამ ბაზაზე შემოვა, მას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სრული კომფორტი ექნება. ამიტომ სრულად იქნება კონცენტრირებული ფეხბურთზე და მომავალ მეტოქეზე.

**- მსოფლიო ჩემპიონატის უმეტეს მატჩებს დაესწარით, მათ შორის, ჩვენი მომავალი მეტოქეების - საფრანგეთის, უკრაინის და იტალიის მონაწილეობით. როგორი შთაბეჭდილება დაგიტოვათ ამ გუნდებმა?**

- მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს ეროვნული ნაკრები გუნდების სამწვრთნელო შტაბთან ერთად დავესწარი. უპირველესი შთაბეჭდილება ის გახლავთ, რომ აბსოლუტურად ყველა გუნდმა ტაქტიკურად გამართულად და დაცვაში თითქმის უშეცდომოდ ითამაშა. აღარაფერს ვამბობ ფიზიკურ მომზადებაზე. თუ ჩ ჩემპიონატზე გასულ გოლებს გავიხსენებთ, დამეთანხმებით, რომ პროცენტულად გოლების უმეტესი ნაწილი არა თამაშიდან, არამედ სტანდარტული მდგომარეობებიდან გაიტანეს. კუთხურებისა და ჯარიმების შემდეგ დაცვის ხაზის უმნიშვნელო უყურადღებობაც საკმარისი იყო შეტევის შედეგიანად დასასრულებლად. ამის მაგალითი იყო ფინალური მატჩიც. მთელ ტურნირში ალბათ ერთადერთი შეცდომა დაუშვა კანავარომ, როცა თავისი საკონტროლო ზონიდან სულ რაღაც სამი მეტრით მარჯვნივ აღმოჩნდა, რამაც მალუდას "დერეფანი" შეუქმნა და მატერაცი იძულებული გახდა, საკუთარ საჯარიმოში წესი დაერღვია, რასაც პენალტი და ზიდანის გოლი მოჰყვა. მეორე მხრივ, ფრანგებმა კარგად იცოდნენ რამდენად სახიფათო იყო მატერაცი კუთხურების დროს. ამის მიუხედავად მას გოლის გატანაში ხელი მაინც ვერ შეუშალეს.

გამართული ტაქტიკა, მკაცრი დისციპლინა, დაცვაში უშეცდომო თამაში და თავდაუზოგავი ბრძოლა - ასეთია თანამედროვე ფეხბურთი მსოფლიოს საუკეთესო გუნდების შესრულებით. სასიხარულოა, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრები გუნდების სამწვრთნელო შტაბი ამ საფეხბურთო პოსტულატებს ნერგავს ყველა ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებ გუნდში. კიდევ ერთი აღსანიშნავი მომენტი: ყველა ასაკობრივი გუნდი, 17 წლამდელებით დაწყებული და ეროვნულით დამთავრებული, ერთი და იგივე ტაქტიკური სქემით თამაშობს. ეს ნიუანსი ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც იმით, რომ როდესაც ფეხბურთელი უფრო მაღალი ასაკობრივი გუნდისთვის, ვთქვათ, ეროვნული ნაკრებისთვის მომწიფდება, მას ტაქტიკური თვალსაზრისით ახალ დონეზე გუნდთან შეგუება არ გაუჭირდება.



*ნოდარ ახალკაცი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.*

## ეროვნული ნაკრები ფარერებზე მოსაგებად ჩადის

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე 16 აგვისტოს ფარერებთან გასვლითი მატჩით აიღებს სტარტს. იმავე დღეს ახალგაზრდული გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს კაუნასში, ლიტვის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს.

საქართველოს ნაკრების საბოლოო შემადგენლობა უკვე დადგინდა. საბედნიეროდ, გაირკვა, რომ გუნდს "ბლექბერნ როვერსის" მცველი ზურაბ ხიზანიშვილი დაეხმარება, რომელიც, მართალია, ტრავმირებულია, მაგრამ თითქმის ასი პროცენტით გადაწყდა, რომ ის ფარერებზე ითამაშებს. ნაკრებს ასევე შეუერთდება შოთა არველაძე, რომელმაც უკვე განაახლა ვარჯიში და, ხიზანიშვილის მსგავსად, მისი ძირითადში თამაში თითქმის გადაწყვეტილია.

რაც შეეხებათ სხვა ტრავმირებულ ფეხბურთელებს, ჯერჯერობით გაურკვეველია ლევან ცქიტიშვილის ბედი, რომელსაც საზარდული აწუხებს.

დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს მათე ღვინიანიძე.

ერთი სიტყვით, დაცვაში არსებული პრობლემების მიუხედავად, გუნდის თავკაცობა იმედიანადაა განწყობილი:

"ეროვნულ ნაკრებს დაცვის ხაზში ნამდვილად აქვს პრობლემები - მარტო ის რად ღირს, რომ კახა კალაძე ვერ დაგვეხმარება. საქართველოს ნაკრები ამ მატჩში უდავო ფავორიტია და ვეცდებით, თამაში ჩვენს სასარგებლოდ დავასრულოთ. მოედანზე სწორედ ამ განწყობით უნდა გავიდეთ და მხოლოდ ერთი შედეგი - მოგება დაგვაკმაყოფილებს!

სამწუხაროა, რომ 16 აგვისტოსვე გაიმართება ახალგაზრდული ნაკრების თამაში. 21 წლამდელებში ჯაბა კანკავა და დავით იმედაშვილი ვერ ითამაშებენ - ორივე მათგანი ეროვნულ გუნდში გამოვიძახეთ", - განაცხადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა.

ეროვნული ნაკრები შეკრებას დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართავს, საიდანაც 13 აგვისტოს ფარერის კუნძულებზე გაემგზავრება. კლაუს ტოპმიოლერის სამწყსო 14 აგვისტოს ორ ვარჯიშს გამართავს, 15-ში კი იმ სტადიონზე ივარჯიშებს, რომელზეც მატჩი გაიმართება.

ნაკრებს დანიაში შეუერთდება ამჟამად გერმანიაში მყოფი მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი. რუსეთის პრემიერლიგაში მოთამაშე ჩვენებური ფეხბურთელები კი 14 აგვისტოს პირდაპირ ფარერებზე ჩავლენ.

"ფარერის კუნძულებს კლაუს ტოპმიოლერთან ერთად ვსტუმრობდი - ჩვენი მიზანი იყო მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მოგვეპოვებინა არა მარტო ამ ქვეყნის ნაკრებზე, არამედ ზოგადად ქვეყანაზე. შევისწავლეთ ის პირობები, რომელიც კუნძულზე დაგვხვდება. ფარერის ნაკრების პოლონელებთან თამაშს კლაუსთან ერთად ვესწრებოდი. გარდა ამისა, ძალიან დაგვეხმარა შვეიცარიის ნაკრები. მათ ფარერებთან მატჩის ვიდეოჩანაწერი და დაწვრილებითი ინფორმაცია მოგვაწოდეს. ინფორმაციას გვაწვდის აგრეთვე ფლემინგ პოულსენი, რომელიც სკანდინავიის ქვეყნებში ჩვენი ერთგვარი აგენტია.

მეტოქეზე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია - ესაა გუნდი, რომელიც ბოლომდე იბრძვის და მეტოქეს მაქსიმალურად ბევრ პრობლემას უქმნის. მისი მთავარი ღირსებაა ბოლო წამამდე ბრძოლის უნარი. მარტო ის რად ღირს, რომ ამ ცოტა ხნის წინ გერმანიამ ამ გუნდს მხოლოდ 89-ე და 90-ე წუთებზე გატანილი გოლებით მოუგო, ხოლო შვეიცარიის ნაკრები 85-ე წუთამდე ვერ ახერხებდა გოლის გატანას", - განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე.

საქართველოს ნაკრებთან ერთად ფარერის კუნძულებზე გაემგზავრება ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი რალფ მინგე. ლიტვაში გუნდს კობა ჟორჟიკაშვილი უხელმძღვანელებს.

### საქართველოს ეროვნული ნაკრები:

**მეკარეები:** გიორგი ლომაია ("ლუჩ ენერგია", რუსეთი), გრიგოლ ჭანტურია ("ზესტაფონი")

**მცველები:** დავით კვირკველია ("მეტალურგი", უკრაინა), კახა ალადაშვილი ("დნიპრო", უკრაინა), ზურაბ ხიზანიშვილი ("ბლექბერნ როვერსი", ინგლისი), ლაშა სალუქვაძე ("რუბინი", რუსეთი), ილია კანდელაკი ("ჩერნომორეცი", უკრაინა), დავით იმედაშვილი ("დინამო", უკრაინა)

**ნახევარმცველები:** გოგა გახოკიძე ("ტვენტე", ჰოლანდია), ლევან კობიაშვილი ("შალკე 04", გერმანია), მალხაზ ასათიანი ("ლოკომოტივი", რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი ("შინიკი", რუსეთი), ჯაბა კანკავა ("არსენალი", უკრაინა), დავით მუჯირი ("კრილია სოვეტოვი", რუსეთი), ლევან ცქიტიშვილი ("პანიონიოსი", საბერძნეთი), გოგიტა გოგუა ("სპარტაკი" ნ, რუსეთი)

**თავდამსხმელები:** ზურაბ იონანიძე ("ზესტაფონი"), გიორგი დემეტრაძე ("მეტალურგი", უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი ("ფრაიბურგი", გერმანია), შოთა არველაძე ("ალკმაარი", ჰოლანდია)

### საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები:

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი ("რუბინი", რუსეთი), რევაზ თევდორაძე ("მეტალურგი", უკრაინა);

**მცველები:** აკაკი ხუბუტია ("კაუნასი", ლიტვა), ზურაბ გვაძაბია ("ამერი"), გულვერდ თომაშვილი ("დინამო" თბ), გიორგი სეთურიძე ("ოლიმპი"), შოთა კაშია ("დინამო" თბ), ზაალ ელიავა ("სკონტო", ლატვია), გიორგი ნავალოვსკი ("დინამო" თბ);

**ნახევარმცველები:** გიორგი განუგრავა ("ზესტაფონი"), გიორგი მერებაშვილი ("დინამო", თბ), მირზა ბჟალავა ("ზესტაფონი"), შოთა გრიგალაშვილი ("დინამო თბ), ლექსანდრე კობახიძე ("დინამო" თბ), გოგი ფიფია ("ზესტაფონი")

**თავდამსხმელები:** ნიკოლოზ გელაშვილი ("ვიტ ჯორჯია"), რატი წინამძღვრიშვილი ("ამერი"), ბექა გოცირიძე ("ზესტაფონი")

# ერმიტაჟის გაძარცვაში გარდაცვლილი მცველის ოჯახის წევრებს ადანაშაულებენ

შეიძლება ითქვას, რომ სანკტ-პეტერბურგისა და მასთან ერთად რუსეთის ყველაზე მნიშვნელოვანი განძთსაცავის ერმიტაჟის გაძარცვა უკვე წლის მოვლენაა. შენობაში, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში ალბათ ყველაზე დაცული და უსაფრთხოა, გამოძიებისთვის უცნობმა მძარცველებმა დაუბრკოლებლად შეაღწიეს და 200-მდე საიუველირო ნაკეთობა წაიღეს.



ეს დანაკლისი ერმიტაჟის დირექციამ გეგმიური დათვალიერების შემდეგ ივლისის ბოლოს აღმოაჩინა. თუმცა რევიზიის წევრები, რომლებიც მუზეუმში 2005 წლიდან მუშაობენ, დაკარგული ნივთების შესახებ ადრეც საუბრობდნენ. მათივე ინფორმაციით, გაძარცვულია ერმიტაჟის რუსული საიუველირო განყოფილების საცავი. წაღებული ნივთების უმეტესობა მინანქრისაა. მუზეუმის ადმინისტრაციას უკვირს, რატომ შეაჩერეს არჩევანი მძარცველებმა მაინცდამაინც მინანქარზე, რადგან ეს მასალა დიდი პოპულარობით არასდროს სარგებლობდა. მით უმეტეს, რომ იქვე უფრო ძვირფასი მასალისგან დამზადებული სამკაულებიც იყო.

"ეს ძარცვა ცხადყოფს, რომ ჩვენს საზოგადოებას მორალის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები აქვს. ადამიანებმა დაკარგეს პატრიოტიზისა და პასუხისმგებლობის გრძნობა. გარდა ამისა, გაირკვა, რომ მუზეუმი სათანადოდ არაა დაცული და არც მისი თანამშრომლები არიან კეთილსინდისიერები", - განაცხადა ერმიტაჟის დირექციის წარმომადგენელმა.

პეტერბურგის სამართალდამცავებმა ძარცვის შესახებ მაშინვე შეიტყვეს და გამოძიებასაც შეუდგნენ. თავიდან ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ გაძარცული განყოფილების მთავარ მცველ ქალბატონს გული გაუსკდა და სამსახურში გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, გულთან დაკავშირებული პრობლემა მას საცავის რევიზიის პირველივე დღეებიდან, 2005 წლის შემოდგომიდან დაეწყო. მთავარ ეჭვმიტანილად ან მოწმედ სწორედ ის ითვლებოდა.

ასევე ეჭვი ჰქონდათ სტუდენტებზე, რომლებიც ძარცვამდე ერთი თვით ადრე მუზეუმში პრაქტიკას გადიოდნენ, თუმცა მათთან დაკავშირებით ხელჩასაჭიდი ვერაფერი აღმოაჩინეს. ეჭვობენ კერძო კოლექციონერებზეც, რადგან რუსეთის მუზეუმებში დაცულ სიმდიდრეზე ისინი მრავალი წელია ნადირობენ. ამის გამო რუსეთის ყველა საბაჟო და გამშვები პუნქტი საგულდაგულოდ მოწმდება. სამართლადამცავები იუველირებსაც ამოწმებენ, რომლებიც ძველი ნივთების ასლებს სარფიანად ყიდიან.

ძარცვიდან ორიოდე დღის შემდეგ სამართლადამცავებმა ეჭვმიტანილების დაკავება დაიწყეს. პირველ რიგში დააკავეს გულის შეტევით გარდაცვლილი მცველის ლარისა ზავადსკაიას ქვრივი. გამოძიების ვერსიით, ზავადსკაია ძარცვის თანამონაწილე იყო. ამის დასტურად ის ფაქტიც მოჰყავთ, რომ ზავადსკაიას სიკვდილის შემდეგ ნივთები მუზეუმიდან პრაქტიკულად აღარ დაკარგულა.

თუმცა დაკავებების სერია ამით არ დამთავრებულა. თითქმის ყოველდღე პრესა ახალი დაპატიმრებების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას, თუმცა დაკავებულთა სახელები უცნობი რჩება. ყველაზე დიდი ინტერესი კი ერთმა პატიმარმა გამოიწვია - ესაა მცველ ლარისა ზავადსკაიას 25 წლის შვილი ნიკოლაი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ერმიტაჟში მუშაობდა...

კომისიამ ერმიტაჟის საცავების შემოწმება მიმდინარე წლის 6 აგვისტოს დაასრულა. უკანასკნელი მონაცემები ასეთია: სულ დაკარგულია 221 ნივთი: საიუველირო ნაკეთობები, საეკლესიო ნივთები და ხატები. მათი საერთო ღირებულება დაახლოებით 130 მილიონ რუსულ მანეთს შეადგენს.

როგორც პროკურატურა აცხადებს, 221 ნივთიდან 70-ის ადგილმდებარეობის შესახებ მათთვის უკვე ცნობილია. 12 ექსპონატი უკვე ნაპოვნია და ერმიტაჟშიც განათავსეს. უძვირფასესი ხატი ერთ-ერთი ანტიკვარული სალონის მფლობელმა დააბრუნა, რომელიც დაეჭვდა, რომ უცნობმა დილერმა სწორედ ერმიტაჟიდან მოპარული ნივთი მიჰყიდა. ორი ექსპონატი - ვერცხლის ჯვარი და დეკორატიული ლარნაკი კი უცნობმა პირებმა მოსკოვის პროკურატურის კართან დატოვეს.

ერმიტაჟთან დაკავშირებული საქმის შემდეგ რუსეთის ბევრ მუზეუმში დაიწყეს შემოწმება. უკვე ცნობილია, რომ მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის რამდენიმე მუზეუმში ნივთების ნაკლებობაა. თუმცა კონკრეტული ჯერ არაფერი სახელდება.

*გამოსათხოვარი*

# მედეა ჩიხლაძე

ქართულმა ხელოვნებამ, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ, მხატვართა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა - გარდაიცვალა ცნობილი მხატვარი და პედაგოგი, მხატვართა თაობების აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, პროფესორი მედეა ჩიხლაძე.



მედეა ჩიხლაძე დაიბადა 1928 წელს. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის განყოფილებაზე (1949-54) გამოჩენილ პედაგოგებთან შებუევთან, მაისურაძესთან, ქობულაძესთან, ციციშვილთან. 1960 წლიდან მონაწილეობდა გამოფენებში, გახდა საქართველოს მხატვრათა კავშირის წევრი. მისი კერამიკული ნაწარმოებები - სხვადასხვა მასალის და ფორმის ჭურჭელი: "ჭინჭილა", "ქორწილი", "კინტო" საზოგადოებრივი ნაგებობებისთვის შესრულებული პანოები "ჯიხვი", აგრეთვე ვიტრაჟები ქართული თავსართი ასოებით - თავისებური მხატვრული ხედვით, ტრადიციებისა და თანამედროვეობის ჰარმონიული შერწყმით გამოირჩეოდნენ. მისი ნამუშევრები არაერთ მნიშვნელოვან გამოფენაზე იყო წარდგენილი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ისინი არაერთხელ აღინიშნა სხვადასხვა ჯილდოთი. მისი ერთ-ერთი ნამუშევარი - მოცულობითი ტექსტილის ნიმუში "მეტამორფოზა" აღიარეს წლის საუკეთესო ნამუშევრად. მედეა ჩიხლაძის შემოქმედების ნიმუშები დაიბეჭდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ მნიშვნელოვან კატალოგებსა და ალბომში, ენციკლოპედიაში "თბილისი". მათი ნაწილი დაცულია ეროვნულ გალერეაში, საქართველოსა და უცხოეთის ფონდებსა და კერძო კოლექციებში.

მხატვრის ინტერესთა მრავალმხრივობა, პრინციპების ერთგულება, ძიების სურვილი, მედეას პიროვნული თვისებები - ენერგია, გულმოდგინება, ნიჭთან ერთად - დიდ როლს თამაშობდა გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოპოვებული წარმატებების გაღრმავებაში. ტექსტილის სფეროში მოღვაწეობით დაიწყო ახალი ეტაპი მედეა ჩიხლაძის შემოქმედებაში. მან დიდი როლი შეასრულა საქართველოში ქსოვილების ხელით მხატვრული მოხატვის ქართული სკოლის შექმნაში. მისი ტექსტილის ნამუშევრები: დეკორატიული პანო "ფარშევანგი", "ხმელი "წიფელი", "დროშა", "ნატვრის ხე", ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საგანძურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

1968 წლიდან მედეა ჩიხლაძე ასწავლიდა სამხატვრო აკადემიაში. მან აღზარდა ტრიკოტაჟის სპეციალობის მხატვართა პირველი კადრები. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულ არაერთ სადიპლომო და საასპირანტო ნამუშევარში - ტექსტილის ნიმუშები, ტრიკოტაჟის ტანსაცმლის მოდელებში გამომჟღავნდა მედეა ჩიხლაძის პედაგოგიური ნიჭი, თავდადება ახალგაზრდა მხატვრებთან ურთიერთობაში.

მედეა ჩიხლაძე განსაკუთრებული პრინციპულობით გამოირჩეოდა. მაგრამ იგი არასოდეს ყოფილა კონფორმისტი. ყოველთვის იცავდა საკუთარ თვალსაზრისს როგორც პედაგოგი, ერთხანს კი აკადემიის სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი. იგი ბოლო წუთამდე ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას, მოამზადა ძალზე საინტერესო ახალი პროგრამა აკადემიაში დაგეგმილი კონკურსისთვის, მისი შემოქმედებითი ხედვა დიდად წაადგებოდა ტექსტილის განყოფილებაზე სწავლების განვითარების პროცესს.

მედეა ჩიხლაძის წასვლა დიდად დააკლდება სამხატვრო აკადემიას, მხატვართა საზოგადოებას, განსაკუთრებით მის ქალიშვილს, ხელოვნებათმცოდნე ნანა ყიფიანს, ყველას, ვისაც უყვარდა მედეა ჩიხლაძე - მხატვარი და შესანიშნავი პედაგოგი.

***საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველოს სამხატვრო კავშირი***

# ახალგაზრდა ებრაელი მწერლები

60-მდე ახალგაზრდა მწერალმა გამოაქვეყნა წერილები ომის შეწყვეტის შესახებ. ამ წერილებმა უფროსი თაობის მწერლებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რადგან მათ შორის ბევრია ისეთი, ვინც ისრაელის მთავრობას მხარს უჭერს. ამ წერილების ერთ-ერთი ინიციატორი და ჟურნალისტი დუდუ ბუსი ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ "ჩვენ ვარღვევთ კონსენსუსს და გამოვალთ ისრაელის სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ. მე დამიკავშირდა მწერალი ნირ ბარამი და განვიხილეთ სიტუაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. აქედან დაიბადა იდეა, დაგვეწერა ღია წერილები მინისტრებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. შემდეგ შემოგვიერთდნენ შიმონ ადაფი და მაია ფელდმანი..." მისივე თქმით, ამჟამად წერილების ავტორები ფიქრობენ, როგორ იმოქმედონ შემდგომში. "ჩვენს ელექტრონულ ფოსტაზე მოვიდა უამრავი წერილი ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებისგან, რომლებიც სოლიდარობას გვიცხადებენ და მზად არიან შემოგვიერთდნენ ბრძოლაში, რათა შეწყდეს ომი..." - ამბობს ერთ-ერთი ინიციატორი.



*დუდუ ბუსი.*

დუდუ ბუსი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მათ მიიღეს რამდენიმე წერილი იმ ადამიანებისგან, ვინც მხარს უჭერს ომს და "სისხლის ღვრას". "მე ვაღიარებ აგრეთვე, რომ ჩვენი მომხრე ადამიანების სია უფრო მცირეა, ვიდრე მოწინააღმდეგეების, მაგრამ მჯერა, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ეს ომი, ჩვენს მხარეს უფრო მეტი ადამიანი დადგება." მისივე თქმით, ლიბანის პირველ ომსაც უწოდებდნენ "ბრძოლას არსებობისთვის" და ისრაელი ხალხი ყველა ხელისუფლებას უჭერდა მხარს. მაგრამ შემდეგ ყველაფერი მოლაპარაკებით დასრულდა. "ჩვენთვის უმჯობესია ახლავე მივუახლოვდეთ ამ მომენტს და შევწყვიტოთ ომი, რათა შევინარჩუნოთ მრავალი ადამიანის სიცოცხლე. ჩვენ არ გვინდა, რომ ამ ომში ჩვენი მოქალაქეები და ჯარისკაცები დაიღუპონ."

*მოკლედ*

## "მსოფლიო სავაჭრო ცენტრის" პრემიერა

ნიუ იორკში ოლივერ სტოუნის ფილმის "მსოფლიო სავაჭრო ცენტრის" პრემიერა გაიმართა, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტის დროს პოლიციელთა გმირობას ასახავს.

ფილმის მთავარი გმირების პროტოტიპები, პოლიციის ოფიცრები ჯონ მაკლაფლინი და უილიამ ჯიმენო საპრემიერო ჩვენებას დაესწრნენ. მაკლაფინის გმირი მსახიობმა ნიკოლას კეიჯმა განასახიერა, ჯიმენო კი მაიკლ პენიამ. მას შემდეგ, რაც ტერაქტის დროს დაღუპულთა ნათესავებმა ფილმთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვეს, რეჟისორმა პირობა დადო, რომ შეეცდება მათი გრძნობები არ შეურაცხყოს.

რეჟისორის თქმით, იგი ფილმის გადაღებების დროს მაკლაფლინთან და ჯიმენოსთან მჭიდროდ თანამშრომლობდა, რის შედეგადაც ფილმში ასახული სამაშველო სამუშაოების სცენები მაქსიმალური სიზუსტით არის გადმოცემული. ჯონ მაკლაფლინი და უილიამ ჯიმენო პოლიციელთა იმ ხუთეულის წევრები არიან, რომლებიც სავაჭრო ცენტრის სამხრეთ ნაწილში მისი ჩამონგრევისთანავე შევიდნენ. დანარჩენი სამი პოლიციელი ადგილზე დაიღუპა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქუთაისის ახალგაზრდული თეატრი

22 აგვისტოს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქუთაისის ახალგაზრდული თეატრის შოუ-სპექტაკლის, '"სევდის საგზალის" პრემიერა გაიმართება.

სპექტაკლი თეატრის ხელმძღვანელმა და რეჟისორმა ზურაბ ჩხაიძემ ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით დადგა. სპექტაკლში გამოყენებულია ფოლკლორის ელემენტები, ასევე ქართული ორთაბრძოლების ილეთები.

სექტემბერში დაგეგმილია თეატრის გასტროლები თბილისში, ბაქოსა და ერევანში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მარინა ცვეტაევას შემოქმედება

მოსკოვიდან ელაბუგის მიმართულებით მიმავალ გემზე პოეტის მარინა ცვეტაევას შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა.

"მარინა ცვეტაევას პოეზია რუსულ და ევროპულ ლიტერატურულ ტენდენციათა კონტექსტში" - ამგვარი სახელწოდების კონფერენციაში ჩეხი, ესპანელი, ფრანგი, უკრაინელი, ყაზახი და რუსი მეცნიერები მონაწილეობდნენ. ელაბუგში ცვეტაევას მემორიალური სახლ-მუზეუმის წარმომადგენლის ნატალი მუხინოს თქმით, გემი სწორედ იმ მარშრუტით მოძრაობს, რაც ცვეტაევამ 65 წლის წინათ გაიარა. მოსკოვიდან ევაკუირებული ცვეტაევა ვაჟიშვილთან ერთად ელაბუგში 1941 წლის აგვისტოში ჩავიდა. პოეტი ავადმყოფობასა და სიდუხჭირეში 31 აგვისტოს გარდაიცვალა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ფონდი "იავნანა"

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში 11 აგვისტოს უდედმამო და მშობლეთა მზურნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდი "იავნანა" საქველმოქმედო აქცია-კონცერტს გამართავს.

აქციაში პაატა ბურჭულაძესთან ერთად ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ნატალია ქუთათელაძე, სოფიკო ჭიაურელი, ნიკუშა შენგელაია, თამარ ჯავახიშვილი, ნუკრი კაპანაძე და ანსამბლი "ქართული ხმები" მიიღებენ მონაწილეობას.

საღამოს ნინო არაზაშვილი და მარინა სალუქვაძე გაუძღვებიან. ამავე დღეს, ბავშვთა სახლის რამდენიმე აღსაზრდელი საკუთარ ოჯახს დაუბრუნდება. კონცერტის მსვლელობისას ჩართული იქნება მაგთისა (20-01) და ჯეოსელის (70-88) სპეციალური ნომრები, რომელზეც მაყურებელს დარეკვა და მხარდაჭერის გამოხატვა შეეძლება. **ინტერპრესნიუსი**

## 7 ათასი წლის წინანდელი ხელნაწერები

ბულგარელმა არქეოლოგებმა უძველესი ხელნაწერები აღმოაჩინეს. ქვის 8 სანტიმეტრის სიგრძისა და 7 სანტიმეტრის სიგანის ფირფიტა, სავარაუდოდ, 7 ათასი წლისაა. თუკი მეცნიერები ქვის ფირფიტის ასაკს დაადგენენ, იგი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძველი ხელნაწერი იქნება.

ბულგარელი არქეოლოგის, დოქტორ ნიკალაი ოვჩაროვის ინფორმაციით, ქვის ფირფიტა ეკუთვნოდა კერძო პირს, რომელმაც იგი 20 წლის წინ იპოვა. იმ ტერიტორიაზე კი, სადაც მოყვარულმა არქეოლოგმა ქვის ფირფიტა ამოთხარა, მეცნიერებმა რამდენჯერმე იპოვეს ხელნაწერები, რომლებიც, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5 ათასი წლით თარიღდება. ამიტომ ნიკალაი ოვჩაროვი ბულგარეთში არ გამორიცხავს ისეთი ძველი ცივილიზაციის არსებობას, რომელსაც დამწერლობაც კი ჰქონდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საციხურის წმიდა გიორგის ეკლესია

ქარელის რაიონის, სოფელ საციხურში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის აღდგენითი სამუშაოები დასკვნით ფაზაში შედის.

პრეზიდენტის რწმუნებულის შიდა ქართლის რეგიონში მიხეილ ქარელის პრესსამსახურის ინფორმაციით, დღეისათვის ტაძარი თითქმის სრულად აღდგენილია. ამჟამად შიდა სამუშაოებია დარჩენილი, რაც აღსავლის კარებისა და სატრაპეზოს მოწყობას ითვალისწინებს.

ტაძრის აღდგენითი სამუშაოები ერთი წელია მიმადინარეობს. მისი დასრულების შემდეგ საციხურის წმიდა გიორგის ეკლესია მოქმედი გახდება. შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ინფორმაციით, ეკლესიის აღდგენით სამუშაოებში მთავარ პრობლემად ტაძრისთვის გალავნის შემოვლება რჩება, რის ხარჯებსაც ადმინისტრაცია თავის თავზე აიღებს. წმინდა გიორგის ეკლესია განვითარების პერიოდის ფეოდალური ხანით თარიღდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სამთავისის ტაძარი

კასპის რაიონში, სოფელ სამთავისის ტაძრის ეზოში მცირე ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები გრძელდება. სპეციალისტთა შეფასებით, ეკლესიის ნანგრევები XVI-XVII საუკუნით თარიღდება.

როგორც კასპის რაიონის გამგეობის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა დალი კორკელიშვილმა აღნიშნა, ეკლესიის აღდგენის პარალელურად ტაძრის ეზოში არქეოლოგიური გათხრებიც მიმდინარეობს, რომელიც მომავალში უფრო ფართო მასშტაბით გაიშლება.

ამჟამად აღდგენით სამუშაოებში სოხუმის უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობენ, რესტავრატორებს დახმარება გაუწიეს თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტებმაც, რომლებსაც კასპის რაიონის გამგეობა ბინით და კვებით უზრუნველყოფს. ტაძრის ეზოში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებს საქართველოს საპატრიარქოსა და ეროვნული მუზეუმის არქეოლოგები ხელმძღვანელობენ. დალი კორკელიშვილის თქმით, გათხრების შედეგად აღმოჩენილია სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების საგნები და ადამიანის სხეულის ნაწილები, მათი დათარიღების პროცესი კი ამჟამადაც მიმდინარეობს. **ჯი-ეიჩ-ენი**



## ლეგენდარული სკორპიონები

ლეგენდარული გერმანული როკ-ჯგუფის "სკორპიონსის" სოლისტი კლაუს მაინე ისრაელში ჩავა. მისი ვიზიტი ერთ კვირას გაგრძელდება და მონაწილეობას მიიღებს ური გელერთან, დავიდ დაორთან და 17 წლის ლიატ კოლეტთან ერთად პროგრამაში "გამომიგზავნეთ ანგელოზები". კონცერტი გაიმართება ტელ-ავივში "ანგარ 11"-ში. კონცერტის შემოსავალი გადაერიცხებათ სამხრეთში მცხოვრებლებს. მაინე გასულ წელს უკვე თანამშრომლობდა ლიატ კოლეტთან როგორც სცენაზე, ისე ხმის ჩამწერ სტუდიაში. მან მიიღო კოლეტის წინადადება და გადაწყვიტა შოუში მიეღო მონაწილეობა. "კლაუსი არაჩვეულებრივი ადამიანია. თავის დროზე ის ჩამოდიოდა ჩემთან სტუმრად კინერეტში, თუმცა იცოდა, რომ შეიძლებოდა ეს რაიონი დაემბობათ. როცა ომი დაიწყო, ყოველდღე მირეკავდა, რომ გაეგო როგორ ვიყავი. შემომთავაზა კიდეც, ჩავსულიყავი მასთან, გერმანიაში, მაგრამ მე პირიქით ვთხოვე, ჩამოსულიყო ისრაელში," - აღნიშნავს კოლეტი. კოლეტი ჯერჯერობით კანადაში გაემგზავრა, რათა გამოვიდეს საქველმოქმედო საღამოზე ტორონტოში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 3 ათასი ებრაელი. კოლეტი სამშობლოში კონცერტის დღეს დაბრუნდება.

## "ორბი" მექსიკაში საგასტროლოდ მიემგზავრება

ბავშვთა ანსამბლი "ორბი" მექსიკაში საგასტროლოდ მიემგზავრება.

როგორც ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა გია დავითაშვილმა განაცხადა, ანსამბლს გამოსვლები სწორედ იმ უდიდეს საკონცერტო დარბაზში ექნება, რომელშიც ახალხან თავისი გამოსვლები ცნობილმა ირლანდიურმა ანსამბლმა "რივერედენსმა" დაასრულა.

"ბავშვები გამოდიან მეხიკოს უდიდეს საკონცერტო დარბაზში - "აუდიტორია ნაციონალეში", რომელიც 5 ათას მაყურებელს იტევს. კონცერტს ესწრებიან ცნობილი იმპრესარიოები და მენეჯერები", - განაცხადა დავითაშვილმა. მისი თქმით, ანსამბლი "ორბი" ერთადერთი ბავშვთა ქორეოგრაფიული კოლექტივია საქართველოში, რომლის საგასტროლო ტურნეებს "რივერდენსის" იმპრესარიო გეგმავს.

ანსამბლი "ორბი" მექსიკაში გამოსვლებს 13 აგვისტოდან 13 სექტემბრამდე გამართავს. ბავშვთა ქორეოგრაფიული კოლექტივი საგასატროლოდ ბოლო 5 წლის განმავლობაში 21 ქვეყანაში იმყოფებოდა.

*ინტერპრესნიუსი*

## რადიოსადგურების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 26 ივლისს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში *რადიოსადგურების შესყიდვის შესახებ* შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

- განცხადების მე-2 ლოტით გათვალისწინებული მოტოროლას რადიოსადგურის სათადარიგო ელემენტი პ-040-ის რაოდენობა ნაცვლად 87-სა განისაზღვროს 261 ცალით.
- განცხადების მე-2 ლოტით გათვალისწინებული მინიმუმ ორ სიხშირეზე მომუშავე მოტოროლას რადიოსადგური პ-040-ის სახელწოდებიდან ამოღებულ იქნას სიტყვები "მინიმუმ ორ სიხშირეზე მომუშავე" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "მოტოროლას რადიოსადგური პ-040".
- განცხადების მე-2 ლოტით გათვალისწინებული მოტოროლას რადიოსადგური პ-040-ის რაოდენობა ნაცვლად 22-სა განისაზღვროს 42 ცალით.

2. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოქვეყნებული *რადიოსადგურების შესყიდვის შესახებ* სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

*სატენდერო კომისია*

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ეძებს 200 კვ/მ სასაწყობო ფართს საქირავებლად. შენობა აუცილებლად უნდა იყოს ადვილად მისადგომი და დაცვით უზრუნველყოფილი.

დაგვიკავშირდით ნომერზე: 98-70-05

ან მობრძანდით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N32 (შესასვლელი არსენა ოძელაშვილის ქუჩის N21-დან), I სართული, საერთო სამსახური.

## TV5MONDE

### 10 აგვისტო

06.00, 08.00, 09.00(კანადა) 12.00, 15.00(ბელგია) 16.00, 17.15, 20.00, 24.00, 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), 04.10 TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. 11.00, 14.00, 19.00, 22.30 TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 06.30 რექვიემი მუსიკალური ინდუსტრიისთვის. დოკ. ფილმი. 08.30 ტელედილა. 10.30 ბიგუდი. სერიალი. 11.05 ბალი და დასვენება. 12.15 ჩვენი ოცნებების ფერები. დოკ. ფილმი. 14.30 ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი. ეპიზოდი 34. 16.25 სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. 18.30 კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 19.05 "ჩაო ბელა" სერიალი. 20.30 ფელიქს ლეკლერკი. სერიალი. 23.00 ღრუბლების სამხრეთით. მხ.ფილმი. რეჟისორი ჟან-ფრანსუა ამიგე. 2003. 01.20 სიცილის ფესტივალი. 04.40 ადამიანის ტვინი და ნარკოტიკული ნივთიერებები. დოკ. ფილმი.

**ქირავდება 4930 მ² ფართი, საოფისე ფართი 230 მ², 3300 მ² ეზოთი, 800 მ² სასაწყობო ფართით, 600 მ² საწარმოო ფართით, აეროპორტის დასახლებაში. ფასი 2500$. ტელ: 899516312.**



მეუღლე თინათინ ჭედია, შვილები ნანი, მათე-გიორგი, დედა ნანული, ძმა დავიდი, და თამარი, სიძე თეიმურაზ მელიშვილი, მამიდა ამალია, ბიძა ივანე, ბიძაშვილები გურამი და მედიკო, სიდედრი მანონი ჭედია, ცოლისძმა უჩა. საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაციის მთელი შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაციის პრეზიდენტის

**თეიმურაზ ღოლიჯაშვილის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 13 აგვისტოს გორის რ-ნის სოფ. პატარა გარეჯვარში 14 საათზე.

პანაშვიდები 9-10 აგვისტოს თბილისში ქინძმარაულის შესახვევი №10 ბინა 18.

## კრასნოდარის თეატრი



კრასნოდარის ბალეტის თეატრი, რომელსაც ცნობილი ბალეტმაისტერი იური გრიგოროვიჩი ხელმძღვანელობს, მარინის თეატრში ახალ და ამავე დროს კარგად ცნობილ სპექტაკლებს აჩვენებს საზოგადოებას.

"მე ლენინგრადელი ვარ და ეს ჩემი ქალაქია. ამიტომ ყოველთვის დიდი ემოციებით ჩამოვდივარ, რათა წარვუდგინო მაყურებელს ახალი სპექტაკლები. ყოველთვის დიდ ყურადღებას ვგრძნობ ჩვენი თეატრის მიმართ", - აღნიშნა პრესკონფერენციაზე იური გრიგოროვიჩმა. შეგახსენებთ, რომ დასი უკვე მესამედ გამოვა მარინის სცენაზე. ნაჩვენები იქნება პეტერბურგელებისთვის კარგად ცნობილი სპექტაკლები: "სპარტაკი", "კორსარი", "რომეო და ჯულიეტა". აგრეთვე პრემიერები - "ლეგენდა სიყვარულზე" და "დონ კიხოტი". როგორც გრიგოროვიჩმა აღნიშნა: "ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს არიფ მელიკოვის სპექტაკლს "ლეგენდა სიყვარულზე", რადგან 1961 წელს ეს სპექტაკლი მე თვითონ დავდგი მარინისა და კიროვის თეატრების სცენებზე." თეატრის სოლისტების გარდა, სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ცნობილი მსახიობები: ანასტასია ვოლოჩკოვა და ევგენი ივანჩენკო. საზოგადოებრივი გაერთიანება "პრემიერის" გენერალური დირექტორის, რუსეთის სახალხო არტისტის ლეონარდ გატოვას თქმით, პეტებურგის თეატრის გასტროლები იქნება დასაწყისი დიდი ფესტივალისა, რომელიც ქორეოგრაფიის 60 წლის იუბილეს მიეძღვნება.

## იაელ აბაკასისი



მშვენიერი იაელ აბაკასისი ისრაელის კინობაზარზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი გახდა. ამ დღეებში დასრულდება ფრანგული ფილმის გადაღება, რომელშიც აბაკასისი მთავარ როლს ასრულებს. კინოკრიტიკოსები ამბობენ, რომ ფილმი "ჩემ გარეშე", რომელიც 2007 წელს გამოვა ეკრანებზე, ებრაელი მსახიობისთვის ყველაზე წარმატებული იქნება.

დრამა "ჩემ გარეშე" მოგვითხრობს დედაზე. სწორედ ამ როლს ასრულებს აბაკასისი ფილმში. მეგობრის როლს ასრულებს კლემანს პოეზი, რომელიც თამაშობდა "ჰარი პოტერში" ფლერ დელაკურის როლს. ფილმში აგრეთვე თამაშობს მარი დესპლეჩინი, რომელიც 1998 წელს გამოჩნდა ეკრანზე. ფილმის რეჟისორია ოლივერ პენში, რომელიც ფილმების "72 საათის", "მატილდას", "რაი ლაურის" ავტორია. იაელ აბაკასისი თეატრის და კინოს ცნობილი მსახიობია, ისრაელის ტელევიზიაში იყო საბავშვო გადაცემის წამყვანი, კარიერა კი 14 წლის ასაკში დაიწყო როგორც მოდელმა. თამაშობდა ფილმებში: "წმინდანი", "ალილა", სერიალში "შაბათი და დღესასწაულები", "ტელ-ავივის ისტორიები" და სხვები. ბოლო წლების განმავლობაში მსახიობი იღებს მიწვევებს საზღვარგარეთიდან. იგი თამაშობდა ფრანგულ ფილმში "იცხოვრე და იყავი", რომელიც "სეზარის" პრეტენდენტია, რაც ამერიკული "ოსკარის" ფრანგული ანალოგია. ამ წელს ისრაელის ერთ-ერთმა ჟურნალმა ის დაასახელა ისრაელის 100 ყველაზე ლამაზ ქალს შორის. სიაში მსახიობი მეცხრე ადგილზე იყო.

## ვან გოგის თავი



ბრიტანელი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ჰოლანდიელი მხატვრის ვან გოგის ნამუშევარი "მამაკაცის თავი", რომელიც 20 მილიონ დოლარადაა შეფასებული, ნამდვილი არ არის. მელბურნის ნაციონალური გალერეა "ვიქტორიას" სპეციალისტები გამოძიების ჩატარებას აპირებენ. ხელოვნების მკვლევარებს ეს ეჭვი იმიტომ გაუჩნდათ, რომ პორტრეტი 1880 წელს ჰორიზონტალურ სტილშია შესრულებული, რაც ვან გოგს არ ახასიათებდა.

20-მილიონიანი შედევრი მელბურნის გალერეას 1940 წელს გადეცა, თავის დროზე კი ედინბურგის გალერეაში ინახებოდა. ამ გალერიის ექსპერტებისგან კომენტარები ჯერ მიღებული არ არის. "ვიქტორიას" დირექტორის ჯერალდ ვაგანის თქმით, ვინსენტ ვან გოგის ნამუშევარი ყალბი აღმოჩნდა და გალერეა თავის დასკვნებს სავსებით ეყრდნობა. ამიტომ მათ გაუქმებას არ აპირებს და საჯარო დისკუსიებს გამართავს. ამავე დროს დარწმუნებულია, რომ სპეციალისტები არ ცდებიან, რადგან ვან გოგის ნამუშევარი არაერთხელ აღმოჩნდა ტყუილი. თუმცა პორტრეტზე, რომელზეც მამაკაცის თავია გამოსახული, ვან გოგის ერთადერთ ავტოპორტრეტად ითვლებოდა.

## არარსებული მუზეუმი



2009 წელს მოსკოვში შეიქმნება გოგოლის ცენტრი, რომელშიც მუზეუმი, ბიბლიოთეკა და სხვადასხვა განყოფილებები განთავსდება. აქამდე არც დედაქალაქში და არც რუსეთის ქალაქებში მწერლის არც ერთი მუზეუმი არ არსებობდა. ქალაქის კულტურული ცენტრის ხელმძღვანელობის თქმით, სამ წელიწადში მწერლის 200 წელი უნდა აღინიშნოს. გოგოლის ცენტრის შექმნა დაგეგმილია ნიკიტსკის ბულვარში, სადაც მწერალი 1848 წლიდან სიკვდილამდე, 1852 წლამდე ცხოვრობდა. თავის დროზე ამ ადგილას განლაგებული იყო ბიბლიოთეკა, რომელსაც 2005 წელს უწოდეს "ბიბლიოთეკა - მემორიალური ცენტრი "გოგოლის სახლი". დედაქალაქის ლიტერატურული საზოგადოება წლების განმავლობაში სთხოვდა მოსკოვის ხელისუფლებას გოგოლის მუზეუმის განთავსებას. ჯერ კიდევ 2006 წელს დედაქალაქის კულტურის კომიტეტის წევრებმა უარი განაცხადეს მემორიალური მუზეუმის იდეის შექმნაზე. მიზეზად გოგოლის პირადი ნივთების ნაკლებობას ასახელებდნენ.

## საშინელებათა აკადემია

კინოკომპანია Universal-მა მოიპოვა დირა ლორის ფანტასტიკური ტრილოგიის ეკრანიზაციის უფლება, რომელსაც "საშინელებათა აკადემია" ეწოდება. პროექტის რეალიზაციის უფლება მიენიჭა ფილმების "მუმიის" და "ვან ჰელსინგის" ავტორს სტივენ სომერს და მის სტუდიას Sommers Company. მაგრამ დაიკავებს თუ არა სომერსი რეჟისორის სავარძელს ან გახდება თუ არა ფილმის პროდიუსერი, ჯერჯერობით უცნობია. წიგნი Nightmare Academy მოგვითხრობს ბიჭის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, რომელიც აცნობიერებს, რომ კოშმარული სიზმრები საშინელ გუნებაზე აღვიძებს. პროექტის დაწყების დრო ჯერჯერობით უცნობია.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39**



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე პირის დანიშვნისათვის საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და კონკურსის პირობების დამტკიცების თაობაზე

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

**თბილისი**

**2006 წლის 8 აგვისტო** **N105/ო**

"საჯარო სამართლის ურიდიული პირის-უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის, პრეზიდენტის 2006 წლის 24 მარტის N146 განკარგულების შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდეგში "უნივერსიტეტი") ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე პირის კონკურსის წესით დანიშვნის მიზნით,

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს კონკურსი უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რადიოლოგიის დეპარტამენტის რენტგენოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე.
2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ა) ფრიდონ თოდუა - მედ. მეც. დოქტორი, სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
   ბ) აკაკი ნადარეიშვილი - მედ. მეც. დოქტორი, სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის ულტრასონოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი;
   გ) მერაბ კვიტაშვილი - მედ. მეც. დოქტორი, თერაპიის ეროვნული ცენტრის დირექტორი.
3. საკონკურსო კომისიის მუშაობა განხორციელდეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 22 მაისის N41/ო ბრძანებით დამტკიცებული "საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტის" შესაბამისად.
4. ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი განხორციელდეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 22 მაისის N40/ო ბრძანებით დამტკიცებული "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო, სტომატოლოგიური, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ფარმაციის ფაკულტეტების აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის საკონკურსის წესი" პირობების შესაბამისად.
5. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინოს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 22 მაისის N40/ო ბრძანების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. კონკურსანტს უფლება აქვს აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე განცხადებაში გააკეთოს სათანადო მითითება მის მიერ უნივერსიტეტში წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და დამატებით წარმოადგინოს კონკურსთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.
6. საბუთების მიღება განხორციელდეს წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში. კონკურსი ჩატარდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების რეგისტრაციის დასრულებიდან 15 დღის ვადაში.
7.საბუთები მიიღება მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N33, ოთახი 201, საკონტაქტო ელეფონი 390857.
7. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნება გაზეთში "24 საათი", უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას.
8. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

***რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მენაბდე***

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1.ქ.ფოთის ადგილობრივი თვითმართველობის მშენებლობის სამსახური აცხადებს ტენდერს ქ.ფოთში აკაკის ქუჩის კაპშეკეთების სამუშაოების ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიული ან/და ფიზიკურ პირს.

2.გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3.დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დაკომენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N 200122900, მიმღები ბანკი:საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000) 2006 წლის 11 აგვისტოდან შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი დ.აღმაშენებლის N 33

4..დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 31 აგვისტოს 16.00 საათამდე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი დ.აღმაშენებლის N 33.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

5.საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

5.1 ცნობები:

5.1.1.იურიდიული პირისათვის:

ა)ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ)ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

5.1.2. ფიზიკური პირისთვის:

ა)ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ)ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ)ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

5.1.3.როგორც ფიზიკური ისევე იურიდიული პირისათვის:

ა)ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ფორმით (ქირა, თხოვება და ა.შ.) სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მანქანა-მექანიზმები მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

ბ)იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის საკუთრებაში ან სარგებლობაში წარმოდგენილი უნ- და იქნეს შესაბამისი დამასტურებელი დოკუმენტები.

5.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით);

ა)ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

5.3.ინფორმაცია, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003,2004,2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

6.იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, სამსახურის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

7.იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატერდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

8.იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს ადგილობრივი თვითმმართველობის მშენებლობის სამსახურის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება

9.ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია-ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5-%-ის ოდენობით.

10.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ქ.ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის მშენებლობის სამსახურში, საკონტაქტო ტელეფონი 8-293-2-23-70 გერონტი ბერია.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს სხვადასხვა სახის ავტოსათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზონო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

| სხვადასხვა სახის ავტოსათადარიგო ნაწილები | | ლოტი 1 | ლოტი 2 | ლოტი 3 | ლოტი 4 | ლოტი 5 |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | უაზი | ნივა | მიკრო ავტობუსი | კამაზი | ურალი |
| 1 | კამერა | 35ც | 8ც | 4ც | 16ც | 10ც |
| 2 | შარნირი მარჯვენა | 3ც | 2ც | 1ც | 1ც | 1ც |
| 3 | შარნირი მარცხენა | 3ც | 2ც | 1ც | 1ც | 1ც |
| 4 | შარავოი | – | 12ც | – | – | – |
| 5 | ნაკანეჩნიკი | 50ც | 8ც | 2ც | 10ც | 2ც |
| 6 | გრძელი ტიაგა | 3ც | 2ც | 2ც | 2ც | 2ც |
| 7 | სტუპიცის პადჩებნიკი | 84ც | 4ც | 4ც | 12ც | 6ც |
| 8 | პოლუოსის პადჩებნიკი | 70ც | 6ც | 4ც | 24ც | 10ც |
| 9 | სტუპიცა | 13ც | 2ც | 1ც | 2წ2უ | 1წ1უ |
| 10 | სტუპიცის სალნიკი | 40ც | 4ც | 2ც | 16ც | 8ც |
| 11 | პოლუოსის სალნიკი | 40ც | 4ც | 2ც | 12ც | 8ც |
| 12 | სტუპიცის გაიკა | 10ც | 6ც | 2ც | 16ც | 10ც |
| 13 | ტორმუზის შლანგი | 75ც | 10ც | 5ც | 24ც | 10ც |
| 14 | წინა მუშა ბაჩოკი | 50ც | 2ც | 4ც | 12ც | 6ც |
| 15 | მუხრუჭის უკანა ბაჩოკი | 36ც | 4ც | 2ც | 12ც | 4ც |
| 16 | წინა კარდანი | 5ც | 2ც | 1ც | 2ც | 2ც |
| 17 | უკანა კარდანი | 6ც | 2ც | 1ც | 2ც | 2ც |
| 18 | პრომეჟუტკა | – | 4ც | – | – | – |
| 19 | მუხრუჭის მთავარი ბაჩოკი | 8ც | 2ც | 1ც | 3ც | 2ც |
| 20 | ცეპლენიის ქვედა ბაჩოკი | 10ც | 2ც | 1ც | 3ც | 2ც |
| 21 | ცეპლენიის ზედა ბაჩოკი | 10ც | 2ც | 1ც | 3ც | 2ც |
| 22 | ვაკუუმი | 2ც | 2ც | 1ც | – | – |
| 23 | უკანა კალოდკა | 63კომპ | 2კომპ | 1კომპ | 3კომპ | 2კომპ |
| 24 | წინა კალოდკა | 10კომპ | 6კომპ | – | 3კომპ | 2კომპ |
| 25 | ცეპლენიის დისკი | 15ც | 4ც | 1ც | 18ც | 4ც |
| 26 | ცეპლენიის პლიტა | 12ც | 3ც | 1ც | 3ც | 2ც |
| 27 | ვიჟიმნოი მუფტით | 12ც | 3ც | 1ც | 6ც | 4ც |
| 28 | ცეპლენიის ვილკა | 10ც | 2ც | 1ც | | |
| 29 | კრესტავინა | 28ც | 10ც | 8ც | 24ც | 10ც |
| 30 | ზედა გიტარა | – | 4ც | – | – | – |
| 31 | ქვედა გიტარა | – | 4ც | – | – | – |
| 32 | რაზვალნი ვტულკა | – | 4კომპ | – | – | – |
| 33 | ქვ. გიტარის გრძელი ბოლტი | – | 6ც | – | – | – |
| 34 | რესორის რეზინები | 360ც | – | 16ც | – | – |
| 35 | წინა რესორი | 34ც | – | 3ც | 4ც | 4ც |
| 36 | უკანა რესორი | 3ც | – | 2ც | – | – |
| 37 | წყლის პომპა | 32ც | 4ც | 1ც | 3ც | 2ც |
| 38 | ელასტიური მუფტა | – | 4ც | – | – | – |
| 39 | კარბურატორი | 12ც | 2ც | 1ც | – | – |
| 40 | ტრამლიორი | 10ც | 2ც | 1ც | – | – |
| 41 | კომუტატორი | 18ც | 2ც | 1ც | – | – |
| 42 | ბაბინა | 18ც | 2ც | 1ც | – | – |
| 43 | სვეჩები | 72ც | 10ც | 5ც | – | – |
| 44 | ბენზინის ფილტრი | – | 10ც | – | – | – |
| 45 | დიზელის ფილტრი | – | – | – | 12ც | 8ც |
| 46 | რადიატორი | 4ც | 2ც | 1ც | 2ც | 1ც |
| 47 | რემნები | 60ც | 10ც | 2ც | 6კომპ | 4კომპ |
| 48 | ხიდები უკანა | 3ც | 1ც | 1ც | – | – |
| 49 | კანეჩკა პლანეტარკა 37კ | 7კომპ | – | 1ც | – | – |
| 50 | რედუქტორი წინა | – | 2ც | – | – | – |
| 51 | რედუქტორი უკანა | – | 2ც | – | 2ც | – |
| 52 | სატელიტების ჩაშკა | 7ც | – | 1ც | – | – |
| 53 | გრძელი პოლუოსი | 10ც | – | 1ც | 3ც | 3ც |
| 54 | მოკლე პოლუოსი | 10ც | – | 1ც | 3ც | 3ც |
| 55 | პოლუოსი | – | 4ც | – | – | – |
| 56 | რადიატორის შლანგი | 18კომპ | 4კომპ | 1კომპ | 3კომპ | 2კომპ |
| 57 | დინამო | 10ც | 2ც | 1ც | 8ც | 2ც |
| 58 | სტარტერი | 10ც | 3ც | 1ც | 3ც | 2ც |
| 59 | გიდრო უსილიტელი | 8ც | – | 1ც | 3ც | 2ც |
| 60 | თერმოსტატი | 18ც | 4ც | 1ც | 3ც | 2ც |
| 61 | ელ. სადენები | 18კომპ | 4კომპ | 1კომპ | – | – |
| 62 | ფარები | 20ც | 5ც | 2ც | 12ც | 4ც |
| 63 | უკანა სტოპი | 8ც | 2ც | 1ც | 6ც | 2ც |
| 64 | ფარის ნათურა | 50ც | 10ც | 5ც | 10ც24V | 80ც24V |
| 65 | ბენზინის შლანგი | 28ც | 10ც | 3ც | – | – |
| 66 | აპორნი დისკი | – | 4ც | – | – | – |
| 67 | ხელის ტროსი | – | 8ც | – | – | – |
| 68 | გადაცემათა კოლოფი | 2ც | 1ც | 1ც | – | – |
| 69 | რაზდატკა | 2ც | 1ც | 1ც | – | – |
| 70 | აკუმულიატორი | 18ც | 2ც | 2ც | 6ც | 4ც |
| 71 | ლიტოლი | 20კგ | 10კგ | 10კგ | 20კგ | 20კგ |
| 72 | ხიდის ზეთი | 200ლ | | | | |
| 73 | ძრავის ზეთი | 500ლ | 50ლ | 15ლ | | |
| 74 | დიზელის ზეთი | | | | 300ლ | 200ლ |
| 75 | ჯიტკოსტი | 50ლ | | | | |
| 76 | გიდრავლიკის ზეთი | 50ლ | | 5ლ | 40ლ | 20ლ |
| 77 | საქარე მინის ჩოთქები | 45ც | 10ც | 4ც | 10ც | 8ც |
| 78 | საბურავის დისკი | 16ც | 8ც | 4ც | – | – |
| 79 | ვინტილიატორი | 2ც | 2ც | – | – | – |
| 80 | წინა საქარე მინა | 4ც | 2ც | 1ც | 2ც | 1ც |
| 81 | დომკრატი | 10ც | 2ც | 1ც | 3ც(20ტ) | 2ც(20ტ) |
| 82 | ანტიფრიზი | 600ლ | | | | |
| 83 | გერმეტიკი | – | 20ც | – | – | – |
| 84 | ზაჟიგანიის ზამოკი | 16ც | 4ც | 1ც | – | – |
| 85 | კარდანის ბოლტ-გაიკა | 18კომპ | 5კომპ | 2კომპ | 6კომპ | 4კომპ |
| 86 | შესტირონკა | – | 4ც | – | – | – |
| 87 | კომუტატორნი ბაბინა | – | 4ც | – | – | – |
| 88 | იმპულსური დაციკი | – | 4ც | – | – | – |
| 89 | რულავოი კალონკა | 7ც | 2ც | 1ც | – | – |
| 90 | შარავოის პილნიკი | – | 20ც | – | – | – |
| 91 | ყუმბარის პილნიკი | – | 8ც | – | – | – |
| 92 | ზეთის ფილტრი | 54ც | 10ც | 5ც | 10ც | 7ც |
| 93 | ზეთის ნასოსი | 6ც | 2ც | 1ც | – | – |
| 94 | შკორნები | 5ც | – | – | – | – |
| 95 | შუშების ამწე | 12კომპ | 14კომპ | – | – | – |
| 96 | რადიატორის კრიშკა | 18ც | 3ც | 2ც | 6ც | 4ც |
| 97 | საბუქსირე ტროსი | 15ც | 5ც | – | – | – |
| 98 | რულის ღერძი | – | 2ც | – | – | – |
| 99 | რულის დურბინდი | – | 2ც | – | – | – |
| 100 | საჭე | 4ც | – | – | – | – |
| 101 | ხიდის და ჩაშკის პადჩებნიკები | 5კომპ | – | – | – | – |
| 102 | წინა ხიდის ჩამრთველი | 18კომპ | – | 2კომპ | – | – |
| 103 | გიპოიდი | 60ლ | – | – | – | – |
| 104 | სასმაზკი შპრიცი | 6ც | – | – | – | – |

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ქიზიყის N5.

4. მიწოდების ვადები ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2006 წლის 30 სექტემბრამდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 30 აგვისტოს 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

a) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული..

b) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

*10.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი ტელ. 75-47-74, ***899 23-46-95***

***სატენდერო კომისია***

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს საპარკო სკამების, საბავშვო მოედნების ატრიბუტების და მათი დამონტაჟების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია - 2 ლოტად (პოზიციად):

**1. ლოტი (პოზიცია) :**

ა) სკამი - 200 ცალი;

ბ) აიწონა - 70 ცალი;

გ) სასრიალო - 60 ცალი;

დ) საქანელა - 60 ცალი;

ე) ურნა - 270 - ცალი;

**2. ლოტი (პოზიცია)** - სასრიალოსა და საქანელას კომპლექტი (დიდი) - 10 ცალი (ევროპული სათამაშო მოედნების სტანდარტების EN - 1176-ის შესაბამისად)

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 სექტემბერი. **3.**განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 30 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 30 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

**5.** თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**6.** სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 9 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 29 აგვისტოს 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**7.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) ექსპლუატაციის და ტექმომსახურების ტექნიკოსის თანამდებობის დასაკავებლად

**ექსპლუატაციის ტექნიკოსი**

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

შერჩეული კანდიდატი გაივლის მომზადებას ექსპლუატაციის და ტექმომსახურების პროცედურებში და შეიძენს უნარ-ჩვევებს, რომელიც საჭიროა BTC-ს ობიექტების უსაფრთხო და ეფექტური ექსპლუატაციისა და ინტეგრირებული მუშაობისათვის.

ექსპლუატაციის და ტექმომსახურების ტექნიკოსის ზოგად მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს მიეკუთვნება (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ადამიანების ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) პრინციპებისადმი განუხრელი ერთგულების დემონსტრირება.
- უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის შენარჩუნება ობიექტზე;
- "მუშაობის ნებართვის" გაცემის სისტემის დანერგვა და ობიექტზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აღრიცხვის წარმოება;
- HSE-ს და წარმოების სფეროებში მოქმედი პროცედურების შესრულების უზრუნველყოფა;
- კომპანიის პროცედურების, ვალდებულებების და მართვის სისტემების შესრულება;
- მილსადენის ექსპლუატაციის და ტექმომსახურების პროცესების, პროცედურების და ვალდებულებების შესრულება;
- ექსპლუატაციის და ტექმომსახურების წესების ათვისების უნარის გამოვლენა;
- პროაქტიური მიდგომა პრობლემებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისთვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა იმუშაოს მოშორებულ ადგილებში;
- აუცილებელია კომუნიკაციის კარგი უნარის გამომჟღავნება ობიექტზე მომუშავე თანამშრომლებთან და მილსადენის ექსპლუატაციის ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკურ მახასიათებლებში გარკვევის უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის და მილსადენის ობიექტების ინტეგრირებული მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების უნარი.

კონკრეტული მოვალეობები დაზუსტდება გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ.

**გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება:

- სათანადო საინჟინრო / ტექნიკური კვალიფიკაცია;
- საწარმოო სფეროში, მაგ. ელექტრულ, ინსტრუმენტულ, მექანიკურ, სამრეწველო საწარმოებში მუშაობის გამოცდილება;
- ზეპირი და წერილობითი ინგლისურის ფლობა და ენის შემდგომი დაუფლების სურვილი;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 14 აგვისტო, ორშაბათი, 18 საათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შეთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა N38

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ამწის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ამწის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ჯოჯგინა ამწე | ორკონსოლიანი, ურიკის ტიპის ტვირთის გადაადგილების მექანიზმის მქონე, მოაჯირებიანი, კაბინიანი, 10-15 ტონიანი, ამწის სავალი გზის ცენტრებს შორის მანძილი 11.42 მეტრი | ც | 1 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - DDP ქ.თბილისი, მერაბ ქავთარაძის 11ა;
4. მოწოდების ვადა - III კვარტალი;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო მ3წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 1 სექტემბრისს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51, 56-40-26.

*სატენდერო კომისია*

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# ვაკანსია

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის დროებითი პოზიციის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმნა;
- ნათარგმნი დოკუმენტების კორექტირება;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **ოთხშაბათი, 2006 წლის 23 აგვისტო.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

*კადრების დეპარტამენტი*

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს 112 მ² მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის შესახებ.

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- საიჯარო ქონება - ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიაზე არსებული 112 მ ფართობის მიწის ნაკვეთი;

- სასყიდლიანი აღნაგობის ფასი: 1 მ მიწის ნაკვეთის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 3 ლარს (დ.ღ.გ.-ს და სხვა გადასახდელების გარეშე);

**საკონკურსო პირობები:**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

მიწის ნაკვეთი იჯარით გაიცემა იმ პირობით, რომ კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელი იქნება მეიჯარის (ნავსადგურის) პრივატიზების, ან მოცემული ფართობის პრივატიზების და ასევე რეალიზების შემთხვევაში.

გარდა ამისა, კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული მოიჯარე ქ.ფოთის ადგილობრივ ბიუჯეტში იხდის ქ.ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (საკრებულოს) მიერ დადგენილ ნორმატიულ ფასს, რაც 1 მ მიწის ნაკვეთზე შეადგენს 0,65 ლარს.

საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და ფასზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 10 აგვისტოს დილის 10 საათიდან 2006 წლის 24 აგვისტოს 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

**საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას უპირატესობა მიენიჭება ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიაზე მომუშავე მოიჯარე კომპანიებს

*შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"*

# შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს მის ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი ფართის 5 წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- საიჯარო ქონება - შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" სარეჟიმო ტერიტორიაზე 1 საწარმოო რაიონის მე-6 ქვესადგურის შენობის მე-2 სართულზე განთავსებული 115,7 მ (მათ შორის 115,7 მ სასარგებლო ფართი), და მე-2 საწარმოო რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ადმინისტრაციული შენობის 123,5 მ (მათ შორის ძირითადი ფართი 73,3 მ დამხმარე ფართი 50 მ ), 391,8 მ (მათ შორის ძირითადი ფართი 117,95 მ დამხმარე ფართი 223,8 მ ), 247,28 მ (მათ შორის ძირითადი ფართი 89,25 მ დამხმარე ფართი 108 მ )

- იჯარის ფასი: 1 მ ძირითადი სარგებლობის ფართობის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 4 აშშ დოლარს შესაბამისი კურსით ლარებში (დ.ღ.გ.-ს გარეშე);

1 მ დამხმარე სარგებლობის ფართობის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 1,5 აშშ დოლარს შესაბამისი კურსით ლარებში (დ.ღ.გ.-ს გარეშე);

**საკონკურსო პირობები:**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ფართობი იჯარით გაიცემა იმ პირობით, რომ კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელი იქნება მეიჯარის (ნავსადგურის) პრივატიზების, ან მოცემული ფართობის პრივატიზების და ასევე რეალიზების შემთხვევაში.

საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და ფასზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 10 აგვისტოდან დილის 10 საათიდან 2006 წლის 24 აგვისტოს 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საიჯარო ფართების ტექნიკურ მდგომარეობას.

**საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას უპირატესობა მიენიჭება შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" სარეჟიმო ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს.

*შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"*

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სალიანდაგო ღორღის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს სალიანდაგო ღორღის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სალიანდაგო ღორღი | გრანიტის, ფრაქცია 40-65მმ | მ³ | 60 000 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - ვაგონებში ჩატვირთული, რკინიგზის უახლოესი გამომგზავნი სადგური;
4. მოწოდების ვადა - 2006 წლის III კვარტალი;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 30 აგვისტოს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

*ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :*

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51, 56-40-26.

*სატენდერო კომისია*

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# განცხადება ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს აუქციონს ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა N16-ში მდებარე სადღელამისო ავტოსადგომის მომიჯნავედ 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვის მიზნით

**ქალაქ ბათუმის მთავრობა**

1-01-25 / 18-7 N 228 " 3 " აგვისტო 2006 წ.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა N16-ში მდებარე სადღელამისო ავტოსადგომის მომიჯნავედ 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე ღია აუქციონის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ ქალაქის განვითარებისა და კეთილმოწყობის მიზნით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინვესტიციების მოზიდვას, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კერძო სექტორისათვის ხელშეწყობა. აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ ბათუმის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოცხადდეს ღია აუქციონი ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე სადღელამისო ავტოსადგომის მიმდებარედ 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფ-ლოსამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანი-შნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :

1. ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე არსებული სადღელამისო ავტოსადგო-მის მიმდებარედ 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე გამოცხადდეს ღია აუქციონი.
2. მიწის ნაკვეთის საწყის გასაყიდ ფასად დაწესდეს 54 000 (ორმოცდა-თოთხმეტი ათასი) ლარი.
3. აუქციონის მონაწილის მიერ ერთი განცხადების შეთავაზების ოდენობად (ბიჯი) დაწესდეს არანაკლები 2 000 (ორი ათასი) ლარი.
4. დამტკიცდეს აუქციონის თანდართული პირობები.
5. დაევალოს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული აუქციონის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინფორმაციო პაკეტი.
6. აუქციონში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა აუცილებელი შენატანის სახით უნდა შეიტანოს 2700 (ორი ათას შვიდასი) ლარი, რაც წარმოადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 54 000 ლარის 5%-ს.
7. აუქციონში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადებების მიღება აუქციონში მონაწილეობაზე განხორციელდეს დადგენილებისა და დამტკიცებუ-ლი აუქციონის პირობების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
8. ეთხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს წინამდებარე დადგენილებაში მითითებული მიწის ნაკვეთის ცალკე მიწის ნაკვეთად ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის (ქ. ბათუმის მერია) სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა და საკადასტრო რუკის შედგენა "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
9. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.
10. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს (რ. ჩხაიძე) და კომისიის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).
11. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N5) მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
12. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

*მერის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი თავართქილაძე*

*"დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა"*

*ქალაქ ბათუმის მთავრობის დადგენილება*

*2006 წლის 3 აგვისტო N228*

## ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა N16-ში არსებული სადღელამისო ავტოსადგომის მიმდებარედ 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე ღია აუქციონის ჩატარების პირობები

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 3 აგვისტოს N228 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს ღია აუქციონს ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა N16-ში არსებული სადღელამისო ავტოსადგომის მიმდებარედ 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე.

**1. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქ ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა N16-ში მდებარე სადღელამისო ავტოსადგომის ტერიტორია;

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: ღია აუქციონი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 600 (ექვსასი) კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - 54 000 (ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარი.

**2. აუქციონის პირობები და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

1. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ყველა მონაწილისათვის ერთნაირია და შეადგენს სულ 54 000 (ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარს.
2. ერთი შემოთავაზება ფასის შესახებ (ბიჯი) უნდა იყოს არანაკლებ 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობის.
3. აუქციონში გამარჯვების პირობაა მაღალი გასაყიდი ფასის შემოთავაზე-ბა.
4. გამარჯვებულის მიერ ფასის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში სრულად და ერთჯერადად.
5. გამარჯვებულის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება როგორც წესი უნდა მოხდეს აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც გამარჯვებულს უფლება ეძლევა მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღრიცხოს საჯარო რეესტრში.
6. ქ. ბათუმის მთავრობის მიერ აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში გამარჯვებულის მიერ ფასის სრულად და ერთჯერადად გადაუხდელობის შემთხვევაში მას ჩამოერთმევა გამარჯვებულის სტატუსი. ასეთ შემთხვევაში, "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება.

**3. აუქციონში მონაწილეობის უფლების მოპოვება**

1. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ნებისმიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.
2. აუქციონში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის პირმა რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1. ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) "ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის - 54 000 ლარის 5%-ის 2700 (ორი ათას შვიდასი) ლარის გადახდას ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საანგარიშსწორებო ანგარიშზე.

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) თუ პირი მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, ნოტარიალუ-რად დამოწმებული მინდობილობა და რწმუნებულის პირადობის დამადასტურე-ბელი დოკუმენტის ასლი.

ე) ყველა იმ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება წარმოეშვას ქ. ბათუმის ადგილობრივ თვითმმართველობას (ქ. ბათუმის მერია) აუქციონით განსაკარგ მიწის ნაკვეთზე აშენებული საცხოვრებელი სახლიდან გამომდინარე მისი კანონიერი მფლო-ბელის მიმართ, საცხოვრებელი სახლის ღირებულებასთან დაკავშირებით.

2.2. იურიდიულმა პირებმა 2.1. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა დამატებით უნდა წარმოადგინონ:

ა) საზოგადოების წესდება ან მისი ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;

ბ) ძალაში მყოფი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი:

გ) პარტნიორის კრების ნოტარიალურად დამოწმებული ოქმი აუქციონის წესით განსაკარგავი ქონების შეძენის თაობაზე.

დ) პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება 2.1. პუნქტის "ე " ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების აღების თაობაზე.

2.3. მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ რეგისტრატორი რეგისტრაციაში ატარებს აუქციონში მონაწილეობის მსურველებს და აძლევს მას აუქციონის ბილეთს და სავაჭრო ბილეთს.

**4. აუქციონის ჩატარების წესი:**

1. აუქციონში მონაწილეობა შეუძლია იმ პირს, რომელმაც დადგენილი წესით გაიარა რეგისტრაცია და მიიღო სავაჭრო ბილეთი.
2. აუქციონის დაწყებამდე კომისია ამოწმებს მონაწილეთა აუქციონზე დაშვების კანონიერებას.
3. აუქციონის დაწყებამდე კომისიის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს აუქციონერს, რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს აუქციონის ჩატარებას.
4. ვაჭრობა იწყება აუქციონერის მიერ ვაჭრობის დაწყებულად და საწყისი გასაყიდი ფასის გამოცხადების შემდეგ.
5. ვაჭრობის დროს აუქციონის თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოახდინოს განცხადების (ბიჯი) შეთავაზება ფასის თაობაზე, რომელიც არ უნდა იყოს დაწესებულ ბიჯზე ნაკლები.
6. თუ აუქციონში მონაწილეობს მხოლოდ ერთი მონაწილე სავალდებულოა მის მიერ Fფასის თაობაზე ერთი განცხადების (ბიჯი) შეთავაზება მაინც.
7. ვაჭრობა დამთავრებულად ითვლება თუ აუქციონერმა ორჯერ მოითხოვა საბოლოო განცხადების (ბიჯი) შეთავაზება ფასის თაობაზე და ასეთი ვერ მიიღო.
8. ვაჭრობაში გამარჯვებულად ავტომატურად ითვლება, ვინც აუქციონერს შესთავაზა ბოლო განცხადება ფასის თაობაზე. გამარჯვებულს აცხადებს აუქციონერი.
9. აუქციონს დასრულებულად აცხადებს აუქციონერი.
10. აუქციონში გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება როგორც წესი ხდება აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ხელშეკრულების გაფორმებისას აუქციონში გამარჯვებულის მიერ სრულად უნდა იყოს გადახდილი ფასი.

**5. სხვა პირობები**

1. აუქციონი გაიმართება 2006 წლის 14 სექტემბერს 16 სთ-ზე. მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, მეორე სართული, სააქტო დარბაზი.
2. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაციას და აუქციონის ბილეთის, ასევე სავაჭრო ბილეთის გაცემას ახდენს რეგისტრატორი - ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსი გელა მახარაძე, მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, მეორე სართული, ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის იურიდიული სამსახური. ტელ: 7-26-10.
3. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 2006 წლის 12 აგვისტოდან 2006 წლის 14 სექტემბრის 15 სთ-მდე.
4. აუქციონში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102.

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი - 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402.

5. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები, პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომელსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.
6. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაცია წარმოებს ზონარგაყრილ და დანომრილ წიგნში.

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერის წესით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (რუსთაველის გამზირი N29) ადმინისტრაციული (ყოფილი იმელი) შენობის წინა და გვერდითი ფასადების (შეკეთება-გაწმენდა-გაპრიალება, შელესვა, შეღებვა, მთავარი შესასვლელი და გვერდითი კარებების რესტავრაცია) სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვას და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურება განხორციელდება 2006 წლის განმავლობაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დახურული კონვერტით) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 1 სექტემბერს 17;00 საათამდე. მისამართი:ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა 4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ტელ:28-48-78 ან 28-48-76;

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. **იურიდიულ პირთათვის**:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, სანაციისა და ლიკვიდაციის საქმის წარმოება;

- ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) საბანკო გარანტია.

ე) გამოცდილების ისტორია საქმიანობის შესახებ (ინფორმაცია მინიმუმ სამ შესრულებულ სამუშაოზე);

ვ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბრუნვისა და მოგების შერსახებ (საბალანსო ფორმის ქსეროასლი დამოწმებული საწარმოს ბეჭდით და ხელმძღვანელის ხელმოწერით).

4.2. **ფიზიკურ პირთათვის**:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) საბანკო გარანტია.

ე) გამოცდილების ისტორია საქმიანობის შესახებ (ინფორმაცია მინიმუმ სამ შესრულებულ სამუშაოზე);

ვ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბრუნვისა და მოგების შესახებ (საბალანსო ფორმის ქსეროასლი დამოწმებული საწარმოს ბეჭდით და ხელმძღვანელის ხელმოწერით).

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები:საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (მთაწმინდა-კრწანისი) საქართველოს ეროვნული ბანკი მიმღები ბანკის კოდი:220101107 ანგარიშის *200122900 სახაზინო კოდი:300033133), გაცხადების გამოქვექვეყნებიდან 31 აგვისტოს 17 საათამდე მისამართზე:ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. N4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, მისამართზე:ქ. თბილისი. შიო ჩიტაძის ქ. N4, ტელ: 28-48-78 ან 28-48-76.

*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისია*

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (რუსთაველის გამზირი N29) ადმინისტრაციული შენობის (ყოფილი იმელი) ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების ჩამონათვალი**

1. წინა და გვერდითი ფასადების მოხვეჭა და გალაქვა
2. გვერდითი ფასადების შელესვა
3. გვერდითი ფასადების შეღებვა
4. მთავარი და გვერდითი შესასვლელი კარებების რესტავრაცია

**ტენდერი ცხადდება 2 ლოტად**

**I ლოტის შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა**

**II ლოტის შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს **კვების პროდუქტების შესყიდვა და მომსახურეობაზე** იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

| | დასახელება | განზომილება | **რაოდენობა** |
|---|---|---|---|
| | ბურღულეული | კგ | 4600 |
| | ბრინჯი | კგ | 1850 |
| | მაკარონის ნაწ. | კგ | 1850 |
| | ხორცი საქონლის | კგ | 9100 |
| | თევზის კონსერვი | კგ | 3650 |
| | შესქელებული რძე | კგ | 4600 |
| | ყველი | კგ | 2750 |
| | შაქარი | კგ | 3200 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოტი 1 | ერბო | კგ | 2300 |
| | მცენ. ზეთი | კგ | 910 |
| | კარტოფილი | კგ | 22800 |
| | კომბოსტო | კგ | 7000 |
| | ჭარხალი | კგ | 1500 |
| | სტაფილო | კგ | 2800 |
| | ხახვი | კგ | 2800 |
| | მწვანილი | კგ | 910 |
| | ნიორი | კგ | 500 |
| | ხილის წვენი | ლ | 9100 |
| | ხილი სხვად. | კგ | 4600 |
| | ხილფაფა | კგ | 500 |
| | ჩაი | კგ | 95 |
| | ტომატ–პასტა | კგ | 700 |
| | ძმარი | ლ | 140 |
| | მარილი | კგ | 1400 |
| | წიწაკა, საკმ.–სან.. | კგ | 50 |
| | თაფლი | კგ | 1400 |
| | ყავა | კგ | 95 |
| | ფქვილი უმაღლესი ხარისხის | კგ | 32000 |
| | საფუარი | კგ | 320 |

3. მიწოდების ადგილი - კოდორის ხეობა.

4. მიწოდების ვადები - ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 30 აგვისტოს 10,00 საათიდან 12,30 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული..

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი ტელ. 75-47-74, 899 23-46-95

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში N13 და N31 საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთების

სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 29 აგვისტოდან 2006 წლის 30 აგვისტოს 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაციის, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 29აგვისტოს 16 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, ბანკის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6**.პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში სულაბერიძის ქუჩის გამყოფ ზოლში გაზონის მოწყობისა და განათების ლამპიონების მონტაჟის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 15 ნოემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 29 აგვისტოდან 2006 წლის 30 აგვისტოს 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 29 აგვისტოს 16 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6**. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

*სატენდერო კომისია*